

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ანა ლაფანაშვილი

კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობა და მოლაპარაკების  
მონაწილის ბრალი წინასახელმეკრულებო ეტაპზე

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად



სამეცნიერო ხელმძღვანელი

ნათია ჩიტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სამართლის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

## შინაარსი

შემოკლებანი.....	IV
შესავალი.....	1
I. ვალდებულებითი ურთიერთობები კერძო სამართალში .....	4
1.1. ვალდებულებით ურთიერთობათა შინაარსი .....	4
1.2. ვალდებულების არსი .....	5
1.2. ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები .....	7
1.3.1. ვალდებულების წარმოშობის სახელშეკრულებო საფუძვლები.....	7
1.3.2. ვალდებულების წარმოშობის კანონისმიერი საფუძვლები.....	10
1.3.3. ვალდებულების წარმოშობა ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე..	11
II. წინასახელშეკრულებო ეტაპი, როგორც ნდობისა და კეთილსინდისიერების ვალდებულებაზე დამყარებული სამართალურთიერთობა .....	12
2.1. წინასახელშეკრულებო ურთიერთობის არსი .....	12
2.2. წინასახელშეკრულებო ურთიერთობათა წარმოშობის საფუძვლები .....	15
2.3. წინასახელშეკრულებო მოლაპარაკების მონაწილე სუბიექტები .....	17
2.4. წინასახელშეკრულებო ურთიერთობათა განსხვავება სხვა სამართლებრივი ინსტიტუტებისგან .....	21
2.4.1. მიმართება წინარე ხელშეკრულებასა და სხვა წინასახელშეკრულებო შეთანხმებებთან .....	21
2.4.2. განსხვავება კონტრაქტების იძულებისგან.....	23
2.7. წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებების მნიშვნელობა ხელშეკრულების განმარტებისას.....	24
III. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის მოქმედება წინასახელშეკრულებო ეტაპზე.....	27
3.1. ხელშეკრულების თავისუფლების არსი და მნიშვნელობა კერძო სამართალში .....	27

3.2. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის მიმართება  
წინასახელშეკრულებო ურთიერთობებთან ..... 30

**IV. კეთილსინდისიერების პრინციპი წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში**  
..... 33

4.1. კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობა კერძო სამართალში ..... 33

4.2. კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობა წინასახელშეკრულებო  
ეტაპზე ..... 36

4.3. გულისხმიერების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების  
პრინციპის გამოვლინება..... 38

4.3.1. გულისხმიერების ვალდებულების შინაარსი ..... 38

4.3.2. გულისხმიერების ვალდებულებისა და კეთილსინდისიერების  
პრინციპის მიმართება..... 39

4.4. გულისხმიერების ვალდებულება წინასახელშეკრულებო  
ურთიერთობებში ..... 40

4.4.1. გულისხმიერების მოვალეობა, როგორც წინასახელშეკრულებო  
ვალდებულების წარმოშობის საფუძველი ..... 40

4.4.2. გულისხმიერების ვალდებულებათა ფორმები ..... 41

4.4.2.1. ლოიალობის ვალდებულება..... 41

4.4.2.2. დაცვის და უსაფრთხოების ვალდებულებათა დარღვევა..... 43

4.4.2.3 ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ..... 44

4.4.2.3.1. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება შრომითი  
ურთიერთობის წინასახელშეკრულებო ეტაპზე ..... 46

4.4.2.3.1.1. ინფორმაციის მიწოდების ფარგლები ..... 46

4.4.2.3.1.2. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის  
შედეგები შრომითი ხელშეკრულების დადების შემდეგ..... 49

4.4.2.3.2. წინასახელშეკრულებო ურთიერთობა მომხმარებელთა  
უფლებების დაცვის კონტექსტში..... 50

**V. წინასახელშეკრულებო ბრალი..... 52**

5.1. ბრალის ნორმატიული და ფსიქოლოგიური თეორიები..... 52

5.2. ბრალი სამოქალაქო სამართალში..... 53

5.2.1. ბრალის ცნება ..... 53

5.2.2. ბრალის ფორმები..... 54

5.3. Culpa in contrahendo .....	56
5.3.1. Culpa in contrahendo-ს ისტორიული განვითარება.....	56
5.3.2. წინასახელშეკრულებო ბრალის შინაარსი .....	57
5.3.3. წინასახელშეკრულებო ბრალის წინაპირობები.....	59
<b>VI. პასუხისმგებლობა წინასახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევისთვის .....</b>	<b>60</b>
6.1. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობები.....	60
6.2. წინასახელშეკრულებო ბრალი, როგორც წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისთვის პასუხისმგებლობის პირობა .....	63
6.2.1. წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი.....	64
6.2.2. ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმისას დამსაქმებლის მიერ დასაბუთების ვალდებულების არარსებობა, როგორც წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველი.....	65
6.3. წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ფარგლები.....	67
<b>დასკვნა .....</b>	<b>70</b>
<b>ბიბლიოგრაფია.....</b>	<b>75</b>

**შემოკლებანი**  
ქართულ ენაზე

გსკ	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
ე.ი	ესე იგი
ესსპ	ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები
იხ.	იხილეთ
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

უცხოურ ენაზე

B2B	Business to Business
BGB	Bürgerliches Gesetzbuch
BGH	Bundesgerichtshof
CISG	United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods
CESL	Common European Sales Law
DCFR	Draft Common Frame of Reference
Ed.	Editor
UNIDROIT	International Institute for the Unification of Private Law

## შესავალი

წინასახელშეკრულებო ბრალის - *Culpa in contrahendo*-ს სამართლებრივი ინსტიტუტი რომის სამართლიდან მოყოლებული დღემდე არ კარგავს აქტუალობას და თანამედროვე სამართლებრივ სივრცეში გარკვეული სახელცვლილებით მკვიდრდება. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სადაც კერძო ავტონომიის პრიმატი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რის საფუძველზეც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეების თავისუფალი გამოვლენის შედეგად თავად განსაზღვრავენ იმ სამართალურთიერთობის შინაარსს, რომლის სამართალსუბიექტობაც თვითონ სურთ, ჩვეული დამახასიათებელი რისკი და თანმდევი მოვლენაა ერთის ეკონომიკური „ბატონობა“ მეორეზე. ეკონომიკური წინსვლის პარალელურად, საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება, იქმნება და ვითარდება ახალი სამართლებრივი კონსტრუქციები, რომელთა საჭიროებაც ობიექტური რეალობით არის ნაკარნახევი. შესაბამისად, თანამედროვე მზარდი კაპიტალიზმის ეპოქაში სულ უფრო და უფრო კომპლექსური ხდება სამართლებრივი ურთიერთობები, რაც ადეკვატური საკანონმდებლო მოწესრიგების უზრუნველყოფას მოითხოვს.

სწორედ კომპლექსური და გრძელვადიანი ბიზნეს-ტრანზაქციებისა თუ მომხმარებელთა, როგორც სამართალურთიერთობის „სუსტი მხარის“, დაცვის ღირსი განსაკუთრებული ინტერესის არსებობის შედეგია წინასახელშეკრულებო ეტაპზე სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეების შესაბამისი დამცავი სამართლებრივი მექანიზმების შექმნის აქტუალურობის საკითხი. შესაბამისად, *culpa in contrahendo*-ს სამართლებრივი კონსტრუქცია ჩამოყალიბდა, როგორც ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპზე დამყარებული სამოქალაქო ურთიერთობა, სადაც არსებითი მნიშვნელობა მოლაპარაკების მონაწილე პირთა მიერ ერთმანეთის კანონით დაცულ სამართლებრივ სიკეთეთა მიმართ განსაკუთრებული გულისხმიერებით დამოკიდებულებასა და პატივისცემას ენიჭება, რაც ისევ და ისევ კეთილსინდისიერებას, როგორც მაღალზნეობრივ და ეთიკურ სამართლებრივ პრინციპს უკავშირდება.

*Culpa in contrahendo*-ს თანამედროვე სახით არსებული კონცეფცია გერმანულ საკანონმდებლო სივრცეში სწორედ პრაქტიკისა და დოქტრინის ნაყოფია. ამდენად, სწორედ ფაქტობრივად ფორმირებულმა

სამართალურთიერთობებმა განაპირობა წინასახელშეკრულებო ბრალის საკანონმდებლო რეგლამენტაცია გერმანიის სამოქალაქო კოდექსში.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ საკანონმდებლო სივრცეში თუ სასამართლო პრაქტიკაში მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიცარიელეა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი<sup>1</sup> (შემდგომში სსკ) არ მოიცავს წინასახელშეკრულებო ეტაპის წარმოშობის საფუძვლების, წინასახელშეკრულებო ურთიერთობათა მონაწილეების, წინასახელშეკრულებო ვალდებულებათა ზუსტ და ამომწურავ საკანონმდებლო რეგლამენტაციას. მეტიც, წინასახელშეკრულებო ვალდებულებათა იდენტიფიცირების მიზნით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი დანაწესის მითითება გარკვეულ საკანონმდებლო ხარვეზს შეიცავს და მისი განმარტება culpa in contrahendo-ს სამართლებრივი არსიდან გამომდინარე დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაზე დამოკიდებული, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკმაოდ მწირია. გარდა ამისა, წინასახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, უკავშირდება ხელშეკრულების დადების მიზნით მიმდინარე მოლაპარაკებების ჩაშლას პარტნიორის მიერ ჩამოყალიბებული ნდობის გაწილების საფუძველზე, რაც თავის მხრივ, მოცემული საკანონმდებლო დანაწესის მიღმა ტოვებს დაცვისა და უსაფრთხოების ვალდებულებას, როგორც გულისხმიერების პრინციპის ერთ-ერთ გამოვლინებას. გარდა ამისა, ქართული საკანონმდებლო მოწესრიგება არ მოიცავს წინასახელშეკრულებო ვალდებულებათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის, რომელსაც სულ უფრო და უფრო მეტი სამართლებრივი დატვირთვა ენიჭება თანამედროვე სამართლებრივ სივრცეში, ინფორმაციის მიწოდების დეტალურ მოწესრიგებას, განსაკუთრებით მომხმარებელთა დაცვისა და შრომითი ურთიერთობის ჭრილში. ყოველივე აღნიშნული კი განაპირობებს საკვლევი საკითხის მნიშვნელობას, აქტუალობასა და მის მიმართ მაღალ სამართლებრივ ინტერესს.

**კვლევის მიზანია** წინასახელშეკრულებო ვალდებულებების, როგორც ნდობასა და კეთილსინდისიერების პრინციპზე დაფუძნებული სამართალურთიერთობის საფუძველზე წარმოშობილი მოვალეობების, მნიშვნელობისა და თავისებურებების წარმოჩენა, ამ კუთხით ქართული საკანონმდებლო სივრცის ანალიზი და შესაბამისი პრობლემატიკის გამოკვეთა.

---

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997.

**ნაშრომის მეთოდოლოგია** ემყარება შედარებითსამართლებრივ, ისტორიულსამართლებრივი, დოგმატური და ნორმატიული კვლევის მეთოდებს. შედარებით სამართლებრივი მეთოდი თანამედროვე სამართლის უნიფიკაციის პროცესში არსებითი მნიშვნელობისაა ქართული სამართლის განვითარებისა და ჰარმონიზაციის კუთხით, ისტორიულსამართლებრივი საფუძველი ბრალისა და კეთილსინდისიერების სამართლებრივი კატეგორიების სამართლებრივი არსის დადგენის საშუალებას იძლევა. დოგმატური კვლევის მეთოდი მიზნად ისახავს სამართლის ნორმის იურიდიული მნიშვნელობის განსაზღვრას, ხოლო ნორმატიული კვლევის მეთოდი განსაზღვრავს სამართლის ნორმის ადგილსა და მნიშვნელობას შესაბამის სისტემაში.

ნაშრომში განხილული საკითხები წარმოდგენილია **შემდეგი თანმიმდევრობით** - წინასახელშეკრულებო ვალდებულებების უშუალო განხილვამდე, თავდაპირველად, მიმოხილულია ზოგადად ვალდებულების არსი და მისი წარმოშობის საფუძვლები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით; შემდეგ თავში გაანალიზებულია წინასახელშეკრულებო, როგორც ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპზე დამყარებული ურთიერთობების არსი, რისთვისაც განხილულია მისი წარმოშობის სამართლებრივი წინაპირობები, იდენტიფიცირებულია მოლაპარაკების მონაწილე პირთა წრე, წარმოჩენილია წინასახელშეკრულებო ურთიერთობათა განსხვავება სხვა მსგავსი ტიპის სამართლებრივ კატეგორიებთან და ასევე, გამოკვეთილია წინასახელშეკრულებო ურთიერთობების მნიშვნელობა ხელშეკრულების ცალკეული განმარტების პროცესში. შემდეგ თავში განხილულია ხელშეკრულების თავისუფლების არსი და მიმართება წინასახელშეკრულებო ურთიერთობებთან ხელშეკრულების დადების ვალდებულებით ბოჭვის არარსებობის ჩრჩილში. ცალკე თავით გამოყოფილია კეთილსინდისიერების პრინციპის, როგორც წინასახელშეკრულებო ურთიერთობათა ძირითადი ღერძის, მნიშვნელობა და დანიშნულება წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, ასევე განხილულია, მისი ცალკეული გამოვლინებები წინასახელშეკრულებო ეტაპზე. ნაშრომში ასევე გაანალიზებულია, culpa in contrahendo-ს სამართლებრივი არსი, ბრალის კომპონენტი და მისი ძირითადი მნიშვნელობა წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის. დასასრულს, კი განხილულია წინასახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევისთვის პასუხისმგებლობის შესაბამისი ფარგლები. ნაშრომის საბოლოო დასკვნით ნაწილში კი შეჯამებულია ის ძირითადი შედეგები, რომელიც გამოვლინდა კვლევის შედეგად.



## I. ვალდებულებითი ურთიერთობები კერძო სამართალში

სამოქალაქო ბრუნვა ქონებრივი გადაადგილებების მეშვეობით ვითარდება, ვალდებულებითი სამართალი კი, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველაზე დიდ ნაწილს არეგულირებს, წარმოადგენს მთავარ მამოძრავებელ სისტემას ამ ურთიერთობებში.<sup>2</sup> იგი აწესრიგებს საზოგადოებრივი ცხოვრების იმ სფეროს, რომელიც განვითარების ნებისმიერ ეტაპზე არსებობდა, არსებობს და იარსებებს ადამიანთა საზოგადოებასთან ერთად.<sup>3</sup> წინასახელშეკრულებო ურთიერთობები ვალდებულებითი სამართლის რეგულირების საგანს წარმოადგენს. შესაბამისად, მიზანშეწონილია, პირველ რიგში, მიმოვიხილოთ, რას გულისხმობს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა თავისი შინაარსით, რა არის ვალდებულება ზოგადად და საიდან შეიძლება წარმოიშვას იგი.

### 1.1. ვალდებულებით ურთიერთობათა შინაარსი

ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობები, შეიძლება ითქვას, ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მითუმეტეს თანამედროვე ყოფა-ცხოვრებაში, სადაც რთულად მოიძებნება ადამიანი, რომელიც ნებით თუ უნებლიედ ყოველდღიურად არ მონაწილეობს უამრავ საყოფაცხოვრებო, ზეპირ გარიგებითსამართლებრივ ურთიერთობაში, ვალდებულებითი სამართალი შეიძლება ითქვას ყველაზე „ორგანული“ სამართლებრივი დარგია და მისი ყოველი ინსტიტუტი საზოგადოებაში ფაქტობრივად ფორმირებული ურთიერთობების ნაყოფია. აღნიშნულზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ კაცობრიობის განვითარების პარალელურად აღნიშნული ურთიერთობებს უფრო და უფრო მეტად კომპლექსური ხასიათი ეძლევა, რაც განაპირობებს კიდევ თანამედროვე იურიდიული საზოგადოების მისწრაფებაც ერთიანი, უნიფიცირებული სამართლის ფორმირებისკენ.<sup>4</sup> ზოგადად, სამოქალაქო სამართალი ეს არის კერძოსამართლებრივი, ე.ი. კერძო პირებს, ინდივიდებს შორის წარმოშობილი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართალი.<sup>5</sup> შესაბამისად,

<sup>2</sup> თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, 5.

<sup>3</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 677.

<sup>4</sup> Hesselink M.W., The Principles of European Contract Law: Some Choices Made by the Lando Commission, 1 Global Jurist [i] (2001), 76-77.

<sup>5</sup> ჯანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 4.

ვალდებულებითი სამართალიც, როგორც სამოქალაქო სამართლის შემადგენელი ნაწილი, ესაა კერძო პირებს, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებს შორის არსებული ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართალი. სწორედ მისი სამართლებრივი მნიშვნელობა განაპირობებს იმას, რომ ვალდებულებითი სამართალი ყოველთვის იყო და იქნება მსოფლიო იურისტების ყურადღების ცენტრში.<sup>6</sup>

ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა მასში მონაწილე ერთი მხარის ვალდებულების, ხოლო მეორე მხარის მოთხოვნის წარმოშობის საფუძველია. ამდენად, ვალდებულებითი ურთიერთობის ძალით უფლებამოვალეობები მხარეებს ენიჭებათ მხოლოდ ერთმანეთის მიმართ, ანუ იგი მიმართულია არა ურთიერთობის ობიექტის, არამედ ურთიერთობის მონაწილე პირის მიმართ.<sup>7</sup> შესაბამისად, იგი ფარდობითი (რელატიური), ორ სუბიექტს შორის წარმოშობილი ურთიერთობაა,<sup>8</sup> რაც იმას გულისხმობს, რომ, განსხვავებით აბსოლუტური უფლებისა, როდესაც აბსოლუტური უფლების მატარებლის წინაშეა ყველა პირი - როგორც ვალდებული პირი, ფარდობითი უფლების მატარებელს უპირისპირდება განსაზღვრული პირი, როგორც კონკრეტულ უფლებამოვალეობათა სუბიექტი. <sup>9</sup> ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობები „დინამიკური“ ხასიათისაა, რომლის დროსაც საზოგადოებაში მიმდინარეობს მუდმივი, დინამიური პროცესი გარკვეული კეთილდღეობის განაწილების ან ამ განაწილების შეცვლისა.<sup>10</sup>

## 1.2. ვალდებულების არსი

ვალდებულება ეს თვით სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობაა, რომლის ძალითაც მხარეებს გარკვეული უფლებამოვალეობები ეკისრებათ.<sup>11</sup> კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სსკ) 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს კრედიტორის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს და ანიჭებს უფლებას, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება, რაც შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც.

<sup>6</sup> *Zimmermann R.*, The Present State of European Private Law, 57 AM. J. Comp. L. 479 (2009), 510.

<sup>7</sup> *თოდუა მ., ვილემსი ჰ.*, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, 8.

<sup>8</sup> *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001, 25.

<sup>9</sup> *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2003, 4.

<sup>10</sup> *თოდუა მ., ვილემსი ჰ.*, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, 76.

<sup>11</sup> *ახვლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1998, 3.

ამდენად, ვალდებულებითი ურთიერთობა მოვალეს აკისრებს შესრულების ვალდებულებას. უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 316 (1) მუხლით გათვალისწინებული ტერმინი „რაიმეს შესრულება“, უპირობოდ გულისხმობს ვალდებულებიდან გამომდინარე - ვალდებულების საგნის შესრულების ვალდებულებას. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის<sup>12</sup> (შემდგომში გსკ) §241(1) იყენებს ტერმინს ვალდებულების შესრულებას და არა რაიმეს შესრულებას. ბუნებრივია, ნორმის იდეა და მიზანი, სწორედ კონკრეტული ვალდებულების შინაარსიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნის საფუძვლის დადგენაა და შესაბამისად, სსკ-ის მითითებული ნორმაც ამგვარად უნდა იქნას გაგებული. ამდენად, მოვალის ვალდებულებას, შეასრულოს გარკვეული მოქმედება ან თავი შეიკავოს მისგან, შეესაბამება კრედიტორის მოთხოვნა, რომელიც ამ უკანასკნელს 317-ე მუხლით დადგენილი სამართლებრივი საფუძვლებით წარმოეშობა.<sup>13</sup>

აქედან გამომდინარე, ვალდებულება სამართლებრივი კავშირია, რომელიც ბოჭავს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს<sup>14</sup> და მისი დარღვევისთვის სასამართლოს მეშვეობით შესრულების ან ზიანის ანაზღაურების დამრღვევისთვის დაკისრების საფუძველს ადგენს.<sup>15</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიულ ლიტერატურაში ვალდებულება განსხვავდება პასუხისმგებლობისგან. ვალდებულების ძალით მოვალემ უნდა შეასრულოს კონკრეტული მოქმედება, ხოლო პასუხისმგებლობა გულისხმობს, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კრედიტორის მხრიდან იძულებით ჩარევაზე მოვალის დაქვემდებარების შესაძლებლობას.<sup>16</sup>

---

<sup>12</sup> Das Bürgerliche Gesetzbuch nebst Einführungsgesetz vom 18. August 1896, RGBl, Nr. 21, Berlin, 1896 (für die Bundesrepublik Deutschland).

<sup>13</sup> *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001, 37.

<sup>14</sup> *ქოჩაშვილი ე.*, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებით სამართლებრივი კვლევა), სამართლის ჟურნალი, N1, 2009, 80.

<sup>15</sup> *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001, 24.

<sup>16</sup> *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელმწიფო სამართალი, თბილისი, 2008, 24.

## 1.2. ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები

ვალდებულება, ისევე, როგორც ყველა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა, წარმოიშობა განსაზღვრული იურიდიული ფაქტების საფუძველზე.<sup>17</sup> იურიდიული ფაქტი ეს არის სამართლებრივად რელევანტური, შეიძლება ითქვას, „სამართლებრივად ვარგისი“ გარემოება, რომელსაც კონკრეტული სამართლებრივი შედეგი უკავშირდება. სსკ-ის 317-ე მუხლი ვალდებულების წარმოშობის წყაროდ უთითებს ხელშეკრულებას, დელიქტს, უსაფუძვლო გამდიდრებას, კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებს (დასახელებული მუხლის 1-ლი ნაწილი) და ხელშეკრულების მომზადებას, როგორც ვალდებულების წარმოშობის წყაროს (დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილი). ამდენად, მითითებული ნორმის მიხედვით, ვალდებულების წყაროები შესაძლოა დაიყოს სახელშეკრულებო, კანონისმიერ და წინასახელშეკრულებო სახეებად.<sup>18</sup>

### 1.3.1. ვალდებულების წარმოშობის სახელშეკრულებო საფუძვლები

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები პირთა თანასწორობაზე დამყარებული ურთიერთობებია, რაშიც, პირველ რიგში, იგულისხმება ნების თავისუფალი გამოვლენისა და ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობა.<sup>19</sup> ხელშეკრულება, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ბრუნვის მონაწილეთა ურთიერთთანმხვედრი ნების გამოვლენის კონსენსუსი, სხვა არაფერია, თუ არა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების ღერძის - კერძო ავტონომიის ნათელი გამოვლინება, პირთა თანასწორობაზე დაფუძნებული სამართლებრივი აქტი. პირთა თანასწორობა, თავის მხრივ, შეიძლება ჩაითვალოს, რომ არსებითად კერძო ავტონომიის სინონიმია,<sup>20</sup> რომელიც პირის თავისუფლებას უკავშირდება. კ

ლასიკურმა სახელშეკრულებო თეორიამ ყველა ნათელი გამოხატულება სწორედ ხელშეკრულების თავისუფლების ინსტიტუტში ჰპოვა.<sup>21</sup> ხელშეკრულება ორმხრივი ან მრავალმხრივი გარიგებაა,<sup>22</sup> ანუ რომლის დასადებადაც საჭიროა ორი ან მეტი პირის ნების ისეთი გამოვლენა,

<sup>17</sup> ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1998, 5.

<sup>18</sup> ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2008, 19-21.

<sup>19</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 4.

<sup>20</sup> იხ. იქვე.

<sup>21</sup> Kessler F., Edith F., Culpa in contrahendo, bargaining in good faith, and freedom of contract: a comparative study, 409. <<https://www.trans-lex.org/125100>> (11.07.2019).

<sup>22</sup> ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2008, 18.

რომელიც მისი მონაწილეებისათვის იწვევს განსაზღვრული უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას.<sup>23</sup>

თვითონ გარიგება, სსკ-ის 51-ე მუხლით დეფინირებული ცნების მიხედვით, ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენაა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ამდენად, გარიგებების, მათ შორის, ხელშეკრულებების, სამართლებრივ არსზე საუბრისას ამოსავალი სწორედ ნების გამოვლენაა. სამოქალაქო სამართალში ნების გამოვლენა სამართლებრივი ცნებაა, სამართლებრივი საშუალება იმ ქმედობის გამოსახატავად, რომლის მიზანია განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა.<sup>24</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ 317-ე მუხლით დადგენილი ხელშეკრულება, როგორც ვალდებულების წარმოშობის საფუძველი, სიტყვა-სიტყვითი განმარტების შემთხვევაში, ცალმხრივ გარიგებებს, როგორც ვალდებულების წყაროს გამორიცხავს, რაც ცალსახად აბსურდული იქნებოდა. მითითებული ნორმა უნდა განიმარტოს ფართო გაგებით და ვიგულისხმოდ არამხოლოდ ხელშეკრულებიდან, არამედ ზოგადად გარიგებიდან წარმოშობილი ვალდებულებები, შესაბამისად, უფრო სწორი ტერმინი იქნებოდა გარიგებითი ვალდებულებები ან გარიგებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები,<sup>25</sup> ვინაიდან ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას ერთი პირის ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე. ამდენად, შეიძლება ითქვას, ნების გამოვლენა, როგორც სამართლებრივი მოვლენა, სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობების ფუნდამენტური ელემენტია. სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე სუბიექტის ნება ნებისმიერი კერძო სამართლებრივი ინსტიტუტის ამოსავალი წერტილია იმდენად, რამდენადაც პირები სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს ერთმანეთთან ამყარებენ ნამდვილი ნების გამოვლენის საფუძველზე. ამდენად, ნებისმიერი ქმედობა უნდა იყოს ნებელობითი აქტი. ის უნდა გამომდინარეობდეს ადამიანის ცნობიერებიდან და არ უნდა წარმოადგენდეს მექანიკურ, ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ აქტს.<sup>26</sup>

<sup>23</sup> ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1998, 8.

<sup>24</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 317.

<sup>25</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001, 45.

<sup>26</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 318.

უნდა აღინიშნოს, რომ ის სამართლებრივი ბოჭვა, რასაც პირი განიცდის ვალდებულების ძალით, ისევ და ისევ ამ უკანასკნელი ნამდვილი ნების თავისუფალი გამოვლინების სამართლებრივი შედეგია. სამოქალაქო სამართალში მოქმედი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, პირებს ანიჭებს უფლებას საკუთარი ნებითა და მოქმედებით დადონ ან არ დადონ ხელშეკრულება, თავად განსაზღვრონ ამ ხელშეკრულების შინაარსი კონტრაქტის და ა.შ. ანუ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება (სსკ 10(2) მუხლი). შესაბამისად, ამგვარი თავისუფლების ფარგლებში, ხელშეკრულების დადებით ხელშეკრულების მონაწილეები ნებაყოფლობითა და ორმხრივად კისრულობენ ამა თუ იმ ვალდებულების შესრულებას. ამით ისინი საკუთარი თავისუფლების ფარგლებს იბოჭავენ, რასაც **სახელშეკრულებო თვითბოჭვა** ეწოდება.<sup>27</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე საბაზრო კაპიტალიზმის პირობებში ვალდებულებით, განსაკუთრებით კი სახელშეკრულებო ურთიერთობებს არამხოლოდ სამართლებრივი, არამედ განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. ხელშეკრულება სოციალური სიკეთისა და მატერიალური დოვლათის განაწილების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია.<sup>28</sup> ხაზგასასმელია, ისიც, რომ მოქმედების ის თავისუფლება, რომელსაც კერძო ავტონომია სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს ანიჭებს, გულისხმობს ასევე თვითპასუხისმგებლობას. ეს ნიშნავს, რომ პირი თავად აგებს პასუხს თავისი მოქმედებისათვის.<sup>29</sup> თავის მხრივ, თვითპასუხისმგებლობა კერძო ავტონომიის ის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ეკონომიკური წინსვლის კატალიზატორია,<sup>30</sup> იმდენად, რამდენადაც ბრუნვის მონაწილეს გააზრებული აქვს (უნდა ჰქონდეს) ვალდებულების დარღვევის შესაბამისი სამართლებრივი შედეგები და ამგვარად, თავად განსაზღვრავს მოქმედების თავისუფლების ფარგლებს.

აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების დადებით მხარეები კერძო ავტონომიის ფარგლებში, ნამდვილი ნების საფუძველზე ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპით ბრუნვის სხვა მონაწილეებთან შედიან პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის სამართალურთიერთობაში და კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მიღწევის მიზნითა და სურვილით

<sup>27</sup> იხ. იქვე. 91.

<sup>28</sup> *Kötz/Flessner*, *Europäisches Vertragsrecht*, 1996, 5. მითითებულია წიგნში: ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 50.

<sup>29</sup> *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 92.

<sup>30</sup> იხ. იქვე.

ნებით იბოჭავენ თავს შესაბამისი ვალდებულებებით. ამდენად, ხელშეკრულება (გარიგება), როგორც ვალდებულების წარმოშობის საფუძველი, უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების სისტემაში და სამოქალაქო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების - კერძო ავტონომიის, ხელშეკრულების თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის ნათელი გამოვლინებაა.

### 1.3.2. ვალდებულების წარმოშობის კანონისმიერი საფუძვლები

ვალდებულების წარმოშობის საფუძვლების შედარებით სრულყოფილი კლასიფიკაცია პირველად ნაპოლეონის კოდექსს უკავშირდება, რომელმაც ერთმანეთისგან გამიჯნა სახელშეკრულებო და კვაზისახელშეკრულებო, დელიქტური და კვაზიდელიქტური ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები და რომელიც კანონს ვალდებულების დამოუკიდებელ წყაროდ აღიარებდა, რითაც ფაქტობრივად საფუძვლების ხუთწევრიან კლასიფიკაციას ახდენდა.<sup>31</sup>

სახელშეკრულებო ვალდებულებისგან განსხვავებით, კანონისმიერი, იგივე არასახელშეკრულებო ვალდებულება წარმოიშობა ვალდებული პირის სურვილის დამოუკიდებლად,<sup>32</sup> უშუალოდ კანონის რეალიზაციით.<sup>33</sup> ანუ პირის ვალდებულებას უშუალოდ კანონის შესაბამისი დანაწესი ადგენს. შესაბამისად, კანონისმიერი ვალდებულების შემთხვევაში, განსხვავებით სახელშეკრულებოსგან, ვალდებულების შინაარსის განსაზღვრა დამოკიდებულია კანონზე.<sup>34</sup>

ამდენად, სახელშეკრულებო ურთიერთობების შემთხვევაში თუ სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტები საკუთარი შეხედულებისამებრ, ფაქტობრივად შეუზღუდავად განსაზღვრავენ სახელშეკრულებო ვალდებულებათა რიცხვს თუ შინაარსს, რამდენადაც მათ შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის, კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება (სსკ 10 (2) მუხლი), კანონისმიერი ვალდებულებათა

<sup>31</sup> *Von Bar/Swann, Principles of European Law*, 2010, 95. მითითებულია წიგნში: ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 49-50.

<sup>32</sup> *თოდუა მ., ვილემსი ჰ.*, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, 95.

<sup>33</sup> *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2008, 21.

<sup>34</sup> *ახვლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1998, 7.

წრე შემოსაზღვრულია საკანონმდებლო ჩარჩოებით. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ვალდებულებათა სახელშეკრულებო სისტემა არის „ღია“ მაშინ, როცა კანონისმიერ ვალდებულებათა სისტემა არის „დახურული“, რაც გვაძლევს არასახელშეკრულებო ვალდებულებათა წრის ამომწურავ - „numerous clausus“ პრინციპით ჩამონათვალზე.<sup>35</sup>

სსკ-ის 317-ე მუხლი, ვალდებულების წარმოშობის არასახელშეკრულებო საფუძვლებიდან დელიქტს, უსაფუძვლო გამდიდრებას, ხელშეკრულების მომზადებასა და კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებს ასახელებს, რაშიც თავის მხრივ, მოიაზრება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, საზიარო უფლებებიდან წარმოშობილი კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები და ა.შ.

### 1.3.3. ვალდებულების წარმოშობა ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე

სსკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს ხელშეკრულების მომზადების საფუძველზე ვალდებულების წარმოშობის შესაძლებლობას. ხელშეკრულების მომზადების ეტაპი ხელშეკრულების დადებამდე არსებული სამართალურთიერთობაა, რომელსაც კანონი შესაბამის უფლებებსა და ვალდებულებებს უკავშირებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, წინასახელშეკრულებო ურთიერთობა ესაა მხარეთა შორის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების წარმოების პროცესი, <sup>36</sup> რომლის დროსაც გულისხმიერების ვალდებულების ბრალეული უგულებელყოფა (culpable neglect) შესაბამის სამართლებრივ პასუხისმგებლობას უკავშირდება.<sup>37</sup>

სამართალურთიერთობის მოცემულ ეტაპზე ვალდებულების წარმოშობის საფუძველად დასახელებული ნორმა 316-ე მუხლით გათვალისწინებულ მოვალეობებზე უთითებს, რაშიც გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა უნდა იგულისხმებოდეს და არა ზოგადად, 316-ე მუხლში მითითებული მოვალეობები (აღნიშნულთან დაკავშირებით კონკრეტული მსჯელობა მოცემული იქნება ნაშრომის შემდეგ თავებში).

სწორედ განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულების შესრულების სტანდარტი განაპირობებს წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში

<sup>35</sup> თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, 96.

<sup>36</sup> ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2008, 19.

<sup>37</sup> Lorenz W., Reform of the German Law of Breach of Contract, 1 Edinburgh L. Rev. 317 (1997), 321.



მოლაპარაკების მონაწილეების მიერ ერთმანეთის უფლებების, ქონებისა და ჩამოყალიბებული ნდობის პატივისცემის მოთხოვნას, რომელიც განსაკუთრებით რთული, კომპლექსური ხელშეკრულების მოლაპარაკების პროცესში ფორმირდება<sup>38</sup> და რომლის ბრალეული დარღვევაც (culpa in contrahendo) შესაბამის პასუხისმგებლობას უკავშირდება. ამდენად, პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს არა ხელშეკრულების მომზადება, არამედ ხელშეკრულების დასადებად წარმოებული მოლაპარაკების მზადყოფნისას არსებული ნდობის ფაქტი.<sup>39</sup>

ამგვარად, კანონი ხელშეკრულების დადებამდეც აკისრებს სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტებს ვალდებულებას, კეთილსინდისიერად, გულისხმიერად წარმართონ მოლაპარაკების პროცესი და გამოიჩინონ განსაკუთრებული პატივისცემა ამ პროცესში ჩამოყალიბებული მოლაპარაკების მონაწილე მეორე მხარის ნდობის მიმართ.

## II. წინასახელშეკრულებო ეტაპი, როგორც ნდობისა და კეთილსინდისიერების ვალდებულებაზე დამყარებული სამართალურთიერთობა

### 2.1. წინასახელშეკრულებო ურთიერთობის არსი

როგორც აღინიშნა, სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტების პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს არა უკვე დადებული ხელშეკრულების, არამედ პოტენციური ხელშეკრულების მომზადების საფუძველზეც, რომელსაც დღესდღეობით განსაკუთრებით საერთაშორისო კომპლექსურ ბიზნეს-ურთიერთობების პირობებში, მეტი მნიშვნელობა ენიჭება.<sup>40</sup> წინასახელშეკრულებო ეტაპზე მოლაპარაკების მონაწილეთა ვალდებულებებზე, ბრალსა და შესაბამის პასუხისმგებლობაზე მსჯელობისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა განიმარტოს წინასახელშეკრულებო ურთიერთობის არსი, რომელიც ნდობისა და კეთილსინდისიერების ვალდებულებაზე დამყარებული სამართალურთიერთობაა.

<sup>38</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 108.

<sup>39</sup> ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2008, 19.

<sup>40</sup> Tegethoff M., Culpa in Contrahendo in German and Dutch Law - A Comparison of Precontractual Liability, 5 Maastricht J. Eur. & Comp. L. 341 (1998), 342.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დეფინირებული არ არის წინასახელშეკრულებო ურთიერთობათა შინაარსი. კერძოდ, სსკ-ის 317 (2) მუხლი მხოლოდ ხელშეკრულების მომზადებაზე უთითებს, თუმცა რას გულისხმობს ხელშეკრულების მომზადება აღნიშნულს ნორმა არ განმარტავს. ამდენად, წინასახელშეკრულებო ურთიერთობის არსი სასამართლო პრაქტიკისა და დოქტრინის მიხედვით უნდა განიმარტოს.

იურიდულ ლიტერატურაში მსჯელობა წინასახელშეკრულებო ურთიერთობებთან დაკავშირებით სახელშეკრულებო თუ კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებთან სიახლოვის კუთხით ორი მიმართულებით არის განვითარებული. ერთი მოსაზრების მიხედვით, ხელშეკრულების წინმსწრები ვალდებულებათი ურთიერთობა, როგორც წესი, კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს უნდა მიეკუთვნებოდეს.<sup>41</sup> civil law-ს სამართლის ძირითადი ქვეყნები წინასახელშეკრულებო ვალდებულებებს დელიქტს უკავშირებს, რაც ფრანგული სამართლის გავლენით უნდა აიხსნას.<sup>42</sup> აღნიშნული მიდგომა განპირობებულია იმით, რომ მიუხედავად ხელშეკრულების დადების მიზნისა, შესაბამისი ხელშეკრულება ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არ არსებობს, ამდენად, მოცემულ სტადიაზე წარმოშობილი ვალდებულებები კანონის საფუძველზე წარმოიშობა და შესაბამისად, მეტ „სიახლოვეს“ კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებთან ავლენს. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დელიქტი წინასახელშეკრულებო ბრალისგან განსხვავებით, აბსოლუტური და არაპერსონალური კატეგორიაა და მისი სუბიექტი შესაძლოა ნებისმიერი პირი იყოს, რომელთანაც მხარე არათუ ხელშეკრულებას დებს, არამედ არც არასდროს უნახავს იგი, ამდენად, დელიქტის სუბიექტი შესაძლოა იყოს ნებისმიერი პირი, წინასახელშეკრულებო ბრალი კი მხოლოდ მოლაპარაკების მონაწილეს შეიძლება მიუძღოდეს.<sup>43</sup>

ალტერნატიული მოსაზრებით, აღნიშნული ურთიერთობის მიზნიდან გამომდინარე, შეთანხმების, როგორც ამ ურთიერთობის ლოგიკური კულმინაციის, მიღწევის სურვილის გამო, წინასახელშეკრულებო

<sup>41</sup> *მარიამიძე გ.*, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, I ნაწილი, I გამოცემა, თბილისი, 2011, 42.

<sup>42</sup> *Hondius Ewoud H.(ed.)*, Precontractual liability: reports to the XIIIth Congress, International Academy of Comparative Law, Montreal, Canada, 18 - 24 August 1990, Deventer 1991, 11.

<sup>43</sup> *ვაშაკიძე გ.*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, 87.

ურთიერთობას გარიგებით წარმოშობილი ვალდებულებითი ურთიერთობების მსგავს სამართლებრივ ურთიერთობებად მიიჩნევენ.<sup>44</sup>

განსხვავებით ფრანგული სამართლისგან, გერმანულ სამართალში იერინგმა ჩამოაყალიბა შემდეგი კონსტრუქცია: მხარეებს შორის ნაგულისხმევი ხელშეკრულება, რომლის საგანიც კეთილსინდისიერი მოლაპარაკების წარმოებაა.<sup>45</sup> თუმცა, ცალსახაა, რომ წინასახელშეკრულებო ვალდებულების წყაროდ კლასიკურ სახელშეკრულებო ურთიერთობას ვერ მივიჩნევთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამგვარი ურთიერთობა ამ ეტაპზე არ არსებობს. სწორედ ამ მიზეზით იგი შეიძლება ჩაითვალოს როგორც კვაზი-სახელშეკრულებო ვალდებულება, რომელიც ხელშეკრულების დადებამდე წარმოიშობა.<sup>46</sup>

ამიტომ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ როდესაც საუბარია ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებზე, culpa in contrahendo საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული ის „სხვა საფუძველი“, საიდანაც ვალდებულება წარმოიშობა.<sup>47</sup>

ცალსახაა, რომ წინასახელშეკრულებო ვალდებულების საფუძვლებთან მიმართებით სხვადასხვა პოზიციაა ჩამოყალიბებული. ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში უსამართლო წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებები უფლების ბოროტად გამოყენებადაც კი კვალიფიცირდება.<sup>48</sup> თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დამკვიდრების ძირითადი იდეა თუ ინსპირაცია სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად ჩამოყალიბების მიზანია.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ წინასახელშეკრულებო ვალდებულება კანონის ძალით წარმოშობილი - კანონისმიერი ვალდებულებაა, რომლის

---

<sup>44</sup> კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თ. დარჯანია და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, ე. ჩაჩანიძე, თ. დარჯანია, ლ. თოთლაძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, § 311, ველი 1, 197.

<sup>45</sup> Hondius Ewoud H.(ed.), Precontractual liability: reports to the XIIIth Congress, International Academy of Comparative Law, Montreal, Canada, 18 - 24 August 1990, Deventer 1991, 11.

<sup>46</sup> Reimann M., The Good, the Bad, and the Ugly: The Reform of the German Law of Obligations, 83 Tul. L. Rev. 877 (2009), 889.

<sup>47</sup> მესხიშვილი ქ., წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, წინარე ხელშეკრულება, ბე (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, VI, 2017, 30.

<sup>48</sup> Hondius Ewoud H.(ed.), Precontractual liability: reports to the XIIIth Congress, International Academy of Comparative Law, Montreal, Canada, 18 - 24 August 1990, Deventer 1991, 11.

წინაპირობაც ხელშეკრულების მსგავსი, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის არსებობაა.<sup>49</sup>

## 2.2. წინასახელშეკრულებო ურთიერთობათა წარმოშობის საფუძვლები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ადგენს წინასახელშეკრულებო ურთიერთობათა წარმოშობის დეტალურ საფუძვლებს და მითითებას მხოლოდ ხელშეკრულების მომზადებაზე აკეთებს. ამდენად, ამ მხრივ საინტერესოა გერმანული სამართლის მიდგომები მოცემული საკითხის მიმართ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 311 (2)-ის მიხედვით, ვალდებულება §241 მე-2 ნაწილის ვალდებულებებით ასევე წარმოიშობა (1) ხელშეკრულების დადებაზე მოლაპარაკების დაწყებით, (2) ხელშეკრულების მომზადებით, რომლითაც შესაძლო სახელშეკრულებო ურთიერთობის დადგენის მხედველობაში მიღებით ერთი მხარე მეორე მხარეს აძლევს თავის უფლებებზე, ქონებრივ სიკეთესა და ინტერესებზე ზემოქმედების შესაძლებლობას ან ანდობს მათ ამ მხარეს ან (3) მსგავსი საქმიანი კონტაქტით.

ამდენად, დასახელებული ნორმის მიხედვით, ხელშეკრულების მომზადება არ გულისხმობს მხოლოდ უშუალოდ სახელშეკრულებო მოლაპარაკებების წარმოების პროცესს. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, წინასახელშეკრულებო ურთიერთობები იწყება, როდესაც ერთი მხარე მიმართავს მეორე მხარეს ხელშეკრულების დადების მიზნით მოლაპარაკების დაწყების თაობაზე.<sup>50</sup> ამდენად, ხელშეკრულების წინმსწრები ვალდებულებითი ურთიერთობა შეიძლება ასევე დაიწყოს, ხელშეკრულების დადების სურვილით, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის უფლებებზე, ქონებრივ სიკეთესა და ინტერესებზე ზემოქმედების შესაძლებლობის მოპოვების ან ნდობის შემთხვევაში, იმისგან დამოუკიდებლად, ხელშეკრულება სამომავლოდ დაიდება თუ არა.<sup>51</sup> ამდენად, ამ შემთხვევაში

---

<sup>49</sup> კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თ. დარჯანია და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, ე. ჩაჩანიძე, თ. დარჯანია, ლ. თოთლაძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, § 311, ველი 1, 197.

<sup>50</sup> Mustafaraj B., Modern legal systems and the principle of “Culpa in Contrahendo”, Academicus International Scientific Journal, Musaraj A. ed., 2019, 84. <<http://www.academicus.edu.al/nr19/Academicus-MMXIX-19-080-094.pdf>> (06.07.2019).

<sup>51</sup> კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თ. დარჯანია და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, ე. ჩაჩანიძე, თ. დარჯანია, ლ. თოთლაძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, § 311, ველი 1, 197.

არსებითია, რომ სახეზე გვქონდეს **საქმიანი კონტაქტის** დამყარების მიზანი<sup>52</sup> და უშუალოდ მოლაპარაკების წარმოების დაწყების საჭიროება არ არსებობს.

უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა „სოციალური კონტაქტი“, რაც, მაგალითად, შეიძლება გამოიხატოს საწყობში გათბობის მიზნით შესვლის დროს დაზიანების მიღებით, <sup>53</sup> არ წარმოადგენს „საქმიან კონტაქტს“ <sup>54</sup> და შესაბამისად, არ წარმოშობს წინასახელშეკრულებო ვალდებულებებს. ასეთი ტიპის კონტაქტი, რომელიც უბრალოდ „ტერიტორიულ სიახლოვეში“ გამოიხატა <sup>55</sup>, შესაბამისი მოქმედების ნდობა პასუხისმგებლობას culpa in contrahendo-ს საფუძველზე არ იწვევს და მოთხოვნის საფუძველი შეიძლება დელიქტური ვალდებულება გახდეს<sup>56</sup> (სსკ-ის 992-ე მუხლი).

განსხვავებული ვითარება გვაქვს სახეზე, გსკ-ს მითითებული ნორმით გათვალისწინებული - მსგავსი საქმიანი კონტაქტის არსებობის პირობებში. მსგავსი საქმიანი კონტაქტის დროს არ არის სავალდებულო პირს აუცილებლად ხელშეკრულების დადების კონკრეტული განზრახვა ჰქონდეს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ჯერ არც ხელშეკრულების მომზადებაა და არც ხელშეკრულების მომზადების ფარგლებში განხორციელებული ქმედება, მაგრამ სამომავლოდ ხელშეკრულების დადებას ისახავს მიზნად. <sup>57</sup> ამ შემთხვევაში არსებითია „პოტენციური სამართლებრივი ურთიერთობის“, მაგალითად, ასეთად შეიძლება განვიხილოთ მაღაზიაში პროდუქციის დასათვალიერებლად შესვლა.<sup>58</sup>

ამდენად, გსკ-ის მითითებული დანაწესი ხელშეკრულების მომზადების გაცილებით ფართო ფარგლებს ადგენს, ვიდრე მხოლოდ მოლაპარაკებების წარმოებაა.

სსკ-ის 317 (2)-ის მიზნებისთვის, ხელშეკრულების მომზადების ფარგლებიც სწორედ გერმანული სამართლის მიდგომის მსგავსად უნდა განიმარტოს და

---

<sup>52</sup> *მარიამიძე გ.*, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, I ნაწილი, I გამოცემა, თბილისი, 2011, 44.

<sup>53</sup> *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2008, 20.

<sup>54</sup> *მარიამიძე გ.*, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, I ნაწილი, I გამოცემა, თბილისი, 2011, 44.

<sup>55</sup> იხ. იქვე. 43.

<sup>56</sup> *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2008, 20.

<sup>57</sup> *მესხიშვილი ქ.*, წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, წინარე ხელშეკრულება, ბე (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, VI, 2017, 31.

<sup>58</sup> *მარიამიძე გ.*, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, I ნაწილი, I გამოცემა, თბილისი, 2011, 44.

ამოსავალ წერტილად „საქმიანი კონტაქტის“ შესაბამისი ფორმის არსებობა მივიჩნით.<sup>59</sup>

### 2.3. წინასახელშეკრულებო მოლაპარაკების მონაწილე სუბიექტები

წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, როგორც წესი, სამომავლო ხელშეკრულების კონტრაქტებს შორის ყალიბდება. ანუ, წინმსწრები ვალდებულებითი ურთიერთობა, ძირითადად, დასადები ხელშეკრულების პოტენციურ პარტნიორებს, ანუ იმ პირთა შორის წარმოიშობა, რომლებიც - მოლაპარაკებაწარმოებული, მომზადებული და შეთანხმებული ხელშეკრულების მხარეები გახდებოდნენ, ხელშეკრულება რომ დადებულიყო.<sup>60</sup>

სსკ-ის 317 (3) მუხლი წინასახელშეკრულებო ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად „მოლაპარაკების მონაწილე“ პირს ასახელებს. თუმცა მითითებული ნორმა არ განმარტავს ვინ შეიძლება მოიაზრობდეს ტერმინში „მოლაპარაკების მონაწილე“.

მოლაპარაკების მონაწილე პირის ფართო განმარტებას იძლევა გსკ-ს 311-ე პარაგრაფი, რომლის მე-3 ნაწილის მიხედვითაც, ვალდებულება ამავე კოდექსის 241 (2)-ე პარაგრაფის შესაბამისად შეიძლება ასევე წარმოიშვას იმ პირების მიმართ, რომლებიც არ მოიაზრებიან სამომავლოდ დასადები ხელშეკრულების მხარეებად. აღნიშნული წესი გამოიყენება მაშინ, როდესაც მესამე პირი განსაკუთრებით მაღალი ხარისხის ნდობის მოპოვების გზით ზეგავლენას ახდენს სახელშეკრულებო ვალდებულებების ფორმირებაზე ან მის დადებაზე.<sup>61</sup>

გსკ-ის დასახელებული საკანონმდებლო დანაწესი იძლევა იმგვარი განმარტების საშუალებას, რომ 311-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილში, თუმცაღა პირდაპირი მითითება არ არის გაკეთებული, ვალდებულების სუბიექტებად სამომავლოდ დასადები - პოტენციური ხელშეკრულების მხარეები მოიაზრება, ხოლო ამავე პარაგრაფის მე-3 ნაწილი, მოთხოვნის ადრესატად დამატებითი მესამე პირების ყოფნის შესაძლებლობასაც ადგენს, შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში.

<sup>59</sup> *იხ. იქვე*. 43.

<sup>60</sup> *იხ. იქვე*. 45.

<sup>61</sup> *Lowisch M.*, New Law of Obligations in Germany, R.L.R., 147. <<http://www.ritsumei.ac.jp/acd/cg/law/lex/rlr20/Manfred141.pdf>> (7.07.2019).

გსკ-ის § 311 (3) ნაწილი მესამე პირთა ოთხ ჯგუფად კლასიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა:<sup>62</sup>

ა) განსაკუთრებული ნდობის მქონე პირები

პირველ ჯგუფში გამოყოფენ პირებს, რომლებიც წინასახელშეკრულებო ეტაპზე განსაკუთრებული ნდობით სარგებლობს და დიდ ზეგავლენას ახდენს მოლაპარაკებასა და ხელშეკრულების დადებაზე. ასეთად, შესაძლოა განვიხილოთ შუამავლის ან წარმომადგენლის მეშვეობით წინასახელშეკრულებო ურთიერთობის წარმართვა, რომლებიც ცალსახად სარგებლობენ სამომავლო ხელშეკრულები მხარეების ნდობით, თუმცა თუმცა გსკ-ს § 311 (3) მე-2 წინადადებისგან განსხვავებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება უფლებამოვალეობებს წარმოშობს წარმოდგენილი პირისათვის (სსკ-ის 104(1) მუხლი) და სწორედ ეს უკანასკნელია ვალდებული აგოს პასუხი წარმომადგენლის მოქმედებისთვის ისეთივე მოცულობით, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს (სსკ 396-ე მუხლი), რაც გამორიცხავს შუამავლისა და წარმომადგენლის მიმართ სსკ-ის 394(1), 317(2) და 316(2) მუხლების საფუძველზე მოთხოვნის უფლებას.<sup>63</sup>

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესო მოსაზრებაა გაჟღერებული იურიდიულ ლიტერატურაში სსკ-ის 711 (2) მუხლის ანალოგიის სახით გამოყენების თაობაზე სსკ-ის 5 (1) მუხლის საფუძველზე. სსკ 711(2) მუხლის მიხედვით, რწმუნებული პასუხს აგებს მხოლოდ იმ ბრალისათვის, რომელიც მას მიუძღვის გადანდობისას და ამ პირის შერჩევაში. მითითებული ნორმის ანალოგიის სახით გამოყენების პირობებში, მარწმუნებელი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ იგი შუამავალს და წარმომადგენელს სათანადოდ შეარჩევს ან მის შერჩევაში მას ბრალი არ მიუძღვის<sup>64</sup>, რაც უნდა შეფასდეს ობიექტური დამკვირვებლის სტანდარტით - ანუ ანალოგიურ პირობებში მყოფი ნებისმიერი საღად მოაზროვნე პირი ობიექტურად შეარჩევდა შესაბამის წარმომადგენელს.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ამგვარი განმარტების პირობებში, წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში მესამე პირის ჩართულობა ურთიერთობის მონაწილის (ვინც მესამე პირი ჩართო) პასუხისმგებლობას იწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ

<sup>62</sup> მარიამიძე გ., ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, I ნაწილი, I გამოცემა, თბილისი, 2011, 45.

<sup>63</sup> იხ. იქვე.

<sup>64</sup> მარიამიძე გ., ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, I ნაწილი, I გამოცემა, თბილისი, 2011, 46.

დაადასტურებს, რომ მან მესამე პირის შერჩევას განსაკუთრებული გულისხმიერება გამოიჩინა, <sup>65</sup> განსხვავებით გერმანული სამართლისგან, რომელიც საშუალებას იძლევა წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა განსაზღვრული პირობების არსებობის შემთხვევაში პირდაპირ მესამე პირის მიმართ დადგეს.

## ბ) ექსპერტი, სპეციალისტი

იურიდიული დოქტრინა ექსპერტის/სპეციალისტის, როგორც მესამე პირის წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დადგომის შესაძლებლობასაც უშვებს. საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაში მესამე პირს არ აქვს არანაირი პირადი ინტერესი ხელშეკრულების დადების მიმართ, თუმცა საკუთარი შეფასებით, დასკვნებითა თუ ცოდნით, რასაც მოლაპარაკების ერთ-ერთი მონაწილე ენდობა და ამით წამგებიან გარიგებაში შედის, ხელშეკრულების დადებას განაპირობებს.<sup>66</sup>

ამ კუთხით, საინტერესო ინტერპრეტაციაა განვითარებული იურიდიულ ლიტერატურაში. კერძოდ, განვიხილოთ ასეთი შემთხვევა: გამყიდველი, რომლის მიზანი მის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისებაა, დებს ნარდობის ხელშეკრულებას შემფასებელთან ქონების რეალური ღირებულების დადგენის მიზნით, თუმცა შემფასებელი იმაზე ძვირად აფასებს ქონებას, ვიდრე რეალურად ღირს. როგორც კომპეტენტური პირის დასკვნას ენდობა მყიდველი და რეალურად, მისთვის წამგებიან გარიგებას დებს.<sup>67</sup>

ასეთი კაზუსის არსებობის პირობებში, არსებობს მოსაზრება, რომ ექსპერტის პასუხისმგებლობა პირდაპირ არ უნდა გამომდინარეობდეს სსკ-ის 394(1), 317(2) და 316(2) მუხლებიდან. ამ შემთხვევაში გამყიდველსა და შემფასებელს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ითვლება მყიდველის სასარგებლოდ დადებულ გარიგებად, რეალური ფასის დადგენის მიმართ ამ უკანასკნელის განსაკუთრებული ინტერესის არსებობის გამო, და შესაბამისად, უნდა გამოვიდეთ მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან (სსკ-ის 349-ე მუხლი), რომელიც მოთხოვნის უფლებას ანიჭებს, როგორც კრედიტორს, ასევე მესამე პირს. ამდენად, როდესაც

---

<sup>65</sup> *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, Verlag C.H. Beck, München, 2010, S.66, Rn.3. მითითებულია ნაშრომიდან: მესხიშვილი ქ., წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, წინარე ხელშეკრულება, ბე (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, VI, 2017, 31.

<sup>66</sup> *მარიამიძე გ.*, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, I ნაწილი, I გამოცემა, თბილისი, 2011, 46.

<sup>67</sup> იხ. იქვე.



სპეციალისტი შეცდომას უშვებს შეფასებაში, იგი არღვევს კეთილსინდისიერებისა და ჯეროვანი შესრულების ვალდებულებებს (სსკ 361(2), რაც წარმოშობს მესამე პირის მოთხოვნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას შემფასებლის მიმართ სსკ-ის 394(1), 317(2), 316(2), 339 და 341(1) მუხლების ანალოგიის საფუძველზე.<sup>68</sup>

გ) მესამე პირის ინტერესი ხელშეკრულების დადების მიმართ

ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ მესამე პირი მოქმედებდეს საკუთარ ინტერესებში და ცხადი უნდა იყოს, რომ იგი ამგვარი ხელშეკრულების დადებით გარკვეულ სარგებელს იღებს<sup>69</sup> და აღნიშნულით, ფაქტობრივად, ხელშეკრულების მხარედ გვევლინება.<sup>70</sup>

დ) განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ მყოფი პირები

მაგალითისთვის განვიხილოთ შემდეგი შემთხვევა, სუპერმარკეტში საყიდლებზე დედასთან ერთად წასულ ბავშვს ფეხი უცურდება სალათის ფურცელზე და დაცემის შედეგად ზიანდება მანამ, სანამ დედა რაიმე ნივთს შეიძენს.<sup>71</sup> ცალსახაა, რომ დედა, რომელიც უშუალოდ საქმიან კონტაქტში შედის გამყიდველთან, წინასახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეა. თუმცა, საინტერესოა, რამდენად შეიძლება ჰქონდეს შვილს წინასახელშეკრულებო ურთიერთობების საფუძველზე მოთხოვნის უფლება. ამ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს იმგვარი განმარტება, რომ სსკ 317(2) მუხლის დაცვის ფუნქცია შვილზეც ვრცელდება, როგორც წინასახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე პირის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ მყოფ პირზე.<sup>72</sup>

<sup>68</sup> *მარიამიძე გ.*, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, I ნაწილი, I გამოცემა, თბილისი, 2011, 47.

<sup>69</sup> BGHZ 74, 103, 108. მითითებულია ნაშრომში: *მესხიშვილი ქ.*, წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, წინარე ხელშეკრულება, ბე (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, VI, 2017, 33.

<sup>70</sup> *მარიამიძე გ.*, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, I ნაწილი, I გამოცემა, თბილისი, 2011, 48-49.

<sup>71</sup> BGHZ 66,57. მითითებულია ნაშრომში: *მესხიშვილი ქ.*, წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, წინარე ხელშეკრულება, ბე (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, VI, 2017, 33.

<sup>72</sup> *მარიამიძე გ.*, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, I ნაწილი, I გამოცემა, თბილისი, 2011, 49.

## 2.4. წინასახელშეკრულებო ურთიერთობათა განსხვავება სხვა სამართლებრივი ინსტიტუტებისგან

### 2.4.1. მიმართება წინარე ხელშეკრულებასა და სხვა წინასახელშეკრულებო შეთანხმებებთან

წინასახელშეკრულებო ურთიერთობა და წინარე ხელშეკრულება განსხვავებული სამართლებრივი ინსტიტუტებია.

სსკ-ის 327 (3) მუხლის მიხედვით, ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება. წინარე ხელშეკრულების ფუნქციური დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ მხარეები წინარე ხელშეკრულების დადებით ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულებას იღებენ.<sup>73</sup> ამდენად, წინარე ხელშეკრულება ჩვეულებრივი სამოქალაქო ხელშეკრულება - ორმხრივი ან მრავალმხრივი გარიგებაა.

წინარე ხელშეკრულებით მხარეები სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში, იღებენ ვალდებულებას მომავალში დადონ სხვა - ძირითადი ხელშეკრულება. აღნიშნული ვალდებულების დარღვევა კი განაპირობებს კონტრაქტის მოთხოვნის უფლებას ვალდებულების შესრულების თაობაზე, რაც შეიძლება ხელშეკრულების დადების დავალდებულებითაც გამოიხატოს.

წინასახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში, მოლაპარაკების მონაწილე მხარეები ხელშეკრულების დადების ვალდებულებით არ იბოჭებიან. ასეთ შემთხვევაში, მყიდველი, რომელიც მაღაზიაში პროდუქციის დათვალიერების მიზნით შედის და ამრიგად საქმიან კონტაქტს ამყარებს გამყიდველთან, რაც წინასახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია, უპირობოდ რაიმეს შექმნის ვალდებულებით იბოჭება, რაც ცალსახად, საკითხისამდის სამართლებრივ ლოგიკასთან აცდენილი მიდგომა იქნებოდა. წინასახელშეკრულებო ურთიერთობების მხარეს არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის გამო, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მისმა ქმედებამ გამოიწვია მოლაპარაკების

<sup>73</sup> მესხიშვილი ქ., წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, წინარე ხელშეკრულება, ბე (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, VI, 2017, 33.

მონაწილე მეორე მხარის გონივრული ნდობა, რომ ხელშეკრულება დაიდებოდა, რის საფუძველზეც შესაბამისი ხარჯი გასწია.<sup>74</sup>

შესაბამისად, წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში ხელშეკრულების დადების ან მოლაპარაკების ჩაშლა პასუხისმგებლობას იწვევს არა თავისთავად იმიტომ, რომ ხელშეკრულება, არ დაიდო, არამედ იმიტომ, რომ მოლარაკების მონაწილემ არაკეთილსინდისიერი, არაგულისხმიერი დამოკიდებულება გამოიჩინა მეორე მხარის მიმართ, მაშინ, როცა წინარე ხელშეკრულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის საფუძველი უშუალოდ ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულების შეუსრულებლობაა.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინარე ხელშეკრულების დანიშნულება ძირითადი ხელშეკრულების დადების მხარეთა ნების დეკლარირებასა და ამგვარი ნების სამართლებრივად მბოჭავი ხასიათის მინიჭებაში მდგომარეობს, ხოლო წინასახელშეკრულებო ურთიერთობა ესაა სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი სტადია.

აღნიშნულ სამართლებრივ კატეგორიებზე საუბრისას საინტერესოა ისეთი მსგავსი ტიპის სამართლებრივი მექანიზმების განხილვა, როგორცაა განზრახულობათა ოქმი (Letter of Intent), ურთიერთგაგების მემორანდუმი (memorandum of understanding), ოფცია, ჩარჩო-შეთანხმება.<sup>75</sup> უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ საშუალებებს, როგორც წესი, არ აქვს სამართლებრივად მავალდებულებელი დოკუმენტაციის ძალა და მხოლოდ მოლაპარაკების პროცესის ასახვის ფუნქცია გააჩნია. თუმცა ბუნებრივია, მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში საპირისპიროს დადგენაც შესაძლებელია. ამ ტიპის დოკუმენტაციის მიზანს, მტკიცების ტვირთიდან გამომდინარე, შესაბამისი ფაქტების დადასტურება წარმოადგენს, რომლის საფუძველზეც მხარეებმა შეიძლება გაწერონ წინასახელშეკრულებო მოსამზადებელი ეტაპისთვის გაწეული სამუშაო შედეგები.<sup>76</sup>

<sup>74</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 108.

<sup>75</sup> ბალიშვილი ე., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2016, მუხლი 327, ველი 24. <www.gccc.ge> (10.07.2019)

<sup>76</sup> Ehler in Beck'scher Online-kommentar BGB, Bamberger/Roth (Hrsg.) Verlag C.H. Beck, Stand: 01.08.2015, Edition: 36, §535, Rn. 15a www.beck-online.beck.de (10.10.2015). მითითებულია ნაშრომში: ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, 143.

ამდენად, აღნიშნული ინსტრუმენტები გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა მხარეებს ჯერ არ დაუდიათ ხელშეკრულება, თუმცა მომზადების პროცესი დაწყებულია და მხარეებს სურთ მოსამზადებელი პროცესის დოკუმენტალურად ასახვა.<sup>77</sup>

#### 2.4.2. განსხვავება კონტრაქტების იძულებისგან

სსკ-ის 319-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე, მაშინ საქმიანობის ამ სფეროში მას ეკისრება ხელშეკრულების დადების ვალდებულება. მას არ შეუძლია კონტრაქტს უსაფუძვლოდ შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, იმ პირებს, რომლებიც არასამეწარმეო მიზნებისათვის ან საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იძენენ ან სარგებლობენ ქონებითა და მომსახურებით, დაუსაბუთებლად არ შეიძლება ეთქვათ უარი ხელშეკრულების დადებაზე, თუკი ხელშეკრულების მეორე მხარე მოქმედებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში.

სსკ-ის ზემოთხსენებული ნორმით დადგენილი ხელშეკრულების დადების ვალდებულება იურიდიულ დოქტრინაში ცნობილია კონტრაქტების იძულების სამართლებრივი ინსტიტუტის სახელით. ამდენად, სსკ იცნობს ბაზარზე გაბატონებული სტატუსის მქონე პირის შეზღუდვის წინაპირობებს, რომელიც კონტრაქტების იძულების ჭრილში ასევე შეიძლება კეთილსინდისიერების პრინციპის უზრუნველყოფისკენ მიმართულ ნორმადაც შეფასდეს,<sup>78</sup> რაც „სუსტი მხარის“ ინტერესების დაცვით გამოიხატება.

კონტრაქტების იძულებისას ბაზარზე გაბატონებული სტატუსის მქონე პირის სურვილი (ნება) პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ მისი საქმიანობის დაწყების მომენტიდანვე გამოვლენილი, რაც მას ხელშეკრულების დადების ვალდებულებით ბოჭავს.<sup>79</sup>

<sup>77</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 113.

<sup>78</sup> ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, 203.

<sup>79</sup> ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, 198.

კონტრაქტების იძულება, ისევე, როგორც ხელშეკრულების მომზადების პროცესი ხელშეკრულების დადებამდე ეტაპს მოიცავს. თუმცა culpa in contrahendo კონტრაქტების იძულება აბსოლუტურად დამოუკიდებელი სამართლებრივი მოვლენებია.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ წინასახელშეკრულებო ურთიერთობები, კონტრაქტების იძულებისგან განსხვავებით არ გულისხმობს ხელშეკრულების დადების ვალდებულებას, რაც მათი დიფერენცირების განმსაზღვრელ არსებით კრიტერიუმად უნდა ჩათვალოს. კონტრაქტების იძულება, ტერმინიდან გამომდინარეც, არსობრივად ხელშეკრულების დადების - კონტრაქტების ვალდებულებას, რაც სამოქალაქო ბრუნვის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფის საკანონმდებლო ინტერესით აიხსენება.

ამდენად, განსხვავების მთავარ საფუძველს სსკ-ის 317-ე მუხლისა და სსკ-ის 319-ე მუხლის მე-2 ნაწილებში არსებული მიზნები იძლევა: ერთი მხრივ, ხელშეკრულების დადებისთვის მომზადება და მეორე მხრივ, დადების ვალდებულება. კონტრაქტების იძულებისას იგულისხმება, რომ მხარის მიერ მოსამზადებელი ეტაპი უკვე გავლილია და იგი ასეთი პირობით იბოჭება.<sup>80</sup>

## **2.7. წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებების მნიშვნელობა ხელშეკრულების განმარტებისას**

ზოგადად, ხელშეკრულება, როგორც ორმხრივი ან მრავალმხრივი გარიგება, მხარეთა ორმხრივი ურთიერთთანამხვედრი ნების გამოვლენის შედეგია. ამდენად, რომელიმე პირობის ბუნდოვანების შემთხვევაში, ხელშეკრულება, რიპერ-ბულანჟეს ცნობილი გამოთქმის თანახმად, მოსამართლემ „უნდა ააღაპარაკოს“,<sup>81</sup> რაც ხელშეკრულების განმარტებას გულისხმობს. ნებისმიერი დებულება განიმარტება იმის მიხედვით, რეალურად რა სამართლებრივი შედეგის დადგომა სურდათ მხარეებს, ანუ რაზე გამოავლინეს ნება ხელშეკრულების კონტრაქტებმა.

საერთო სამართალში ნების გარეგნულ გამოხატულებას უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულების განმარტების პროცესში. მოსამართლე დენმანის მოსაზრებით, ხელშეკრულება გონების მდგომარეობა კი არ არის, არამედ

<sup>80</sup> *ჯორბენაძე ს.*, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, 217-218.

<sup>81</sup> *Ripert-boulanger*, Droit civil II (1975) no 4701, მითითებულია ნაშრომში: ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ, ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2001, 92.

მოქმედება და სწორედ ამ სახით არის გარკვეული ქცევის შედეგი, მხარეები უნდა გასამართლდნენ არა იმის მიხედვით, თუ რა ჩაიფიქრეს, არამედ მათი ნათქვამის, დაწერილის ან ნამოქმედარის მიხედვით“.<sup>82</sup> ამ მიზეზით საერთო სამართალში ზეპირი ჩვენებების წესი - Parol Evidence Rule - შეზღუდულად და მხოლოდ გამონაკლეს ვითარებაში გამოიყენება, ვინაიდან ის, რომ რეალური ნება შეიძლება მიმართული იყოს სრულიად სხვა ფაქტორებზე, საერთო სამართლისთვის ნაკლებს ნიშნავს, ვიდრე „ზეპირი ჩვენების წესის“ წყალობით მიღწეული სამართლებრივი სტაბილურობა.<sup>83</sup>

ამ მიდგომის მიმდევართა მიხედვით, სამართლებრივი ბრუნვის სტაბილურობის შენარჩუნების თვალსაზრისით, მართლწესრიგისათვის ნების შინაგანი გამოვლინება მხოლოდ იმდენად შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, რამდენადაც არ სცილდება ჩვეულებრივი სამართლებრივი აზრის ჩარჩოებს, რასაც გონიერი ადამიანი ანიჭებს თავის ნების გამოვლინებას.<sup>84</sup>

კონტინენტალური ევროპის სამართლის ქვეყნებში მხარეთა ნების დადგენის პროცესში, უპირატესობა მის შინაგან შინაარსს ენიჭება, ვინაიდან ნების ავტონომიის პრინციპის თანახმად, სამართლის სუბიექტთა ნების თავისუფალი გამოვლინება სამართლებრივ შედეგებს წარმოქმნის და მათი იურიდიული ძალის წყაროა, რადგან თავისთავად ნების გამოვლენაა მხოლოდ ძირითადი და მოქმედი, ეს შინაგანი და უხილავი ფენომენია.<sup>85</sup> ამდენად, ხელშეკრულებაში კონტრაქტების ნების გამოვლინება სიტყვებზე მეტად ფასობს.<sup>86</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ნების განმარტება მისი შინაგანი შინაარსის დადგენის საფუძველზე უდავოდ მეტად სამართლიანი მიდგომაა. ხელშეკრულება რეალურად ის სამართლებრივი აქტია, რისი მიღწევაც მხარეებს სურდათ,

---

<sup>82</sup> *Gross v. Lord Nugent* (1933) 5 B and Ad. 58, 110 Eng. Rep. 713. მითითებულია ნაშრომში: ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ, ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2001, 92.

<sup>83</sup> *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ, ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2001, 93.

<sup>84</sup> *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ, ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2001, 87.

<sup>85</sup> *Savigny, System des heutigen romischen Rechts III* (1840) 258. მითითებულია წიგნში: ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თბილისი, 2001, 86.

<sup>86</sup> D.50, 16, 219. მითითებულია წიგნში: ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ, ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2001, 87.

შესაბამისად, მისი განმარტებაც მათი რეალური ნების საფუძველზე უნდა მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნების გარეგნული გამოხატულების პრიმატისას, ხელშეკრულების დებულებების განმარტება რეალურად მნიშვნელობას კარგავს და ნებისმიერ შემთხვევაში, ის ნება, რაც სიტყვიერად აისახა, ობიექტურ მოცემულობად უნდა იქნეს მიღებული.

სამოქალაქო სამართალში მოქმედი ზოგადი სტანდარტის მიხედვით, კანონისა და ხელშეკრულების განმარტება კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით უნდა მოხდეს.<sup>87</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 157 პირდაპირ მიუთითებს ხელშეკრულების „კეთილსინდისიერების პრინციპის შესატყვისად და სამართლებრივი ბრუნვის ჩვეულებათა გათვალისწინებით“, აგრეთვე უაღრესად ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, განმარტების აუცილებლობაზე.<sup>88</sup> აღნიშნული კი ფაქტობრივად შეუძლებელია მხარეთა რეალური ნების დადგენის გარეშე.

მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების შინაგანი შინაარსის განსაზღვრაზე უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას. ხელშეკრულება კომუნიკაციის აქტია კომუნიკაციის გზით მიღებული.<sup>89</sup> ამ კუთხით უდიდესი მნიშვნელობა კეთილსინდისიერების პრინციპს ენიჭება, რომელსაც საერთაშორისო აქტებსა თუ ხელშეკრულებებში ხარვეზი შევსებისა და განმარტების ძირითად ბერკეტად იყენებენ.<sup>90</sup> შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია მხარეთა შორის ხელშეკრულების დადებამდე არსებული წინასახელშეკრულებო ურთიერთობები. განსაკუთრებით რთული, ბიზნეს-ხელშეკრულებების დადებისას, როგორც წესი, მხარეთა შორის მიმდინარეობს ხანგრძლივი, ზოგჯერ მრავალთვიანი მოლაპარაკების პროცესი. როგორც წესი, აღნიშნული მოლაპარაკებების ქრონოლოგია, განვითარება, მიღწეული შედეგები და ა.შ. აისახება წერილობით.

ზოგადად, ნების გამოვლენის განმარტებისას მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ ვინ არის ნების გამომვლენი, რა გარემოებებს შეეძლო გავლენა მოეხდინა მის მიერ შესაბამისი ფრაზის ფორმირებაზე, რა მნიშვნელობა შეიძლებოდა მიენიჭებინა ნების გამომვლენს კონკრეტულ

<sup>87</sup> *სტურუა ნ.*, ზიანის ანაზღაურება წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას შრომის სამართალში, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული), ვ. ზაალიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 265.

<sup>88</sup> *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ, ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2001, 90.

<sup>89</sup> *ზოიძე ბ.*, ბურდული ი., თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის აქტუალური საკითხები, თბილისი, 2018, 64.

<sup>90</sup> *Spagnolo L.*, Opening Pandora's Box: Good Faith and Precontractual Liability in the CISG, 21 Temp. Int'l & Comp. L.J. 261 (2007), 274.

ვითარებაში - როგორ მეტყველებს, წერს, რა ტერმინოლოგიას იყენებს, ასევე, მნიშვნელოვანია ადრესატის თვალსაწიერის გათვალისწინება, თუ როგორ აღიქვავდა ან უნდა აღექვა გაცხადებული ნება მიმღებს.<sup>91</sup> შესაბამისად, მოვლენათა ის ჯაჭვი, რომელიც წინ უსწრებდა მხარეთა საბოლოო ნების ფორმირებას, ერთ-ერთი ის უმნიშვნელოვანესი და უტყუარი ბერკეტია, რომელიც ნების შინაგან შინაარსის დადგენისთვის უნდა იქნას გამოყენებული, ვინაიდან ფაქტები გაცილებით უტყუარი მტკიცებულებებია ხელშეკრულების განსამარტებლად, ვიდრე გონიერი სუბიექტის შემეცნების უნარები.<sup>92</sup>

### III. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის მოქმედება წინასახელშეკრულებო ეტაპზე

#### 3.1. ხელშეკრულების თავისუფლების არსი და მნიშვნელობა კერძო სამართალში

სერ ჰენრი მენის მიხედვით, „საზოგადოების სვლა პროგრესის გზაზე ეს არის სვლა სოციალური სტატუსიდან ხელშეკრულებამდე“.<sup>93</sup> ეს ფრაზა ზუსტად ასახავს თანამედროვე კაცობრიობის სამართლებრივი აზროვნების იმ უდიდეს მონაპოვარს, როგორც ხელშეკრულების თავისუფლების იდეაა. XIX საუკუნეში კერძო სამართლის სფეროში საკანონმდებლო რეგულირება ჩაითვალა მზარდი კაპიტალიზმის ლიბერალური აზროვნების ნაყოფად და იგი გამოხატავდა წარმოდგენებს, რომელთა თანახმად, გონივრულად მოქმედ ადამიანს ძალუმს თავად, მოძველებული ფეოდალური, პოლიტიკური ან რელიგიური შეზღუდვების და წესებისგან დამოუკიდებლად განაგოს საკუთარი ბედი, მინიჭებული აქვს რა სრული თავისუფლება საკუთარი არსებობის ფორმირებისათვის და მასზე თავად არის პასუხისმგებელი.<sup>94</sup> ზოგადად, ეკონომიკური დამოუკიდებლობა შეუძლებელია სახელშეკრულებო დამოუკიდებლობის გარეშე, რაც კაპიტალისტურ

<sup>91</sup> *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 251.

<sup>92</sup> *ზოიძე ბ., ბურდული ი.*, თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის აქტუალური საკითხები, თბილისი, 2018, 64.

<sup>93</sup> Ancient Law (1865) 165, მითითებულია წიგნში: ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ, ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2001, 8.

<sup>94</sup> *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ, ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2001, 8.



ურთიერთობებში ხელშეკრულების თავისუფლების, როგორც ინსტიტუტის, უდიდეს დატვირთვაზე მიუთითებს.<sup>95</sup> შესაბამისად, ხელშეკრულების თავისუფლების, როგორც კერძო ავტონომიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოხატულების, პოპულარიზაცია და საჭიროება რამდენიმე ფაქტორითა იყო განპირობებული: კაცობრიობა ეკონომიკური განვითარების ახალ შედეგებს იმკის და, შესაბამისად, ეკონომიკური წინსვლისთვის მნიშვნელოვანია ხელშეკრულების თავისუფლების არსებობა, გლობალიზაციის პროცესის დამსახურებით, სამეწარმეო ბაზრის სივრცე უკიდურესად გაიზარდა, რასაც განვითარებულმა სახელმწიფოებმა ფეხი აუწყეს, მსოფლიოს მასშტაბით არ მოიძებნება ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც ყველა სახელშეკრულებო ურთიერთობას მოაწესრიგებს დეტალურად, ადამიანის შესაძლებლობების რეალიზაციისთვის საჭიროა მოქმედების ფართო არეალი, რათა შეხედულებისამებრ თავისუფლად გაიწეროს თითოეული სახელშეკრულებო პირობა, ხელშეკრულების თავისუფლება შეესაბამება სამართლის ლოგიკის პრინციპს.<sup>96</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლში გათქმული კერძო ავტონომიის ის უზოგადესი პრინციპი, რომ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეს შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი კანონით აუკრძალავი ქმედება, პირდაპირ კავშირშია სწორედ ხელშეკრულების დადების თავისუფლებასთან, რომელიც რეგლამენტირებულია ასევე სსკ-ის 319-ე მუხლის 1-ლ ნაწილში და რომლის მხედვითაც, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. ამდენად, მითითებული პრინციპი, როგორც კერძო ავტონომიის მნიშვნელოვანი გამოხატულება, გულისხმობს პირის შესაძლებლობას, დადოს ან არ დადოს ესა თუ ის ხელშეკრულება, შეარჩიოს მისთვის სასურველი კონტრაქტის პირობები და ხელშეკრულების მეორე მხარესთან შეთანხმებით თავისუფლად განსაზღვროს ამ ხელშეკრულების შინაარსი.<sup>97</sup> მეტიც, უფლება და ქმედუნარიან პირებს ნაბოძები აქვთ პრაქტიკულად შეუზღუდავი სახელშეკრულებო უფლებაუნარიანობა. ხელშეკრულებები, დადებული მათი ნების თავისუფალი გამოვლინების შედეგად, ითვლება

<sup>95</sup> *ჯორბენაძე ს.*, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, 56.

<sup>96</sup> *ჯორბენაძე ს.*, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, 34.

<sup>97</sup> *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 93.

ხელშეუხებლად, ხოლო მათი აღსრულების უზრუნველყოფა სასამართლოებს ევალებათ.<sup>98</sup>

ზოგადად, მოქმედების თავისუფლება, რომელიც კაპიტალისტური საზოგადოების უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია, განაპირობებს სწორედ პირის, როგორც სამოქალაქო ბრუნვის დამოუკიდებელ, სრულფასოვან, პასუხისმგებლიან მონაწილედ ფორმირებას. სწორედ, პასუხისმგებლობის გრძნობა და ვალდებულების განცდა უდევს საფუძვლად ადამიანის არჩევანს - დადოს ხელშეკრულება ან არ დადოს იგი.<sup>99</sup> ქონებრივი პასუხისმგებლობის შიში ან მოსალოდნელი სიმდიდრის იმედი აიძულებთ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხელშეკრულების მონაწილეებს კარგად, ჯეროვნად და ხარისხიანად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები.<sup>100</sup>

თუმცა, დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეკონომიკური ძალების თავისუფალი თამაშის შედეგი ავტომატურად არ არის თანასწორობის და ჰარმონიის მომტანი, არამედ პირიქით, შეიძლება მოყვეს ერთი ეკონომიკური ბატონობა მეორეზე.<sup>101</sup> ხელშეკრულებათა თავისუფლების საფუძველში არსებული იდეალიზებული წარმოდგენები სრულწლოვან და საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებელ ინდივიდზე, რომელსაც დამოუკიდებლად შეუძლია იზრუნოს საკუთარ ინტერესებზე, შეგნებულად და მოფიქრებულად შეაფასოს თავისი ქმედებების შედეგები, დღეს აღარ შეესაბამება სინამდვილეს.<sup>102</sup> „მოლაპარაკების შესაძლებლობათა არათანაბარუფლებიანობა“ („inequality of bargaining power“) დღესდღეობით დოქტრინაში დისკუსიის საგანია - არის თუ არა ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა მოლაპარაკებაში მონაწილე სუსტი მხარის დაცვის მიზნით და ხომ არ დგას აუცილებლობა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი შეიცვალოს ან შეივსოს „ხელშეკრულებათა სამართლიანობის“ პრინციპით.<sup>103</sup>

ასეთ პირობებში, აღნიშნული პრინციპის მოქმედება არ უნდა იქნას გაგებული ერთმნიშვნელოვნად, რაც შესაძლოა გახდეს ერთი - შედარებით

<sup>98</sup> *Sir George Jessel M.R.* in *Printing and Numerical Registering Co.v.Sampson* 1875. L.R. 19 Eq. 462, 465. მითითებულია წიგნში: ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ, ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2001, 8.

<sup>99</sup> *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 93.

<sup>100</sup> იხ. იქვე.

<sup>101</sup> *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ, ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2001, 16.

<sup>102</sup> იხ. იქვე. 16.

<sup>103</sup> იხ.იქვე. 15.

სუსტი მხარის მიმართ უსამართლო შედეგის დადგომის საფუძველი. სამართალი კი, თავისი არსით, არ შეიძლება უშვებდეს უსამართლო შედეგის დადგომას და თანაც, ამგვარი უსამართლობის ლეგიტიმაციას გარკვეული ბერკეტებით. ის, რაც არ არის სამართლიანი, შესაძლოა, ასევე, არაკეთილსინდისიერი იყოს, ხოლო, არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ნამდვილობის საკითხი ეჭვქვეშ დგება, რაც ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველიც კი შეიძლება გახდეს.<sup>104</sup>

### **3.2. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის მიმართება წინასახელშეკრულებო ურთიერთობებთან**

ხელშეკრულების დადების თავისუფლება ხელშეკრულების თავისუფლების ერთ-ერთ მთავარ გამოვლინებას წარმოადგენს.<sup>105</sup> ხელშეკრულების დადების თავისუფლების საფუძველზე, პირი თავად წყვეტს დადებს თუ არ დადებს ხელშეკრულებას.

სსკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, 316-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობებით ვალდებულება შეიძლება ხელშეკრულების მომზადების საფუძველზეც წარმოიშვას. 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას.

ამდენად, სსკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილში გაკეთებული საკანონმდებლო დათქმა უთითებს ზოგადად 316-ე მუხლზე. მითითებული ნორმების სიტყვა-სიტყვითი განმარტების შემთხვევაში, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ წინასახელშეკრულებო ეტაპზე შესაძლოა პირს მოეთხოვოს არა მხოლოდ გულისხმიერების ვალდებულების დაცვა, არამედ კონკრეტული მოქმედების შესრულება, რაშიც წინასახელშეკრულებო მოლაპარაკების მიზნებიდან

<sup>104</sup> *ჯორბენაძე ს.*, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, 107.

<sup>105</sup> იხ. იქვე. 183.

გამომდინარე, პირველ რიგში, ხელშეკრულების დადების მოთხოვნა უნდა მოიაზრებოდეს. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, ყოფილა სასამართლოს მხრიდან საკითხისადმი მსგავსი მიდგომის შემთხვევა. კერძოდ, სასამართლომ უარი თქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ ხელშეკრულების დადება, როგორც სასარჩელო მოთხოვნა, დაყენებული არ ყოფილა.<sup>106</sup> ამ ლოგიკით გამოდის, რომ თუ მხარე მოითხოვდა კონკრეტული მოქმედების შესრულებას - ხელშეკრულების დადებას, სასამართლო დააკმაყოფილებდა აღნიშულ სარჩელს, რაც წინასახელშეკრულებო ურთიერთობებისა და ვალდებულებების არსიდან გამომდინარე ცალსახად არასწორი მიდგომაა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, წინასახელშეკრულებო მოლპარაკებებში შესვლა არ წარმოშობს მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადების ვალდებულებით ბოჭვას. წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა დგება მოლაპარაკების მონაწილე პირის მიერ უსაფუძვლოდ ნდობის ჩამოყალიბებისა და არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო და არა იმიტომ, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება არ დადებულა. ამდენად, ვალდებულების შესრულების - ხელშეკრულების დადების მოთხოვნა წინასახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე, ცალსახად, არასწორია იმდენად, რამდენადაც ასეთი ვალდებულება არ წარმოშობილა.

მისასაღმებელია, რომ ქართულ სასამართლოში ჩამოყალიბებული პრაქტიკის მიხედვით, ხელშეკრულები დადების დავალდებულება წინასახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში არ მოიაზრება და მისი საწინააღმდეგო გააზრება ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვად უნდა ჩაითვალოს,<sup>107</sup> ვინაიდან როგორც აღვნიშნეთ, ხელშეკრულების თავისუფლება თავის თავში მოიაზრებს ხელშეკრულების დადების თავისუფლებასაც, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება მხარის უფლებას საკუთარი შეხედულებისამებრ დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება (ბუნებრივია, თუ სახეზე არ გვაქვს გამონაკლისი შემთხვევები, მაგალითად, როგორცაა კონტრაქტების იძულება). შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც მხარეს ამგვარი ხელშეკრულების დადების ვალდებულება არ აუღია (მაგალითად, როდესაც სახეზე გვაქვს წინარე ხელშეკრულება) და ასეთი ვალდებულება არც კანონიდან გამომდინარეობს (კონტრაქტების იძულება),

<sup>106</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 21 მარტის განჩინება საქმეზე №3კ-1156-02. მითითებულია ნაშრომში: *ჯორბენაძე ს.*, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, 263.

<sup>107</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 11 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1039-974-2012. მითითებულია ნაშრომში: *ჯორბენაძე ს.*, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, 264.

მისი დაკისრება მხარისათვის ზღუდავს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილის ნებას, კერძო ავტონომიის პრინციპს, საკუთარი შეხედულებისამებრ, თავად განსაზღვროს სურს თუ არა შევიდეს სახელშეკრულებო ბოჭკით ურთიერთობაში სამოქალაქო ბრუნვის სხვა სუბიექტთან და აღნიშნულით იკისროს კონკრეტული ვალდებულებები, რაც, თავის მხრივ, შესაბამის სამოქალაქო პასუხისმგებლობას უკავშირდება.

აქედან გამომდინარე, 317-ე მუხლის მე-2 ნაწილის მითითება, რომ ხელშეკრულების მომზადების საფუძველზე ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას 316-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობებით, ცალსახად არასწორია. მითითებული მუხლის მიზანი არა ზოგადად 316-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებათა წარმოშობას გულისხმობს წინასახელშეკრულებო ეტაპზე, არამედ 316-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გულისხმიერების ვალდებულების დაცვას. შესაბამისად, აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზად უნდა ჩაითვალოს.

განსხვავებით სამოქალაქო კოდექსისგან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსში მოცემულ საკითხთან მიმართებით მსგავსი ბუნდოვანი ჩანაწერი არ გვხვდება. გსკ-ის § 241 1-ლი ნაწილის მიხედვით, რომელიც ძირითადად სსკ-ის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ანალოგია, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს ვალდებულების შესრულება. ვალდებულების შესრულება შეიძლება ასევე გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც. ხოლო გსკ-ის § 241 მე-2 ნაწილის თანახმად კი, თავისი შინაარსის მიხედვით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებების, ქონებრივი სიკეთისა და ინტერესების პატივისცემას. აღნიშნული ნორმა, თავის მხრივ, სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის ანალოგია. გსკ-ის 311-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი მითითებას აკეთებს, რომ წინასახელშეკრულებო ეტაპზე ვალდებულება § 241 მე-2 ნაწილის ვალდებულებებით წარმოიშობა. ამდენად, გსკ-ის 311-ე პარაგრაფით გსკ-ის 241-ე მუხლის პირველი ნაწილის მოქმედება წინასახელშეკრულებო ეტაპზე თავისთავად გამოირიცხება, რაც თავის მხრივ წინასახელშეკრულებო ვალდებულებათა განმარტებისას, გაზიარებულ უნდა იქნას საქართველოს სამართლებრივ სივრცეშიც.

#### IV. კეთილსინდისიერების პრინციპი წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში

##### 4.1. კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობა კერძო სამართალში

კეთილსინდისიერებას, როგორც სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტთა ქცევის სავალდებულო სტანდარტს, არსებითი ადგილი უჭირავს სამოქალაქო სამართალში. იგი ინდივიდის მოქმედებას სამართლიანობის კრიტერიუმთან ურთიერთკავშირში განიხილავს და მისი მოქმედების თავისუფლების ერთგვარი შეზღუდვაა.<sup>108</sup> აღნიშნული პრინციპი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს ავალდებულებს, უფლება-მოვალეობები განახორციელონ ურთიერთნდობისა და რწმენის საფუძველზე,<sup>109</sup> რაც გულისხმობს იმას, რომ კეთილსინდისიერი მოქმედების ვალდებულება ეკისრება სამოქალაქო სამართალურ ურთიერთობაში მონაწილე ნებისმიერ მხარეს. პირი ცალკეულ შემთხვევაში „კეთილსინდისიერად“ მიჯნავს სამართლიანს უსამართლოსგან და თავის ქცევას სამართლიანობის კრიტერიუმს შეუსაბამებს, ანუ მას უნდა სწამდეს, რომ სამართლიანად იქცევა - ისე როგორც ამას ობიექტური დამკვირვებელი თუ მიუკერძოებელი პირი სამართლიანად შეაფასებდა.<sup>110</sup>

კეთილსინდისიერების პრინციპი - *bona fides* რომის სამართლიდან იღებს სათავეს და მნიშვნელოვან ადგილს იკავებს *ius civile*-სა და რომაულ სამართლებრივ აზროვნებაში.<sup>111</sup> გერმანულ სამართალში კეთილსინდისიერება *bona fides* - შედგება *Treu und Glauben* კომპონენტებისგან, რაც ერთგულებასა და ნდობას აღნიშნავს.<sup>112</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში იგი განმტკიცებულია მე-8 მუხლის მე-3 ნაწილში, რომლის მიხედვითაც, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი და ასევე, სსკ-ის 361-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. კეთილსინდისიერი მოქმედების პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლებრივი

<sup>108</sup> *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 83.

<sup>109</sup> *ჭანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2017, მუხლი 8, ნაწილი 3, ველი 11. <www.gccc.ge> (12.07.2019).

<sup>110</sup> *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 83.

<sup>111</sup> *ვაშაკიძე გ.*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, 63.

<sup>112</sup> *Zimmermann R., Whittaker S. (eds.), Good Faith in European Contract Law, The Common Core of European Private Law Project, Bussani Mauro and Mattei Ugo (eds.), Cambridge, 2000, 18.*

ვალდებულება, სამოქალაქო სამართლის ნებისმიერ ინსტიტუტს თანაბრად ეხება. მეტიც, იგი გამოიყენება საკანონმდებლო თუ სახელმეკრულობა ხარვეზის შევსებისა თუ განმარტების მიზნებისთვის. კერძოდ, სამართალშემფარდებელი ვალდებულია ნებისმიერი საკანონმდებლო თუ სახელმეკრულებო დათქმა განმარტოს კეთილსინდისიერების ვალდებულების კონტექსტში. თუმცა იურიდიულ დოქტრინაში არსებობს მოსაზრება, რომ ამ თვალსაზრისით, გარკვეული პრობლემები განპირობებულია სსკ-ის მე-4 და, გარკვეულწილად, მე-5 მუხლებში მოცემული მოსამართლის „ქცევის ნიმუშით“, რომელიც უზღუდავს მოსამართლეს მოქმედების თავისუფლებას, განსაკუთრებით მე-4 II მუხლის საფუძველზე მოსამართლე ვალდებულია, გამოიყენოს კანონის ნორმა მაშინაც, თუ იგი მას უსამართლოდ ან არაზნეობრივად მიაჩნია.<sup>113</sup> თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის მე-8 (3) მუხლი არ არის დეკლარაციული ხასიათის ნორმა და იგი მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმადაც შეიძლება იქნას გამოყენებული.<sup>114</sup>

კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად მოქმედების ფარგლების დადგენისას მხედველობაში მიიღება მეორე მხარის ნდობის ხარისხი, რწმენა იმისა, რომ მისი ინტერესები სათანადოდ იქნება გათვალისწინებული<sup>115</sup> და ამდენად, კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად მოქმედების ფარგლები მეორე მხარის ნდობის პროპორციულია.<sup>116</sup> ნდობა განსაკუთრებით დიდია ორმხრივი საერთო ინტერესის არსებობის შემთხვევაში, რაც განპირობებულია მხარის ვარაუდით, რომ პირი არ იმოქმედებს თავისივე და, აქედან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების საზიანოდ.<sup>117</sup> სწორედ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ურთიერთნდობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, გსკ-ის 241-ე პარაგრაფი ადგენს შესრულებისას კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის ვალდებულებას, ჩვეულების ნორმების საფუძველზე, რაც გულისხმობს ნდობის, გულისხმიერების, ლოიალობის პრინციპების დაცვას, რომელთა დაკონკრეტება კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე ხდება.<sup>118</sup> ამდენად, ნდობის კრიტერიუმი არსებითია კეთილსინდისიერი მოქმედების შეფასების

<sup>113</sup> *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 95.

<sup>114</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 21 მაისის განჩინება საქმეზე N ას-221-213-2012 განჩინება, იხ. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 09 მარტის განჩინება საქმეზე საქმე №ას-898-848-2015.

<sup>115</sup> *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 86.

<sup>116</sup> *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 92.

<sup>117</sup> იხ. იქვე.

<sup>118</sup> *კროპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თ. დარჯანია და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, ე. ჩაჩანიძე, თ. დარჯანია, ლ. თოთლაძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, § 242, ველი 1, 113.

ფარგლების განსაზღვრის პროცესში. მეტიც, სამუშაოს კეთილსინდისიერად შესრულება თავისთავად ნავარაუდევია პირობაა ხელშეკრულებისთვის,<sup>119</sup> რაც გამომდინარეობს ხელშეკრულების მხარის კონტრაქტის მიმართ ნდობიდან. ამდენად, „ნაგულისხმევ პირობები“ („Implied Terms“) განიმარტება იმის მიხედვით, თუ კონკრეტულ შემთხვევებში ურთიერთნდობის ობიექტური შეფასებიდან გამომდინარე, რაზე შეიძლება შეთანხმებულიყვნენ მხარეები - რა მოლოდინი შეიძლება ჰქონოდათ კონტრაქტებს ერთმანებისგან.

საინტერესოა, ასევე ისიც, რომ მიუხედავად ინგლისურ სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპის ნაკლები მნიშვნელობისა, სახელშეკრულებო ხარვეზის შევსების ბერკეტად გარდა „კანონში ნაგულისხმევი პირობებისა“ („terms implied in law“), ამ უკანასკნელის ზოგადი ბუნებიდან გამომდინარე მისი ხელშეკრულების პირობებთან მისადაგების შეუძლებლობის შემთხვევაში, გამოიყენება „ფაქტობრივად ნაგულისხმევი პირობები“ („terms implied in fact“), თუ ხარვეზი იმდენად თვალსაჩინოა, რომ ხელშეკრულების კონტრაქტები ობიექტურ ვითარებაში შეთანხმდებოდნენ მის თავიდან აცილებაზე.<sup>120</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა გამოიყოს კეთილსინდისიერების პრინციპის სამი ძირითადი ფუნქცია: კონკრეტიკისა და შევსების ფუნქცია, შემაკავებელი ფუნქცია, კონტროლისა და კორექციის ფუნქცია, რაც გულისხმობს მხარეთა ვალდებულებების განმარტება-კონკრეტიკას კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, ნდობის ბოროტად გამოყენებისათვის პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას (შემაკავებელი ფუნქცია), ხელშეკრულებათა კონტროლისა და კორექციის შესაძლებლობას კეთილსინდისიერების პრინციპის ჭრილში.<sup>121</sup>

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს მხოლოდ სუბსიდიური - დამხმარე ხასიათი შეიძლება მიენიჭოს და იმ შემთხვევაში, თუ არსებული კანონების ანალოგიის სახით გამოყენება არსებითად აშკარა წამგებიან მდგომარეობაში აყენებს რომელიმე მხარეს ნდობისა და კეთილსინდისიერების ფუნქცია, როგორც უკიდურესი

<sup>119</sup> Anson/Guest, Law of Contract (1979) 139. მითითებულია წიგნში: ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ, ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2001 93.

<sup>120</sup> „Term implied in fact“, Treitel, 150 ff. მითითებულია წიგნში: ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ, ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2001, 94.

<sup>121</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, 65-67.



საშუალება გამოიყენება შედარებით ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად.<sup>122</sup>

Unidroit Principles-ის 1.7. მუხლი თავისუფალი მოლაპარაკების შესაძლებლობის პარალელურად,<sup>123</sup> კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის ვალდებულებას ადგენს, რომლის მიხედვითაც, ყოველი მხარე ვალდებულია იმოქმედოს კეთილსინდისიერებისა და სამართლიანი მოლაპარაკების საფუძველზე, რომლის დარღვევის ტიპიურ მაგალითადაც უფლების ბოროტად გამოყენება განიხილება.<sup>124</sup> იგივე მიდგომაა ესკ-ის<sup>125</sup> 1.106 მუხლის მიხედვითაც, რომელიც ხაზად გასდევს ევროპის სახელმწიფოებო სამართლის ყველა პრინციპს.<sup>126</sup>

#### 4.2. კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობა წინასახელმწიფოებო ეტაპზე

წინასახელმწიფოებო ურთიერთობებში მხარეთა ვალდებულებების ფარგლების განსაზღვრისთვის არსებითი მნიშვნელობა სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპსა და მის სპეციფიურ გამოვლინებებს უკავშირდება. როგორც, არაერთხელ აღვნიშნეთ, სამართალურთიერთობის ამ ეტაპზე მხარეთა ურთიერთდობის ფორმირება ხდება, რომელთა მიმართაც სამართალურთიერთობის სუბიექტებს კეთილსინდისიერი დამოკიდებულების ვალდებულება ეკისრებათ, რისი უგულებელყოფის შემთხვევაშიც შესაბამისი პასუხისმგებლობა დგება. პარტნიორისადმი პატივისცემით მოპყრობა - განსაკუთრებით, დროული ინფორმირების და გაფრთხილების ვალდებულება - ემყარება ფხიზელ და დამაჯერებელ ანგარიშიანობას და ეს ეხმარება სახელმწიფოებო რისკების სამართლიან განაწილებას მხარეთა შორის და ზრდის როგორც მათ მოგებას, ისე საზოგადოების კეთილდღეობას.<sup>127</sup>

<sup>122</sup> მარიამიძე გ., ვალდებულებითი სამართალი (სახელმწიფოებო სამართალი), ზოგადი ნაწილი, II ნაწილი, I გამოცემა, თბილისი, 2013, 21.

<sup>123</sup> Veillard I., The General and Commercial Character of the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, 2007 INT'L BUS. L.J. 479 (2007), 483.

<sup>124</sup> Unidroit Principles of International Commercial Contracts, 2016, 19, <<https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2016>>

<sup>125</sup> The Principles of European Contract Law (PECL), EU.

<sup>126</sup> Lando O., Beale H. (eds.), The Principles of European Contract Law, Dordrecht, 1995, 53.

<sup>127</sup> ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ, ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2001, 17.

ნდობისა და კეთილსინდისიერების ვალდებულების დარღვევად ჩაითვლება მოლაპარაკებებში შესვლა ან მოლაპარაკების წარმოება ხელშეკრულების დადების განზრახვის გარეშე, ხელშეკრულების დადება მისი შესრულების განზრახვის გარეშე ან წინასწარი შეცნობით, რომ ხელშეკრულება დაირღვევა.<sup>128</sup> გარდა აღნიშნულისა, ქართული სამართლიდან გამომდინარე, არაკეთილსინდისიერი ქცევის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება დასახელდეს მოლაპარაკებების უსაფუძვლოდ შეწყვეტა. ანუ საუბარია საპატიო მიზეზის გარეშე წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებების შეწყვეტაზე. ამ შემთხვევაში მეორე მხარეს, რომელსაც მიაჩნდა (ეგონა), რომ ხელშეკრულება დაიდებოდა, უნდა აუნაზღაურდეს ზიანი.<sup>129</sup>

ზოგადად, წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის წინაპირობა მხარეთა მიერ კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე მოლაპარაკებათა წარმოების ნაგულისხმევი ვალდებულებაა.<sup>130</sup>

საერთო ევროპული ნასყიდობის სამართალი (CESL)<sup>131</sup> 2(1) მუხლი მოლაპარაკების მონაწილე მხარეებს აკისრებს კეთილსინდისიერებისა და სამართლიანი მოლაპარაკების წარმოების ვალდებულებას. შემოთავაზებული რეგულაცია კეთილსინდისიერი და სამართლიანი მოლაპარაკების წარმოების კონცეფციას განმარტავს, როგორც ქცევის სტანდარტს, რომელიც ხასიათდება პატიოსნებით, გულწრფელობით და გარიგების ან ურთიერთობის მონაწილე მხარის ინტერესების გათვალისწინებით.<sup>132</sup>

საერთაშორისო დონეზე კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის ვალდებულება ასახულია ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1980 წლის „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ“ კონვენციის<sup>133</sup> 7(1) მუხლში, რომლის მიხედვითაც, კონვენციის განმარტებისას

---

<sup>128</sup> *Hondius, Ewoud H.(ed.)*, Precontractual liability: reports to the XIIIth Congress, International Academy of Comparative Law, Montreal, Canada, 18 - 24 August 1990, Deventer 1991, 11.

<sup>129</sup> *ხუნაშვილი ნ.*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014, 151. <[http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/disertaciebi\\_samartali/nino\\_xunashvili.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/nino_xunashvili.pdf)> (11.07.2019)

<sup>130</sup> *DiMatteo L.A., Dhooge L., Greene St., Maurer V., Pagnattaro M.*, International Sales Law: A Critical Analysis of CISG Jurisprudence, 2005, 33.

<sup>131</sup> Regulation of the European Parliament and of the Council on a Common European Sales Law.

<sup>132</sup> Art 2(b) Reg-CESL, See also, Schulze/Schulte-Nolke Art 2 para 9. Cited from: Steensgaard K., Twigg-Flesner Ch., Pre-Contractual Duties, The Common European Sales Law in Context – Interactions with English and German Law, Dannemann G., Vogenauer S.(eds), Oxford University Press, 2013, 220.

<sup>133</sup> United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG), April 11, 1980.

გასათვალისწინებელია მისი საერთაშორისო ხასიათი, მის გამოყენებაში ერთგვაროვნების და კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის აუცილებლობა. თუმცა, მოცემული დებულება ხელშეკრულების მხარეებს კი არ აკისრებს კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულებას, არამედ კონვენციის 7(1)-ე მუხლი ეხება მხოლოდ კონვენციის „განმარტებას“, შესაბამისად, სასამართლოებისადმი უფროა მიმართული, ვიდრე მხარეებისადმი <sup>134</sup> და წინასახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევისთვის კონკრეტულ სამართლებრივ მოწესრიგებას არ მოიცავს.<sup>135</sup> ამდენად, CISG კეთილსინდისიერების პრინციპთან მიმართებით კონვენციის მის შესაბამისად განმარტების იმპერატიულ დათქმას ადგენს.<sup>136</sup>

### 4.3. გულისხმიერების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლინება

#### 4.3.1. გულისხმიერების ვალდებულების შინაარსი

სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილში განმტკიცებული გულისხმიერების დაცვის ვალდებულება ადგენს, რომ თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას. გულისხმიერების ვალდებულება ბუნებრივი ვალდებულებაა (*naturalia negotii*), რომლის არსებობაც შეთანხმებაზე არ არის დამოკიდებული <sup>137</sup> და ამდენად, გამომდინარეობს ვალდებულებითი ურთიერთობის ბუნებიდან, მიუხედავად იმისა შეთანხმდნენ თუ არა მასზე მხარეები.<sup>138</sup> ამდენად, გულისხმიერების ვალდებულება შეიძლება ითქვას, რომ ხელშეკრულების ნაგულისხმევი პირობაა იმდენად, რამდენადაც მხარეებს წარმოეშობათ გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მეორე მხარე სათანადო გულისხმიერებით, პატივისცემით ეპყრობა მათ სამართლებრივად

<sup>134</sup> *ხუნაშვილი ნ.*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014, 46. <[http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/disertaciebi\\_samartali/nino\\_xunashvili.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/nino_xunashvili.pdf)> (11.07.2019).

<sup>135</sup> *Huber P., Mullis A.*, The CISG, Mainz and Norwich, 2007, 28.

<sup>136</sup> *Bruno Zeller*, Good Faith--The Scarlet Pimpernel of the CISG, 6 INT'L. TRADE & BUS. L. ANN. 227 (2001), 227.

<sup>137</sup> *ვაშაკიძე გ.*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 68.

<sup>138</sup> *ვაშაკიძე გ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი <[www.gccc.ge](http://www.gccc.ge)> , 2017, მუხლი 316, ნაწილი მე-2, ველი 26.

დაცულ სიკეთეებსა თუ ინტერესებს. „გულისხმიერების ვალდებულება მხარეებისათვის დამატებითი ვალდებულების დაკისრებას არ გულისხმობს, ყოველთვის ვალდებულების შინაარსშივე მოიაზრება და ერთგვარ მორალურ კატეგორიას განეკუთვნება. იგი შეიძლება გულისხმობდეს ასევე წინასახელშეკრულებო პერიოდში მხარის მიერ განხორციელებული ქმედებებისადმი პატივისცემას, აგრეთვე მისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასაც.<sup>139</sup>

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გულისხმიერების ვალდებულება მხარის ინტერესთა სიმრთელის (იგივე ინტეგრალური ინტერესი), ანუ status quo-ს დაცვაზეა მიმართული,<sup>140</sup> რაც იმას გულისხმობს, რომ მისი დაცვის მიზანი არსებული მდგომარეობის არა გაუმჯობესება, არამედ შენარჩუნებაა და, შესაბამისად, მისი დარღვევის შედეგად არსებული status quo-ს გაუარესება ხდება.

აღნიშნული გულისხმიერების პრინციპისა და კეთილსინდისიერი შესრულების განსხვავების ერთ-ერთ საფუძველად არის მითითებული იურიდიულ ლიტერატურაში. კერძოდ, გულისხმიერების პრინციპით ხდება პირის ნეგატიური ინტერესის დაცვა, რაც გულისხმობს იმ შედეგს, რომელიც არ დადგებოდა, რომ არა ხელშეკრულება და ზიანდება ის სიკეთე, რომელიც არ დაზიანდებოდა, რომ არა ხელშეკრულება.<sup>141</sup> აღნიშნულისგან განსხვავებით კეთილსინდისიერი შესრულება (სსკ-ის 361-ე მუხლი) მიმართულია ხელშეკრულებისადმი მხარის პოზიტიური ინტერესის დასაცავად, რაც გულისხმობს იმ შედეგს, რომელიც ხელშეკრულებამ კრედიტორს უნდა მოუტანოს.<sup>142</sup>

#### **4.3.2. გულისხმიერების ვალდებულებისა და კეთილსინდისიერების პრინციპის მიმართება**

იურიდიულ ლიტერატურაში კეთილსინდისიერების პრინციპის „სპეციალური კატეგორიად“ გამოყოფენ ისეთი ტიპის ვალდებულებებს, რომლებიც თავისი შინაარსით ნდობასა და კეთილსინდისიერებაზე

---

<sup>139</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-1498-1418-2017, იხ. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 13 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-809-809-2018 და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 27მარტის განჩინება საქმეზე №ას-1281-2018.

<sup>140</sup> ვაშკიძე გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი <www.gccc.ge> , 2017, მუხლი 316, ნაწილი მე-2, ველი 32.

<sup>141</sup> იხ. იქვე. ველი 33.

<sup>142</sup> იხ. იქვე.

დაფუძნებული ვალდებულებებია, მაგალითად, ასეთია ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, ასევე, ლოიალობის - გულისხმიერებისა და თანამშრომლობის ვალდებულებები.<sup>143</sup>

გულისხმიერება, როგორც სხვა პირის უფლებაზე, ქონებასა და სამართლებრივ სიკეთეთა პატივისცემის მოვალეობა, კეთილსინდისიერების პრინციპის მსგავსად ზნეობრივ ნორმებზე დაფუძნებული კანონისმიერი ვალდებულებაა, რომელიც სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტებს ავალდებულებს ისევე მოექცნენ სხვა პირთა სამართლებრივად დაცულ ინტერესებს, როგორც საკუთარს, რაც თავის მხრივ, ისევ და ისევ უფლებათა და მოვალეობათა კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად განხორციელებას უკავშირდება. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 241 (2) პარაგრაფი გულისხმიერების ნაცვლად პატივისცემის ტერმინს იყენებს, რაც კიდევ უფრო აკონკრეტებს იმ შინაარსს, რომელიც სსკ-ის 316 (2) მუხლით გათვალისწინებულ განსაკუთრებული გულისხმიერების სტანდარტში იგულისხმება და ხაზს უსვამს ურთიერთობის სუბიექტთა მიერ სამოქალაქო ბრუნვაში ზნეობრივი და ეთიკური სტანდარტის შესაბამისად, მონაწილეობის სამართლებრივ მოთხოვნას, რაც ჯამში კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველია.

ამდენად, გულისხმიერების ვალდებულება კეთილსინდისიერების დათქმის განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს, რაც შთაგონების წყაროთა იდენტურობით უნდა აიხსნას.<sup>144</sup>

#### **4.4. გულისხმიერების ვალდებულება წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში**

##### **4.4.1. გულისხმიერების მოვალეობა, როგორც წინასახელშეკრულებო ვალდებულების წარმოშობის საფუძველი**

სსკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილი წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძველად, უთითებს 316-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. როგორც აღვნიშნეთ, სსკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილის ზოგადი მითითება 316-ე მუხლზე საკანონმდებლო ხარვეზია. წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის არსიდან გამომდინარე

<sup>143</sup> *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 92-93.

<sup>144</sup> *ვაშაკიძე გ.*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 67-68.

ავტომატურად გამოირიცხება 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესი, რომელიც შესრულების ვალდებულებას ადგენს. შესაბამისად, ნორმის მიზნიდან გამომდინარე განმარტებისას, მითითება 316-ე მუხლზე გულისხმობს 316-ე მუხლის მე-2 ნაწილს, ანუ გულისხმიერების ვალდებულების საფუძველზე პასუხისმგებლობის დადგენას წინასახელშეკრულებო ურთიერთობათა ფარგლებში.

გსკ-ის 311-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი უთითებს 241-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილზე და ამბობს, რომ წინასახელშეკრულებო ვალდებულება მითითებული ნორმის დებულებებით წარმოიშობა. გსკ-ის 241 (2) პარაგრაფი კი, თავის მხრივ, ადგენს, რომ ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებების, ქონებრივი სიკეთისა და ინტერესების პატივისცემას. აღნიშნული ნორმით, შესრულების გარდა დამატებითი, სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულება დგინდება, როგორცაა გულისხმიერების, ინფორმაციის მიწოდების, მზრუნველობის განგრძობადი ვალდებულება.<sup>145</sup>

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ სამართალურთიერთობის წინასახელშეკრულებო ეტაპი მხარეებს არ ავალდებულებს ხელშეკრულების დადებას, ისინი იბოჭებიან ერთმანეთის ქონების, უფლებებისა და ინტერესების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულების ვალდებულებით. აქედან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის წინაპირობა სწორედ იმ ვალდებულების დარღვევა, რომელიც მეორე მხარის სამართლით დაცული სიკეთის პატივისცემასა და განსაკუთრებულ გულისხმიერებაში გამოიხატება.

#### **4.4.2. გულისხმიერების ვალდებულებათა ფორმები**

##### **4.4.2.1. ლოიალობის ვალდებულება**

არაერთხელ აღინიშნა, რომ წინასახელშეკრულებო ურთიერთობები, სადაც განსაკუთრებული, მეტიც არსებითი მნიშვნელობა გულისხმიერების ვალდებულებას ენიჭება, ხასიათდება ურთიერთნდობისა და ურთიერთპატივისცემის დაცვის კანონისმიერი ვალდებულებებით.

---

<sup>145</sup> კროკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თ. დარჯანია და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, ე. ჩაჩანიძე, თ. დარჯანია, ლ. თოთლაძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, § 241(2), ველი 1, 109.

სამართალური თეორიის ამ ეტაპზე პირის ქმედებას, რომელიც მეორე მხარეს დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს მისცემს, რომ ხელშეკრულება დაიდება, მხოლოდ ძალა აქვს და სწორედ მის დარღვევას უკავშირდება შესაბამისი სამართლებრივი შედეგი - წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა. კეთილსინდისიერების პრინციპის შემაკავებელი ფუნქცია მდგომარეობს სწორედ პირის მიერ ნდობის ბოროტად გამოყენებისათვის შესაბამისი შემაკავებელი სამართლებრივი მექანიზმის ჩამოყალიბებაში.<sup>146</sup>

ამდენად, კეთილსინდისიერი მოლაპარაკების ვალდებულებაში შეგვიძლია გამოვყოთ სამი ძირითადი კომპონენტი - კონფიდენციალურობის შენარჩუნება, სათანადო გულისხმიერების გამოვლენა, სერიოზულობის კომპონენტი - მოლაპარაკებათა დაწყება მხოლოდ შესაბამისი განზრახვის არსებობის პირობებში.<sup>147</sup>

Unidroit-ის პრინციპების 2.1.15 მუხლის მე-3 პარაგრაფის მიხედვით, არაკეთილსინდისიერად ჩაითვლება მოლაპარაკების პროცესში შესვლა ან მისი წარმოება, მეორე მხარესთან შესაბამისი ხელშეკრულების დადების განზრახვის გარეშე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ პირის თავისუფლება მოლაპარაკებათა პროცესის დაწყების ან წარმართვის ნაწილში შეუზღუდავი არ არის<sup>148</sup> და 1.7 მუხლით აღიარებულ კეთილსინდისიერებისა და სამართლიანი მოლაპარაკების ვალდებულებასთან შესაბამისობას მოითხოვს.<sup>149</sup>

CESL-ის მიხედვით, პასუხისმგებლობა წინასახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევისათვის დგება მხოლოდ მოლაპარაკებების ჩაშლის შემთხვევაში,<sup>150</sup> ამასთან, ხელშეკრულების გაფორმებაზე მოლაპარაკების შეწყვეტა წარმოშობს წინასახელშეკრულებო ვალდებულების

---

<sup>146</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 66.

<sup>147</sup> Marsden G. J.; Siedel G.J. The Duty to Negotiate in Good Faith: Are BATNA Strategies Legal, 14 BERKELEY BUS. L.J. 127 (2017), 134.

<sup>148</sup> Unidroit Principles of International Commercial Contracts, 2016, 60, <<https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2016>>

<sup>149</sup> Bonell M.J., An International restatement of contract law: the Unidroit principles of international commercial contracts, 2nd enl.ed. New York, 1997, 141.

<sup>150</sup> Steensgaard K., Twigg-Flesner Ch., Pre-Contractual Duties, The Common European Sales Law in Context – Interactions with English and German Law, Dannemann G., Vogenauer S.(eds), Oxford University Press, 2013, 219.

დარღვევას, თუ მოლაპარაკებების შემწყვეტი პარტნიორს ხელშეკრულების დადებისადმი დასაბუთებულ მოლოდინს (ნდობას) გაუჩენს.<sup>151</sup>

აქედან გამომდინარე, ლოიალობის ვალდებულების დარღვევად უნდა ჩაითვალოს პირის ნებისმიერი ქმედება, რომელიც ხელშეკრულების დადების ჩაშლის მაპროვოცირებელ გარემოებად ჩაითვლება, თუ ამგვარი ქმედება ეწინააღმდეგება პირის მიერ ურთიერთობაში ჩამოყალიბებულ ნდობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლოიალობის პრინციპის დარღვევა სახეზე არ იქნება.

#### 4.4.2.2. დაცვის და უსაფრთხოების ვალდებულებათა დარღვევა

გულისხმიერების ვალდებულება თავისი არსით, ითვალისწინებს მეორე მხარის ქონებისა და სხვა სამართლებრივი სიკეთეების დაცვის უზრუნველყოფას, რომელიც მხარეს სამართალურთიერთობის შინაარსის თავისებურებიდან გამომდინარე შეიძლება დაეკისროს. აღნიშნული შემთხვევის საილუსტრაციოდ შეგვიძლია ავიღოთ მაგალითი, როდესაც ავტოსამრეცხაოში მანქანის რეცხვისას ერთ-ერთი თანამშრომელი დააზიანებს მანქანის კარს.<sup>152</sup> ამ შემთხვევაში, მართალია პირდაპირი შესრულების ინტერესი მხარეს მანქანის გარეცხვასთან მიმართებით ჰქონდა, თუმცადა შესრულების მიზნიდან გამომდინარე, მას ასევე ჰქონდა გონივრული მოლოდინის საფუძველი, რომ მის ქონებას დაზიანების ან სხვაგვარი საფრთხე არ დაემუქრებოდა.

დაცვისა და უსაფრთხოების ვალდებულებათა განხილვის კონტექსტში აუცილებლად უნდა შევეხოთ სსკ-ის 317 (2) და 317 (3) მუხლების შემადგენლობას, კერძოდ, მოიცავს თუ არა აღნიშნულ ვალდებულებას მითითებული ნორმები. სსკ-ის 317 (2) მუხლის საფუძველზე, 316-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობებით ვალდებულება შეიძლება ხელშეკრულების მომზადების საფუძველზეც წარმოიშვას. 316-ე მუხლზე, კერძოდ, კი გულისხმიერების ვალდებულებაზე, ზოგადი მითითება გულისხმობს, რომ წინასახელშეკრულებო ეტაპზე ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას გულისხმიერების პრინციპის ყველა გამოვლინების საფუძველზე და ამდენად, დაცვისა და უსაფრთხოების ვალდებულება აღნიშნული ნაწილის დაცვის სფეროში ექცევა.

თუმცადა, 317-ე მუხლის მე-3 ნაწილი აკონკრეტებს, რომ მოლაპარაკების მონაწილეს შეუძლია მეორე მონაწილეს მოსთხოვოს იმ ხარჯების

<sup>151</sup> *მესხიშვილი ქ.*, წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, წინარე ხელშეკრულება, ბე (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, VI, 2017, 31.

<sup>152</sup> *ვაშაკიძე გ.*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 72.



ანაზღაურება, რომლებიც მან გასწია ხელშეკრულების დასადავად, მაგრამ ეს ხელშეკრულება მეორე მონაწილის ბრალეული მოქმედების შედეგად არ დადებულია. ამდენად, მითითებული ნდობა ხაზს უსვამს იმ ნდობის გაუმართლებლობის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე, რომელიც პირს მეორე მხარის შესაბამისი ქმედების საფუძველზე ჩამოუყალიბდა.

ამდენად, 317-ე მუხლის მე-3 ნაწილი, თავისი არსით, გულისხმობს პრინციპის ლოალობის ვალდებულებას მოიაზრებს. ნებისმიერი სხვა ტიპის გამოვლინება, რომელიც წინასახელშეკრულებო ბრალს უკავშირდება, ვერ მოექცევა მითითებული ნორმების რეგულაციის ქვეშ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი ხელშეკრულების დადების ჩაშლის უშუალო მაპროვოცირებელი საფუძველი არ გახდა.<sup>153</sup> შესაბამისად, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებაც, რომლის არსიც ნაშრომის შემდეგ თავშია განხილული, მოცემული საკანონმდებლო დანაწესის ფარგლებში მოექცევა იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება ან მიუწოდებლობა შესაბამისი ნდობის ფორმირების უშუალო საფუძველი გახდა. უნდა ითქვას, რომ გულისხმობს პრინციპის მსგავსი დავიწროება არ არის მისასაღმებელი და მასში უნდა მოიაზრობოდეს ასევე, დაცვისა და უსაფრთხოების ვალდებულება სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის, სსკ-ის 317-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებისა და სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის კუმულაციური განმარტების საფუძველზე, რომელიც მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს.

#### 4.4.2.3 ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას ჯერ კიდევ რომაული სამართალი ითვალისწინებდა, რომლის მიხედვითაც დუმილი ითვლებოდა კეთილსინდისიერების პრინციპის - *bona fides* დარღვევად.<sup>154</sup>

ფრანგული სამოქალაქო სამართალში გამოყოფენ კეთილსინდისიერების პრინციპის სულ მცირე ორ უმთავრეს გამოვლინება - ლოიალობის (ერთგულებისა) და ურთიერთთანამშრომლობის ვალდებულებებს.<sup>155</sup> სწორედ

<sup>153</sup> *ვაშაკიძე გ.*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 88-89.

<sup>154</sup> *Ruth Sefton-Green (ed.)*, *Mistake, Fraud and Duties to inform in European Contract Law*, New York, 2005, 46.

<sup>155</sup> *Musy A.M.*, *The Good Faith Principle in Contract Law and the Precontractual Duty to Disclose: Comparative Analysis of New Differences in Legal Cultures*, 1 GLOBAL JURIST [i] (2001), 3.

ეს უკანასკნელი - ურთიერთთანამშრომლობის ვალდებულება მოიაზრებს თავის თავში ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას.<sup>156</sup>

ინფორმაციის სრულყოფილ და ჯეროვან მიწოდებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წინასახელშეკრულებო ეტაპზე. იგი შეიძლება გულისხმიერების პრინციპის ერთ-ერთ გამოვლინებად ჩაითვალოს, ვინაიდან ინფორმაციის კეთილსინდისიერად მიწოდება შესაძლოა სწორედ არსებითი აღმოჩნდეს მეორე მხარის უფლებების, ქონებისა თუ სამართლებრივად დაცული ინტერესებისათვის ზიანის მიყენების კუთხით. წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში პირის მიერ ინფორმაციის გახმაურება, ასევე, იმ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა ან გამჟღავნებაზე უარის თქმა, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადების მიზნებისთვის, უნდა შეფასდეს კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო ქცევად, თუ მხარეს არ შეეძლო თავად მიეღო ამგვარი ინფორმაცია და მეორე მხარემ, რომლისთვისაც ცნობილი იყო ეს ინფორმაცია, არ გაუმჟღავნა, არ შეატყობინა, არ აცნობა იგი კონტრაქტს.<sup>157</sup>

ამგვარად, წინასახელშეკრულებო ურთიერთობების მონაწილე პირები ვალდებულნი არიან გასცენ მხოლოდ ისეთი ინფორმაცია, რომელიც რელევანტურია შესაბამისი ხელშეკრულების დასადავებად. ამასთან, უმნიშვნელოვანესია, რომ პირმა ინფორმაცია ისეთი სახით გასცეს, რომ ამ ქმედებამ ვალდებულების შესრულებას საფრთხე არ შეუქმნას, ანუ კონტრაქტის ინფორმირება შინაარსის თავისუფლების რეალიზაციის წინაპირობად შეიძლება იქნეს მიჩნეული.<sup>158</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება განმტკიცებულია 318-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც, ვალდებულებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს ამა თუ იმ ინფორმაციის მიღების უფლება. ინფორმაციის გაცემა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მაშინ, როცა მას მნიშვნელობა აქვს ვალდებულების შინაარსის განსაზღვრისათვის და კონტრაქტს შეუძლია საკუთარი უფლების შელახვის გარეშე გასცეს ეს ინფორმაცია.

---

<sup>156</sup> იხ. იქვე.

<sup>157</sup> ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014, 151. <[http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/disertaciebi\\_samartali/nino\\_xunashvili.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/nino_xunashvili.pdf)> (11.07.2019).

<sup>158</sup> ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, 240.

საინტერესოა ის გარემოება, რომ როგორც გულისხმიერების ვალდებულების ქვეტიპი, ინფორმაციის გაცემის ვალდებულება არსებობს მიუხედავად იმისა, იყენებს თუ არა მას დაინტერესებული პირი.<sup>159</sup> მეტიც, შესაძლოა ურთიერთობის რომელიმე მხარემ არც კი იცოდეს შესაბამისი ინფორმაციის არსებობა ან საჭიროება, შესაბამისად, პირი, როგორც ბრუნვის კეთილსინდისიერი მონაწილე, რომელმაც იცოდა აღნიშნული ინფორმაციის შინაარსი, მნიშვნელობა და ა.შ. ვალდებულია თავად მიაწოდოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. თუმცადა, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სსკ-ის 318-ე მუხლი გამორიცხავს ინფორმაციის გაცემის ვალდებულებას თუ აღნიშნულით ილახება მისი გამცემი პირის უფლებები. აღნიშნულს კი შესაძლოა ადგილი ჰქონდეს, მაგალითად, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში.<sup>160</sup> ამასთან, საინტერესოა ისიც, რომ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება არსებობს მაშინ, როცა სახეზეა ინფორმაციული ასიმეტრიულობა, მაშინ, როცა ურთიერთობის მონაწილე ორივე მხარის თანაბარი ინფორმაციული ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა აქვს, ამგვარი ვალდებულება აღარ არსებობს.<sup>161</sup>

#### **4.4.2.3.1. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება შრომითი ურთიერთობის წინასახელშეკრულებო ეტაპზე**

##### **4.4.2.3.1.1. ინფორმაციის მიწოდების ფარგლები**

წინასახელშეკრულებო ურთიერთობების მიმოხილვა შრომით ურთიერთობებში განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია, ვინაიდან აღნიშნული სამართალურთიერთობა თავისი არსით ე.წ. „სუსტ“ და „ძლიერ“ მხარეს შორის - ე.წ. დაქვემდებარებულ ურთიერთობებს წარმოადგენს, ვინაიდან შრომის ხელშეკრულების ფარგლებში დაქირავებული ვალდებულია, სამუშაო შეასრულოს დამქირავებლის მითითებების შესაბამისად, რის სანაცვლოდაც დამქირავებელი ვალდებულია, მას გადაუხადოს შესაბამისი ანაზღაურება.<sup>162</sup> შესაბამისად, სამართალი, როგორც დაბალანსებისა და გაწონასწორების ბერკეტი, განსაკუთრებულ დაცვის

<sup>159</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 70.

<sup>160</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 72.

<sup>161</sup> Franklin E.H., Mandating Precontractual Disclosure, 67 U. MIAMI L. REV. 553 (2013), 561.

<sup>162</sup> ჩაჩავა ს., მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011, 97 - <[http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Disertaciebi/sofio\\_chachava.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/sofio_chachava.pdf)> (05.07.2019).

მექანიზმებს ადგენს დასაქმებულისათვის, როგორც ხელშეკრულების უფრო „სუსტი“ მხარისათვის,<sup>163</sup> თუმცა ბუნებრივია, დამსაქმებელი უფლებების დაცვასაც უზრუნველყოფს.

შრომით სამართალში წინასახელშეკრულებო ურთიერთობების მომწესრიგებელი კონკრეტული დებულება მოცემულია საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის<sup>164</sup> მე-5 მუხლში, რომელიც შრომითი ხელშეკრულების დადებისთვის რელევანტური ინფორმაციის მიწოდების ურთიერთვალდებულებას ადგენს და გამორიცხავს ისეთი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, რომელიც არ არის დაკავშირებული სამუშაოს შესრულებასთან და არ არის საჭირო კანდიდატის მიერ კონკრეტული სამუშაოს შესრულების შესაძლებლობის შესაფასებლად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად (შრომის კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილი). ამდენად, მოთხოვნილი ინფორმაცია აუცილებელი უნდა იყოს სამუშაოსთვის პირის შესაფერისობისა და სამუშაოს დაუბრკოლებლად შესრულების შესაძლებლობის შესამოწმებლად.<sup>165</sup>

თავის მხრივ, პოტენციური დასაქმებული ვალდებულია **სამუშაოსთან რელევანტურ საკითხებზე** ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს დასაქმებულს. ამ კუთხით, მიზანშეწონილია შეკითხვის დასმის ფარგლების განსაზღვრა, რათა არ მოხდეს დასასაქმებელთა მიმართ არათანასწორი მოპყრობა და შეიზღუდოს დამსაქმებლის მიერ დისკრიმინაციული შეკითხვის დასმის საფუძველზე კანდიდატისათვის დასაქმებაზე უარის თქმის შესაძლებლობა.<sup>166</sup>

შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, დისკრიმინაციად არ ჩაითვლება იმგვარი ინფორმაციის მოთხოვნა (მაგალითად, ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე), რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება. აშშ-ს სამართალში გარკვეული

---

<sup>163</sup> ჩაჩავა ს., მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011, 101 - <[http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Disertaciebi/sofio\\_chachava.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/sofio_chachava.pdf)> (05.07.2019).

<sup>164</sup> საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს შრომის კოდექსი, სსმ, 75, 27/12/2010.

<sup>165</sup> საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, 2017, 167. <[https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed\\_dialogue/---lab\\_admin/documents/projectdocumentation/wcms\\_627047.pdf](https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_dialogue/---lab_admin/documents/projectdocumentation/wcms_627047.pdf)> (08.07.2019).

<sup>166</sup> ჩაჩავა ს., ქართული შრომის სამართლის ანალიზი, ხ. ყვირალაშვილის რედაქტორობით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2011, 7.

ტიპის შეკითხვები შეზღუდულუნარიანობის გამოვლენის საფუძვლად შესაძლოა ჩაითვალოს და შესაბამისი პასუხისმგებლობა დადგეს.<sup>167</sup> შეკითხვები, რომლებიც პირდაპირ დისკრიმინაციას მოიცავს, არ შეიძლება, იყოს გამართლებული დამსაქმებლის ინტერესით. ასეთ შეკითხვებად შეიძლება, ჩაითვალოს შეკითხვა ოჯახურ მდგომარეობაზე, ოჯახის დაგეგმვაზე. ორსულობის შესახებ შეკითხვა, შეიძლება, შეფასდეს არაპირდაპირ დისკრიმინაციად სქესის ნიშნით. ორსულობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულებასთან დაკავშირებით საინტერესოა გერმანული სასამართლო პრაქტიკა, რომელიც დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა იმგვარად, რომ ხელშეკრულების დადებამდე შეკითხვა ორსულობის შესახებ შეიცავს, როგორც წესი, არაპირდაპირ დისკრიმინაციას სქესის მიხედვით, რადგან იგი ამცირებს ქალთათვის დასაქმების შანსს. გერმანიის ფედერალურმა შრომითმა სასამართლომ დაუშვა გამონაკლისი, როდესაც განსხვავებული მიდგომა გაამართლა დედისა და ბავშვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკის არსებობით.<sup>168</sup>

საქართველოს საკანონმდებლო რეალობა შრომითი ურთიერთობების კუთხით ამ ეტაპისთვის არ იძლევა წინასახელშეკრულებო ეტაპზე პოტენციური დასაქმებულის დაცვის ზემომითითებულ მექანიზმებს მაშინ, როცა სწორედ ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნის უფლების რეალიზაციის ეტაპზე ხდება უმეტესად შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციული ნიშნით კანდიდატთა დიფერენცირება.<sup>169</sup>

---

<sup>167</sup> სტურუა ნ., ზიანის ანაზღაურება წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას შრომის სამართალში, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული), ვ. ზაალიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 243 და შემდგომი გვერდები.

<sup>168</sup> Erfurter Kommentar zum Arbeitsrecht/Preis, 16. Auflage 2016, BGB §611 Vertragstypische Pflichten beim Dienstvertrag, Rn 275; Erfurter Kommentar zum Arbeitsrecht/Schlachter, 16. Auflage 2016, MuSchG §5 Mitteilungspflicht, Rn 5, BAG 15.10.1992 NZA 1993, 257; Erfurter Kommentar zum Arbeitsrecht/Schlachter, 16. Auflage 2016, MuSchG §5 Mitteilungspflicht, Rn 5, BAG 20.2.1986 NZA 1986, 739; Erfurter Kommentar zum Arbeitsrecht/Schlachter, 16. Auflage 2016, MuSchG §5 Mitteilungspflicht, Rn 5, BAG 1.7.1993 NZA 1993, 933. მითითებულია წიგნში: საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, 2017, 168. <[https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed\\_dialogue/---lab\\_admin/documents/projectdocumentation/wcms\\_627047.pdf](https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_dialogue/---lab_admin/documents/projectdocumentation/wcms_627047.pdf)> (05.07.2019).

<sup>169</sup> სტურუა ნ., ზიანის ანაზღაურება წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას შრომის სამართალში, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული), ვ. ზაალიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 255.

#### 4.4.2.3.1.2. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის შედეგები შრომითი ხელშეკრულების დადების შემდეგ

კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, მხარეთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი.<sup>170</sup> ხელშეკრულების დადების დროს ვალდებულების ბრალეული დარღვევა თუნდაც შრომის ხელშეკრულების დადების შემთხვევაშიც იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, მაგალითად, თუკი შრომითი ურთიერთობა ვადამდე ადრე მთავრდება ან აზრს კარგავს მისი გაგრძელება ისეთი საფუძველით, რომელიც დამსაქმებელმა დასაქმებულს არ შეატყობინა ხელშეკრულების დადებამდე და ამით ბრალეულად დაარღვია განმარტების ვალდებულება.<sup>171</sup>

შრომითი ხელშეკრულება, როგორც მოტყუებით დადებული გარიგება შესაძლოა ბათილად იქნას ცნობილი, თუმცა აღნიშნული დასაშვები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებლის შეკითხვაზე კანდიდატის არასწორი პასუხი, მაგალითად, როდესაც შეკითხვა ეხება პირის ფიზიკური შესაძლებლობების შეზღუდვას, გავლენას მოახდენდა დამსაქმებლის შეხედულებაზე სამომავლო საქმიანობის თვალსაზრისით<sup>172</sup> და გარიგება ამ საფუძველით არ დაიდებოდა. ამდენად, ამ შემთხვევაში „მოტყუებულ“ მხარეს წარმოეშობა შეცილების უფლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლის საფუძველზე, რაც შედეგად იწვევს ასეთი ხელშეკრულების ბათილობას.<sup>173</sup>

თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული პოზიციაც. კერძოდ, შრომითი ურთიერთობის შეცილება მოტყუებით ან შეცდომით დადებული გარიგების საფუძველით შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს კეთილსინდისიერების პრინციპს და ამიტომ არ იქნეს გათვალისწინებული. კეთილსინდისიერების პრინციპი ირღვევა, თუკი ცალკეული შემთხვევის გარემოებების მიხედვით, მრავალწლიანი

<sup>170</sup> *სტურუა ნ.*, ზიანის ანაზღაურება წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას შრომის სამართალში, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული), ვ. ზაალიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 253.

<sup>171</sup> გერმანიის ფედერალური შრომის სასამართლოს გადაწყვეტილება, BAG, 02.12.1976 – 3 AZR 401/75, მითითებულია წიგნში: საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, 2017, 167. <[https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed\\_dialogue/---lab\\_admin/documents/projectdocumentation/wcms\\_627047.pdf](https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_dialogue/---lab_admin/documents/projectdocumentation/wcms_627047.pdf)> (05.07.2019).

<sup>172</sup> იხ. იქვე.

<sup>173</sup> იხ. იქვე.

საქმიანობის შემდგომ შეცვლების საფუძველს შრომითი ურთიერთობის შემდგომი გაგრძელებისთვის არავითარი მნიშვნელობა აღარ გააჩნია.<sup>174</sup>

#### 4.4.2.3.2. წინასახელშეკრულებო ურთიერთობა მომხმარებელთა უფლებების დაცვის კონტექსტში

სახელშეკრულებო სამართლის მთავარი ამოცანაა პრაქტიკულად განხორციელდეს „სახელშეკრულებო სამართლიანობა“, დაიცვას ხელშეკრულებაში უფრო სუსტი მხარე, დაავალდებულოს პარტნიორები ერთმანეთის ინტერესები გაითვალისწინონ და წაახალისონ ისინი, სახელშეკრულებო ურთიერთობები დაამყარონ თანამშრომლობასა და კეთილსინდისიერებაზე.<sup>175</sup> სწორედ ამ ინსპირაციის საფუძველზე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით წინასახელშეკრულებო ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულებას. თანამედროვე მართლწესრიგისათვის მეტად მნიშვნელოვანია, ეკონომიკური ურთიერთობების სწრაფ კომერციალიზაციას დაუპირისპიროს „სუსტი“ მხარის სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები, მათ შორის, „ძლიერი“ მხარის მომეტებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის შემოღების გზითაც.<sup>176</sup>

მომხმარებელთან, როგორც მოლაპარაკების მონაწილე „სუსტ მხარესთან“, წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის სათანადოდ მიცემის ვალდებულებას. მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ნათელი და აღქმადი (clear and comprehensible).<sup>177</sup> მეტიც, მიუხედავად ინფორმაციის მიწოდების ზოგადი ვალდებულების გათვალისწინებისა (პარაგრაფი 3:101(1)), DCFR<sup>178</sup> ცალკე

<sup>174</sup> გერმანიის ფედერალური შრომის სასამართლოს გადაწყვეტილება, BAG, 12.02.1970 – 2 AZR 184/69. საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, 2017, 167. <[https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed\\_dialogue/---lab\\_admin/documents/projectdocumentation/wcms\\_627047.pdf](https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_dialogue/---lab_admin/documents/projectdocumentation/wcms_627047.pdf)> (05.07.2019).

<sup>175</sup> ცვაიგერტი კ., კოტცი კ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ, ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2001, 16.

<sup>176</sup> *თოდუა მ., ვილემსი კ.*, ვალდებულებითი სამართალი, 2006, 42.

<sup>177</sup> *ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ.*, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბილისი, 2018, 130.

<sup>178</sup> Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR).

პუნქტად გამოყოფს მომხმარებლისათვის საქონლის შეთავაზებისას (3:102 პარაგრაფი) და ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით მნიშვნელოვნად უთანასწორო პირობებში მყოფი მომხმარებლისათვის (3:102 პარაგრაფი) ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების სპეციფიურ შემთხვევებს.<sup>179</sup>

გარდა ამისა, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების კუთხით საინტერესოა საერთო ევროპული ნასყიდობის სამართალი (CESL), სადაც დიფერენცირებულია ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება გარკვეული სპეციფიური შემთხვევებისთვის. კერძოდ, CESL-ს მე-13 მუხლი ეხება ისეთ ურთიერთობებს, როდესაც ხელშეკრულების იდება დისტანციურად (distance contracts) ან ხელშეკრულება იდება მომხმარებელთან ბიზნეს-საქმიანობის ადგილის მიღმა (off-premises contracts), მაგალითისთვის, მომხმარებლისათვის პროდუქციის ადგილზე (სახლში) შეთავაზების გზით. მომდევნო მუხლები ადგენენ ფასის, მათ შორის გადასახადების, მიტანის და სხვა საკომისიო გადასახადების ჩათვლით, საიდენტიფიკაციო მონაცემების, მისამართის, ხელშეკრულების პირობების, ხელშეკრულებაზე უარის თქმის თაობაზე სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. სატელეფონო ზარის მეშვეობით დისტანციური ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, მე-19 მუხლი ადგენს შემთავაზებლის ვინაობისა და კომერციული მიზნების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ დისტანციური კომუნიკაცია არ იძლევა სათანადო ინფორმაციის უზრუნველყოფის საშუალებას, შემთავაზებელი ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია მომხმარებელს მიაწოდოს შესაბამისი გზით. B2B (business to business) კონტრაქტებში CESL ადგენს პასუხისმგებლობას მისაწოდებელ საქონელსა თუ მომსახურებაზე იმ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის შემთხვევაში, რასაც ობიექტურად უნდა მოელოდეს მხარე ან თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ასეთი ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა კეთილსინდისიერი და სამართლიანი მოლაპარაკების სტანდარტის საწინააღმდეგოა (მუხლი 23). ამასთან, ცალკე დაცვის ობიექტია, ელექტრონული მოწყობილობების საშუალებით მოლაპარაკების წარმოების შემთხვევები (მუხლი 24, 25).<sup>180</sup>

---

<sup>179</sup> *Steensgaard K., Twigg-Flesner Ch.*, Pre-Contractual Duties, *The Common European Sales Law in Context – Interactions with English and German Law*, Dannemann G., Vogenauer S.(eds), Oxford University Press, 2013, 217.

<sup>180</sup> *Steensgaard K., Twigg-Flesner Ch.*, Pre-Contractual Duties, *The Common European Sales Law in Context – Interactions with English and German Law*, Dannemann G., Vogenauer S.(eds), Oxford University Press, 2013, 218, 231-233.



## V. წინასახელშეკრულებო ბრალი

### 5.1. ბრალის ნორმატიული და ფსიქოლოგიური თეორიები

სისხლის სამართლის მეცნიერებაში მე-20 საუკუნემდე დამკვიდრებული იყო ბრალის ფსიქოლოგიური თეორია, რომლის თანახმად, ბრალი ნიშნავს დამნაშავეს ფსიქიკურ დამოკიდებულებას საკუთარი ქმედებისადმი და მისით გამოწვეული შედეგისადმი, რაც გამოიხატება განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით.<sup>181</sup> თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერებაში აღიარებულია ბრალის წმინდა შეფასებითი ანუ ნორმატივისტული — „ნორმატიული“ თეორია, რომლის წარმოშობა უკავშირდება გერმანელი კრიმინალისტის, რ. ფრანკის 1907 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომს — „ბრალის ცნების აგებისათვის“, სადაც განიმარტა, რომ ბრალი არის არა ფსიქოლოგიური, არამედ ნორმატიული კატეგორია.<sup>182</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ბრალის ნორმატიულ თეორიას მიიჩნევდნენ ე.წ. ბურჟუაზიული მოსამართლის ხელისშემწყობად თვითნებობის განხორციელებისა და კანონიერების დარღვევის საქმეში,<sup>183</sup> იმ პერიოდის ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაჩნდა ბრალის ე.წ. ფსიქოლოგიურ-ნორმატიული თეორია, რომელიც იყო ფსიქოლოგიზმისა და ნორმატივიზმის ფუნდამენტურ ასპექტთა სინთეზი, რომლის მიხედვითაც, ბრალი ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულებაა ქმედებასა და შედეგთან, რომელიც იმსახურებს ზნეობრივ გაკიცხვას საზოგადოების მხრივ.<sup>184</sup>

საქართველოს დღევანდელი სისხლის სამართლის კოდექსი აღიარებს ბრალის ნორმატიულ თეორიას, რომლის მიხედვითაც, ბრალი ეს არის ნორმატიულ-შეფასებითი კატეგორია და გულისხმობს, ბრალდებულის გაკიცხვას ჩადენილი უმართლობის გამო.<sup>185</sup>

---

<sup>181</sup> ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), სამართლის ჟურნალი, N1, 2009, 87.

<sup>182</sup> იხ. იქვე.

<sup>183</sup> გამყრელიძე ო., ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსთვის, თბილისი, 1998, 254. მითითებულია ნაშრომში: ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), სამართლის ჟურნალი, N1, 2009, 87.

<sup>184</sup> წერეთელი თ., ტყუელიაძე გ., მოძღვრება დანაშაულზე, თბილისი, 1969, 60. მითითებულია ნაშრომში: ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), სამართლის ჟურნალი, N1, 2009, 87.

<sup>185</sup> გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება (2004 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით), ზოგადი ნაწილი, I წიგნი, თბილისი, 2005, 85. მითითებულია

## 5.2. ბრალი სამოქალაქო სამართალში

### 5.2.1. ბრალის ცნება

ბრალი არის ნებაუნარიანი პირის მიერ კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევა სხვა პირისათვის უარყოფითი შედეგის დადგომის გაცნობიერებით და სურვილით, ან სურვილის გარეშე, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილისათვის საჭირო გულმოდგინებისა და წინდახედულების დაუცველად.<sup>186</sup> ამდენად, ბრალის ცნებაში ამოსავალია სამოქალაქო ბრუნვისათვის ჩვეული ყურადღებიანობის მოთხოვნის დაცვა.<sup>187</sup> სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეები ვალდებულნი არიან ყოველ კონკრეტულ ვითარებაში გამოიჩინონ შესაბამისი წინდახედულება და ამდენად, თავიდან აიცილოს სხვა პირთა სამართლებრივად დაცულ სიკეთეთა არამართლობიერი ხელყოფა და შესაბამისი ზიანის დადგომა. პირის ბრალეულობის დასადგენად საჭიროა გაირკვეს, გამოავლინა თუ არა მან ნამდვილი მეურნისათვის, ჭეშმარიტი მესაკუთრისათვის დამახასიათებელი მზრუნველობა,<sup>188</sup> რაც დგინდება იმის მიხედვით, თუ რას მიიჩნევს გონივრულად იმავე პირობებში მოქმედი ობიექტური მესამე პირი კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით.<sup>189</sup>

ამგვარად, პასუხისმგებლობის დაკისრებისას საკმარისია არამხოლოდ მატერიალური ზიანის დადგომის ფაქტი, არამედ აუცილებელია გარეგანი მოქმედებით გამოვლენილი ქცევის დაკავშირება ადამიანის სულიერ მდგომარეობასთან,<sup>190</sup> და შესაბამისად, ბრალის კოგნიტური ელემენტის - მართსაწინააღმდეგო ქმედებით სხვისი სამართლებრივად დაცული სიკეთის შეცნობა.

---

წიგნში: ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), სამართლის ჟურნალი, N1, 2009, 88.

<sup>186</sup> ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), სამართლის ჟურნალი, N1, 2009, 89.

<sup>187</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. III, თბილისი, 2001, 370.

<sup>188</sup> Гражданское и торговое право зарубежных государств, т. 1, под ред. Васильева Е.А. и Комарова А. С., М., 2004, 467. მითითებულია ნაშრომში: ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), სამართლის ჟურნალი, N1, 2009, 88.

<sup>189</sup> ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, სამართლის ჟურნალი, N 1, 2009, 148.

<sup>190</sup> ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), სამართლის ჟურნალი, N1, 2009, 85.

### 5.2.2. ბრალის ფორმები

სსკ-ის 395-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს.

ამდენად, სამოქალაქო კოდექსის მითითებული ნორმის მიხედვით, ბრალის სამოქალაქო სამართლებრივი ფორმებია განზრახვა (dolus) და გაუფრთხილებლობა (culpa).<sup>191</sup> ანალოგიურად, გერმანული სამოქალაქო სამართლის თანახმად, ბრალეულად მოქმედებს ის, ვინც განზრახ ანუ შეგნებულად, ან გაუფრთხილებლობით ლახავს კანონით დაცულ ფასეულობას.<sup>192</sup>

განზრახვის ცნება შედგება ინტელექტუალური (კოგნიტური) და ნებელობითი (ვოლუნტატიური) ელემენტებისგან<sup>193</sup>, რაც საბოლოო ჯამში, გვაძლევს განზრახვის შემადგენლობას - შედეგის ცოდნა და სურვილი მართწინააღმდეგობის შეგნებით.<sup>194</sup>

შესაბამისად, განზრახვა სახეზე გვაქვს მაშინ, როდესაც პირი ნებელობით ახორციელებს კონკრეტულ მოქმედებას, იცის ამ მოქმედების მართსაწინააღმდეგო ხასიათი და შესაბამისი თანმდევი სავარაუდო შედეგი და სურს ასეთი შედეგის დადგომა ან არ სურს, თუმცა მიუხედავად ამგვარი ცოდნისა, მაინც ჩადის შესაბამის ქმედებას. ამგვარად, განზრახ მოქმედებს ის, ვინც აცნობიერებს თავისი მოქმედების როგორც შედეგს, ისე მისი მოვალეობისადმი წინააღმდეგობას და ამას აკეთებს საკუთარი სურვილით.<sup>195</sup>

<sup>191</sup> ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, სამართლის ჟურნალი, N 1, 2009, 149.

<sup>192</sup> ქობაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), სამართლის ჟურნალი, N1, 2009, 90.

<sup>193</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. III, თბილისი, 2001, 382.

<sup>194</sup> Wolfgang Fikentscher, Schuldrecht, 8.Auflage, Berlin-New-York, 1992, S.32; Much-komm-hanau, §276, Rn.49-50. Schellhammer Zivilrecht nach Anspruchs grundlagen, S.627. მითითებულია წიგნში: ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. III, თბილისი, 2001, 382.

<sup>195</sup> Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, Bd. I. Allgemeiner Teil. 14. Auflage, S.280. მითითებულია წიგნში: ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. III, თბილისი, 2001, 382.

რაც შეეხება ბრალის მეორე ფორმას - გაუფრთხილებლობას, გაუფრთხილებლად მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელ ყურადღებიანობას.<sup>196</sup>

სამოქალაქო სამართალში გაუფრთხილებლობა ფასდება ობიექტურობის კრიტერიუმით, ანუ რაც ობიექტურად მოეთხოვებათ სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტებს და რაც წარმოადგენს გაუფრთხილებლობისადმი წაყენებული ყურადღებიანობის ძირითად მასშტაბს.<sup>197</sup> ე.ი. გამოიყენება მსგავს სიტუაციაში გონიერი და კეთილსინდისიერი ადამიანის მოქმედების პრეზუმფცია.<sup>198</sup> ამ მოსაზრების საფუძველია გერმანული სამართლისათვის დამახასიათებელი ნდობის პრინციპი, რომლის თანახმად, სამართლებრივი ბრუნვის ყოველ მონაწილეს შეუძლია დაეყრდნოს იმ გარემოებას, რომ ბრუნვის ყველა სხვა მონაწილე იმოქმედებს ისეთი გულმოდგინებით, როგორც ნორმალურად მიიჩნევა.<sup>199</sup>

თავის მხრივ, გაუფრთხილებლობა კლასიფიცირდება უხემ (culpa lata) და მარტივ - უბრალო (culpa levis) <sup>200</sup> გაუფრთხილებლობად. უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი მოქმედებით აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს არღვევს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით.<sup>201</sup> აღნიშნულის საპირისპიროდ, შეიძლება ითქვას, რომ მარტივი ანუ უბრალო გაუფრთხილებლობა თავისი არსით უკავშირდება აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნების შედარებით დაბალი ხარისხით დარღვევას.

ზოგიერთ შემთხვევაში განზრახვა თავის თავში მოიაზრებს უხემ გაუფრთხილებლობასაც. <sup>202</sup> ესკპ-ის 1:301 III მუხლის თანახმად, უხეში

---

<sup>196</sup> Dieter Medicus. Schuldrecht, Allgemeiner Teil, 8. Auflage, S.149. მითითებულია წიგნში: ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. III, თბილისი, 2001, 385.

<sup>197</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001, 384.

<sup>198</sup> ქობაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), სამართლის ჟურნალი, N1, 2009, 90.

<sup>199</sup> ქობაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), სამართლის ჟურნალი, N1, 2009, 90-91.

<sup>200</sup> ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელმწიფო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, სამართლის ჟურნალი, N 1, 2009, 149.

<sup>201</sup> Wolfgang Fikentscher, Schuldrecht, 8.Auflage, Berlin-New-York, 1992, S. 314. მითითებულია წიგნში: ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. III, თბილისი, 2001, 386.

<sup>202</sup> ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელმწიფო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, სამართლის ჟურნალი, N 1, 2009, 151.

გაუფრთხილებლობა განზრახ ქმედებად ითვლება. განზრახ ქმედებად განიხილება პირის გაცნობიერებული ქცევა, რომელიც გამიზნულად მიმართულია ქმედების სამართლებრივი შედეგების წარმოშობისაკენ, ასევე უხეში გაუფრთხილებლობით განხორციელებული ქმედებაც, რომლის დროსაც პირი ითვალისწინებს თავისი ქცევის მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგს, მართალია, მიზანმიმართულად არ მიისწრაფვის, მაგრამ გულგრილად ეკიდება მის დადგომას.<sup>203</sup>

### 5.3. Culpa in contrahendo

#### 5.3.1. Culpa in contrahendo-ს ისტორიული განვითარება

Culpa in contrahendo-ს სამართლებრივი დოქტრინის განვითარება რუდოლფ ფონ იერინგის სახელს უკავშირდება. 1861 წელს, იერინგის მიერ culpa in contrahendos-ს სამართლებრივი ინსტიტუტის აღწერის შემდეგ, განვითარდა დოქტრინა წინასახელშეკრულებო ეტაპზე მხარეთა უფლებების დაცვის ფართო შესაძლებლობების კუთხით.<sup>204</sup> 1900 წლის გერმანიის სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არ ითვალისწინებდა აღნიშნულ სამართლებრივ ინსტიტუტს, თუმცაღა ძირითადი იდეა იგრძნობოდა კონკრეტული დებულებებში, ხოლო მოგვიანებით ხელშეკრულების სტანდარტული პრობების შესახებ 1976 წლის აქტი არაპირდაპირ მითითებას აკეთებდა აღნიშნულ ინსტიტუტზე, თუმცა საბოლოოდ 2002 წლის გერმანიის ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შემდეგ, წინასახელშეკრულებო ბრალის ინსტიტუტი პირდაპირ გაიწერა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 311 (2) პარაგრაფში.<sup>205</sup>

Culpa in contrahendo, სხვა სამართლებრივი ინსტიტუტებთან ერთად, გერმანიის ვალდებულებითი სამართლის სისტემის რეფორმის პროცესში ასევე დაექვემდებარა ახლებულ მოწესრიგებას, რომლითაც ფაქტობრივად მოხდა იურიდიულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მოსაზრებების საკანონმდებლო რეგლამენტაცია.<sup>206</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 311 (2) პარაგრაფი ადგენს ხელშეკრულების

---

<sup>203</sup> იხ. იქვე.

<sup>204</sup> *Mustafaraj B.*, Modern legal systems and the principle of “Culpa in Contrahendo”, *Academicus International Scientific Journal*, Musaraj A. ed., 2019, 80. <<http://www.academicus.edu.al/nr19/Academicus-MMXIX-19-080-094.pdf>> (02.07.2019).

<sup>205</sup> *Steensgaard K., Twigg-Flesner Ch.*, Pre-Contractual Duties, *The Common European Sales Law in Context – Interactions with English and German Law*, Dannemann G., Vogenauer S.(eds), Oxford University Press, 2013, 229.

<sup>206</sup> *Lowisch M.*, New Law of Obligations in Germany, R.L.R., 147. <<http://www.ritsumei.ac.jp/acd/cg/law/lex/rlr20/Manfred141.pdf>> (30.06.2019).

მომზადების ეტაპზე ამავე კოდექსის 241 (2) პარაგრაფით გათვალისწინებული ვალდებულების წარმოშობის წინაპირობებს. კერძოდ, მოცემული მუხლის შემადგენლობა სახეზეა თუ მხარეებს შორის დაწყებულია სახელშეკრულებო მოლაპარაკებების პროცესი, ხელშეკრულების დადების მიზნით დაწყებული მომზადების პროცესის საფუძველზე, თუ ერთი მხარე აძლევს უფლებას მეორე მხარეს გარკვეული ზემოქმედება მოახდინოს მის უფლებებზე, კანონით დაცულ ქონებრივ ან სხვა ინტერესებზე ან ანდობს მათ მეორე მხარეს, ამასთან, წინასახელშეკრულებო ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას სხვა საქმიანი კონტრაქტების საფუძველზე.<sup>207</sup>

ქართულ სამართალში, სსკ-ის 317-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში culpa in contrahendo-ს საკანონმდებლო რეგლამენტაცია გერმანული სამართლის გავლენით მოხდა.<sup>208</sup> პარადოქსია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი წინასახელშეკრულებო ბრალის ინსტიტუტს მანამდე იცნობდა, ვიდრე მისი კოდიფიცირება გერმანიის სამოქალაქო სჯულდებაში 2002 წლის რეფორმის შედეგად მოხდებოდა და კოდიფიცირებამდე ჩვეულებითი სამართლის სტატუსით ხვდებოდა ფედერაციული სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში და მხოლოდ ცალკეულ სასამართლო გადაწყვეტილებათა განზოგადების შედეგად შედგენილ, მაგრამ კაზუსტიკურად თემატიზირებულ სამართლებრივ მატერიას წარმოადგენდა.<sup>209</sup>

### 5.3.2. წინასახელშეკრულებო ბრალის შინაარსი

ტერმინი Culpa in contrahendo ხელშეკრულების დადებისას, კონტრაპირებისას ბრალეულ ქმედებას აღნიშნავს. როგორც მეცნიერებაში, ასევე სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ ხარჯებს მხარეები თავად კისრულობენ, მაგრამ თუკი აღმოჩნდება, რომ თითქმის გამზადებული ხელშეკრულება არ დაიდო მეორე მხარის ბრალით, ამ შემთხვევისთვის სასამართლო პრაქტიკამ განავითარა ნორმათა მთელი ჯგუფი, რომელიც ბრალეულ მხარეს აკისრებს პასუხისმგებლობას.<sup>210</sup> მოლაპარაკებები ზოგადად

<sup>207</sup> იხ. იქვე.

<sup>208</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 86.

<sup>209</sup> იხ. იქვე.

<sup>210</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 75.

არ იწარმოება უფასოდ და იგი შესაბამის ხარჯებს უკავშირდება.<sup>211</sup> ვიწრო გაგებით, დღეს აღნიშნული ინსტიტუტი მოიაზრება როგორც კონტრაქტის პასუხისმგებლობა მოლაპარაკებათა ბრალეული ჩაშლისათვის, თუ მან მეორე მხარეში საფუძვლიანი ნდობა აღძრა, რომ ხელშეკრულება დაიდებოდა და მეორე მხარემ ამ ნდობის საფუძველზე იმოქმედა და ზიანი განიცადა.<sup>212</sup>

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „Culpa in contrahendo-ს ინსტიტუტი ძირითადად იცნობს ისეთ გამოვლინებას, როგორცაა მოლაპარაკებათა ჩაშლა საპატიო მიზეზის გარეშე. ხელშეკრულების თავისუფლება გულისხმობს არამხოლოდ ხელშეკრულების დადების უფლებას, არამედ მისი არდადების უფლებასაც. მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ უარი თქვან ხელშეკრულების დადებაზე და არ არიან ვალდებული დაასაბუთონ ეს გადაწყვეტილება. თუმცა ისეთ შემთხვევებში, როცა ერთ-ერთმა მხარემ მეორე მხარეში წარმოშვა გონივრული და რეალური ნდობა, რომ ხელშეკრულება დაიდებოდა და მეორე მხარემ ამ ნდობის საფუძველზე გონივრული ხარჯი გასწია, იმედგაცრუებულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ამ დანახარჯების ანაზღაურება“.<sup>213</sup>

წინასახელშეკრულებო ბრალის ინსტიტუტს იცნობს ასევე, საერთო ევროპული ნასყიდობის სამართალი (CESL), რომლის 2(1) მუხლი მოლაპარაკების მონაწილე მხარეებს აკისრებს კეთილსინდისიერებისა და სამართლიანი მოლაპარაკების წარმოების ვალდებულებას, ხოლო მეორე ნაწილის მითითებული ვალდებულებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის საფუძველს აფუძნებს.<sup>214</sup> მითითებული დებულება მხარეს უკრძალავს თავისი უფლების განხორციელებას ისე, რომ ამგვარი მოქმედებით ვერ მოხდება რომელიმე მხარის მიერ სარგებლის მიღება და აშკარაა, რომ პირი მოქმედებს მარტოდენ მეორე მხარისათვის ზიანის მიყენების მიზნით. ამასთან, მითითებული დებულება ადგენს იმ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს, რომელიც პირს მიადგა მეორე მხარის მიერ კეთილსინდისიერების ვალდებულების დარღვევის შედეგად. ასეთად

---

<sup>211</sup> *Kotz H., Flessner A., European Contract Law, Vol. 1: Formation, Validity and Content of Contracts; Contract and Third Parties, Translation - Tony Weir, New York, 1997, 34.*

<sup>212</sup> *ვაშაკიძე გ.,* სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 86.

<sup>213</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 09 მარტის განჩინება საქმეზე საქმე №ას-898-848-2015.

<sup>214</sup> *Steensgaard K., Twigg-Flesner Ch., Pre-Contractual Duties, The Common European Sales Law in Context – Interactions with English and German Law, Dannemann G., Vogenauer S.(eds), Oxford University Press, 2013, 216.*

შეგვიძლია განვიხილოთ მხარის მიერ მოლაპარაკებათა პროცესის წარმოება ხელშეკრულების დადების განზრახვის გარეშე.<sup>215</sup>

ამასთან, DCFR-ის მიხედვით, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს მოლაპარაკების მონაწილე მხარის წინმსწრებ განცხადებებსა და ქმედებებზე, რომლითაც ამ უკანასკნელმა მეორე მხარის ნდობა მოიპოვა, ხოლო ასეთ ვითარებაში, ნებისმიერი საპირისპირო ქმედება ან განცხადება გამოიწვევს კეთილსინდისიერი და სამართლიანი მოლაპარაკების წარმოების სტანდარტის დარღვევას.<sup>216</sup> აღსანიშნავია, რომ მოვალის მიერ განხორციელებული უნდა იყოს ისეთი ბრალეული მოქმედება, რომელიც ხელშეკრულების დადების მოლაპარაკებათა ჩაშლის უშუალო საფუძველი იყო. იურიდიულ დოქტრინაში გამოიყოფა ის ძირითადი შემთხვევები, რომელთა ბრალეული დარღვევაც, culpa in contrahendo-ს გამოვლინებად ითვლება. კერძოდ, წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისთვის პასუხისმგებლობა შესაძლოა დადგეს დაცვისა და უსაფრთხოების ვალდებულების დარღვევისთვის, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევისთვის, ხელშეკრულების დადების განზრახ ან გაუფრთხილებლობით შეფერხებისათვის, როცა ამგვარი შეფერხების მაპროვოცირებელი გარემოებათა ცოდნა ან თავიდან აცილება ერთ-ერთი მხარის რისკის სფეროს მიეკუთვნება, მოლაპარაკებათა მოშლა საპატიო მიზეზის გარეშე.<sup>217</sup>

### 5.3.3. წინასახელშეკრულებო ბრალის წინაპირობები

როგორც არაერთხელ აღინიშნა, ნდობის ფაქტორი, მოლაპარაკების მონაწილის საფუძლიანი ვარაუდი, რომელიც მეორე მხარის კონკრეტულ მოქმედებას ეფუძნება, წინასახელშეკრულებო ბრალის შერაცხვის და შესაბამისი პასუხისმგებლობის დადგომის არსებითი პირობაა.

ამდენად, შეგვიძლია გამოვყოთ ის კუმულაციური წინაპირობები, რომელთა არსებობის პირობებშიც სახეზეა culpa in contrahendo-ს სამართლებრივი შემადგენლობა. უპირველეს ყოვლისა, სახეზე უნდა გვექონდეს

<sup>215</sup> იხ. იქვე.

<sup>216</sup> *Steensgaard K., Twigg-Flesner Ch., Pre-Contractual Duties, The Common European Sales Law in Context – Interactions with English and German Law, Dannemann G., Vogenauer S.(eds), Oxford University Press, 2013, 221.*

<sup>217</sup> *გაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 88.*



წინასახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილის კონკრეტული ქმედება ან უმოქმედობა, რომელმაც მოლაპარაკების მეორე მხარეს გაუჩინა გონივრული მოლოდინი - ნდობა, იმისა, რომ ხელშეკრულება დაიდება. ბუნებრივია, აღიშნული ნდობა უნდა ემყარებოდეს ობიექტურ ვარაუდს და უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში ანალოგიურ პირობებში მყოფი, სხვა საღად მოაზროვნე ადამიანის შეფასების კრიტერიუმით, რომელსაც ეს კონკრეტული ქმედება იმავე მოლოდინს, გონივრული ვარაუდის საფუძველს მისცემდა. გარდა ამისა, აუცილებელი კომპონენტია ნდობით აღჭურვილი პირის მიერ კონკრეტული ქმედების განხორციელება აღნიშნული ნდობის საფუძველზე, რომელიც უშუალოდ მიმართული უნდა იყოს ან ემსახურებოდეს მოსალოდნელი ხელშეკრულების დადებას და ბოლოს, მეორე მხარის მიერ ისეთი ბრალეული ქმედება, რის საფუძველზეც ხელშეკრულება მხარეთა შორის ვერ დაიდება.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია შევაჯამოთ, რომ წინასახელშეკრულებო ბრალის შერაცხვისათვის, სახეზე უნდა გვქონდეს მოვალის ქმედება, რომელმაც კრედიტორში აღძრა საფუძველიანი ნდობა, კრედიტორის ქმედება ამ ნდობის საფუძველზე და მოვალის ბრალეული ქმედება, რომელიც ამ ნდობას ეწინააღმდეგება.<sup>218</sup>

## **VI. პასუხისმგებლობა წინასახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევისთვის**

### **6.1. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობები**

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ პასუხისმგებლობა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც იძულებითი საშუალებებით რეალიზებულ, სამართლის ნორმით დადგენილ სანქციასთან.<sup>219</sup> ეს ნიშნავს იმას, რომ პასუხისმგებლობა ეს არის ვალდებულების დარღვევისთვის სამართლის

<sup>218</sup> იხ. იქვე. 87.

<sup>219</sup> სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბილისი, 2016, 13.

შესაბამისი რეაგირება. ამდენად, ვალდებულების დარღვევა სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველია.<sup>220</sup>

რომის კლასიკური ეპოქიდან დღემდე სამოქალაქო სამართალში მოქმედებს უნივერსალური ფორმულა - თითოეული პასუხს აგებს მხოლოდ მისი ბრალით მიყენებული ზიანისათვის.<sup>221</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც, ძირითადად, ეყრდნობა ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს, რაც სამართალდარღვევაში ბრალის კომპონენტის არსებობის აუცილებლობას გულისხმობს. თუმცადა არსებობს გამონაკლისი, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევებიც თუ კანონით გათვალისწინებულია აღნიშნული და ვალდებულების არსიდანაც გამომდინარეობს (თუმცა ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევები არ წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზანს, შესაბამისად, მისი სიღრმისეული განხილვა მოცემული აღნიშნულ ნაშრომში მოცემული არ არის).

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის სახეზე უნდა გვექონდეს იმ პირობათა ერთობლიობა, რომელიც ქმნის სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობას.<sup>222</sup> აღნიშნული წინაპირობებია ზიანი, მართწინააღმდეგობა, მიზეზობრიობა და ბრალი.

ზიანი წარმოადგენს სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს,<sup>223</sup> ვინაიდან თუ არ არსებობს პირის სამართლებრივად დაცულ ინტერესთა ხელყოფა, რომელიც ობიექტურად დამდგარ ზიანში გამოიხატა, ვერც შესაბამისი პასუხისმგებლობა დადგება, ვინაიდან ეს უკანასკნელი, როგორც აღვნიშნეთ, სხვა პირის ქონების, უფლებებისა და ინტერესების ხელყოფის საფუძველზე გამოყენებული „სანქციაა“ და შესაბამისად, ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოხატულებას პოვებს მოვალეზე კანონით დადგენილი ქონებრივი ზემოქმედების ზომებში.<sup>224</sup> ამდენად, ზიანი ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის აუცილებელი წინაპირობაა, რომელიც

<sup>220</sup> ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), სამართლის ჟურნალი, N1, 2009, 80.

<sup>221</sup> ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), სამართლის ჟურნალი, N1, 2009, 83.

<sup>222</sup> *Matveev Г.К.*, Основания гражданско-правовой ответственности, М., 1970, 5. მითითებულია ნაშრომში: ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), სამართლის ჟურნალი, N1, 2009, 81.

<sup>223</sup> *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. III, თბილისი, 2001, 366.

<sup>224</sup> *თოდუა მ., ვილემსი ჰ.*, ვალდებულებითი სამართალი, 2006, 37.

პირის ქონებრივი ან არაქონებრივი სიკეთის არანებაყოფლობითი ხელყოფა.<sup>225</sup> შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი ინსტიტუტით სამართალი სამოქალაქო ბრუნვაში ბალანსსა და სტაბილურობას უზრუნველყოფს,<sup>226</sup> რაც გულისხმობს იმას, რომ ზიანის ანაზღაურების მიზანი პირველი მდგომარეობის აღდგენაა, რომელიც არ იარსებებდა, რომ არა მისი გამომწვევი პირის მართსაწინააღმდეგო ქმედება.

პასუხისმგებლობის დაკისრების მეორე წინაპირობა ესაა მართსაწინააღმდეგო ქმედება, ესე იგი ქმედება, რომელსაც კანონი პირდაპირ კრძალავს, ვინაიდან სსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება. ამასთან, მართლწინააღმდეგობა სამართალდარღვევის ობიექტური ნიშანია და მისი არსებობა არ არის დამოკიდებული მოვალის ცნობიერების ხასიათზე, ანუ იმაზე, აცნობიერებდა თუ არა ის თავისი მოქმედების სამართლებრივ ხასიათს.<sup>227</sup>

მესამე კომპონენტი ესაა დამდგარ ზიანსა და მართსაწინააღმდეგო ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა, რაც იმას გულისხმობს, რომ ქმედება უნდა იყოს შედეგის გამომწვევი უშუალო მაპროვოცირებელი ფაქტორი.

მიზეზობრიობის თეორიებიდან მნიშვნელოვანია ეკვივალენტური ანუ პირობათა ტოლფასოვნებისა და ადეკვატური მიზეზობრიობის თეორიებს. ეკვივალენტური ანუ პირობათა ტოლფასოვნების თეორია მიზეზობრიობას განიხილავს, როგორც მოქმედებათა ერთიან ჯაჭვს, რომელშიც ყველა პირობას თავისი როლი აკისრია.<sup>228</sup> ადეკვატური მიზეზობრიობის თეორიის მიხედვით კი, ქმედება შედეგთან მიზეზობრივ კავშირშია, თუ იგი წარმოადგენს ამ ქმედების უშუალო გამომწვევ მიზეზს, ანუ ამ ქმედების გარეშე კონკრეტული შედეგი ობიექტურად არ დადგებოდა. მეტიც, უნდა აღინიშნოს, რომ დოქტრინაში არსებული მოსაზრების მიხედვით, ადეკვატური მიზეზობრიობისას, სინამდვილეში საქმე ეხება არა

<sup>225</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 44.

<sup>226</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმწიფო სამართალი, თბილისი, 2014, 677.

<sup>227</sup> ქიჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებით სამართლებრივი კვლევა), სამართლის ჟურნალი, N1, 2009, 82.

<sup>228</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. III, თბილისი, 2001, 369.

მიზეზობრიობას, არამედ მოქმედებისა და შედეგის შეფასებით შედარება-შეპირისპირებას.<sup>229</sup>

სსკ-ის 412-ე მუხლის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. აქედან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მხარს უჭერს ქმედებასა და შედეგს შორის უშუალო კავშირის არსებობას და ამდენად, ამკვიდრებს ადეკვატური მიზეზობრიობის თეორიას, რომელმაც შეცვალა ეკვივალენტური ანუ პირობათა ტოლფასოვნების თეორია.<sup>230</sup>

ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენის შემდეგ, მოწმდება პირის ბრალეული მოქმედების საკითხი. როგორც აღინიშნა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ბრალის ობიექტური კონცეფცია ვლინდება ურთიერთობის მონაწილე პირის მიერ მზრუნველობის, გულისხმიერების, გონივრულობისა და წინდახედულობის იმ ხარისხით გამოვლენაში, რაც მას მოეთხოვება ვალდებულების ხასიათისა და სამოქალაქო ბრუნვისათვის ჩვეული პირობების შესასრულებლად.<sup>231</sup>

ზემოთაღნიშნული ოთხივე კომპონენტის არსებობის შემთხვევაში სახეზე გვაქვს სამართალდარღვევის შემადგენლობის ორგანიზმი, რომელსაც ქმნის სამართლებრივად ფასეულ სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობა, რომელთა თანაარსებობა მოვალეზე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია.<sup>232</sup>

## **6.2. წინასახელშეკრულებო ბრალი, როგორც წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისთვის პასუხისმგებლობის პირობა**

---

<sup>229</sup> იბ.იქვე., 370.

<sup>230</sup> *ქოჩაშვილი ქ.*, ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), სამართლის ჟურნალი, N1, 2009, 83.

<sup>231</sup> *სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ.*, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბილისი, 2016, 282.

<sup>232</sup> *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. III, თბილისი, 2001, 364.

Culpa in contrahendo-ს სამართლებრივი არსიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობა წინასახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევისთვის მხოლოდ ბრალეული ქმედების არსებობის შემთხვევაში დგება.<sup>233</sup>

სსკ-ის 317-ე მუხლის მე-3 ნაწილი წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დაკისრების სავალდებულო წინაპირობად მოლაპარაკების მონაწილის ბრალეულ ქმედებას მიიჩნევს, რის საფუძველზეც ხელშეკრულება მხარეებს შორის ვერ/არ დაიდო.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 280-ე პარაგრაფი BGB 311-ე პარაგრაფის მე-2 და მე-3 ნაწილების, ასევე, 241-ე პარაგრაფის შემადგენლობის არსებობის შემთხვევაში, წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გამო მოლაპარაკების მონაწილე ბრალეული პირის პასუხისმგებლობის საფუძველს ადგენს.<sup>234</sup>

აქედან გამომდინარე, ბრალი, როგორც წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის პირობა, აუცილებელი კომპონენტია და მასზე უნდა გავრცელდეს ყველა ის ზოგადი ხასიათის მოთხოვნა, რაც ზოგადად ბრალის დადგენისთვის უნდა იქნას გათვალისწინებული სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში.

### 6.2.1. წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი

წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას სახეზე არ არის ხელშეკრულება, ამიტომ როგორც აღინიშნა, მხარეებს ერთმანეთის მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების (ვალდებულების შესრულების) მოთხოვნის უფლება არ აქვთ და სსკ-ის 317-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე მოლაპარაკების ეტაპზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლიათ.<sup>235</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 317-ე მუხლის მე-3 ნაწილი, მხოლოდ იმ შემთხვევას მოიცავს თუ ერთ-ერთი მხარე ენდობა მეორე მხარის კონკრეტულ

<sup>233</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 92.

<sup>234</sup> კროკპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თ. დარჯანია და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, ე. ჩაჩანიძე, თ. დარჯანია, ლ. თოთლაძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, § 311, ველი 1, 197.

<sup>235</sup> მესხიშვილი ქ., წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, წინარე ხელშეკრულება, ბე (შედარებით სამართლებრივი ანალიზი), ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, VI, 2017, 30.

მოქმედებას და აღნიშნულის საფუძველზე გარკვეულ ხარჯებს გასწევს ხელშეკრულების დადების მიზნით. როგორც აღვნიშნეთ, აღნიშნული ნორმა თავისთავად არ მოიცავს დაცვისა და უსაფრთხოების ვალდებულებას. ასეთ ვითარებაში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო კოდექსის 317 (2) და 316 (1) მუხლებთან ერთად 394 (1) მუხლიც უნდა იყოს, რომლის მიხედვითაც, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

თანაბრალეულობის შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლი გამოიყენება, რომლის შესაბამისადაც, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყობს დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული.<sup>236</sup> რაც შეეხება ხანდაზმულობას, წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნებისათვის იმ ხელშეკრულების ხანდაზმულობის ვადები უნდა იქნეს გამოყენებული, რომლის დადებაც გამიზნული იყო.<sup>237</sup>

## **6.2.2. ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმისას დამსაქმებლის მიერ დასაბუთების ვალდებულების არარსებობა, როგორც წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველი**

საინტერესოა შრომის კოდექსის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, დამსაქმებელი ვალდებული არ არის დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული ნორმის მიზანი ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის შემთხვევაში დამსაქმებლის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებაა (გარდა დისკრიმინაციული ნიშნით უარის თქმის შემთხვევისა),<sup>238</sup> ვინაიდან თუ არ არსებობს ვალდებულება, არ არსებობს პასუხისმგებლობაც.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ შრომის სამართალი კერძო სამართლის ნაწილია. შესაბამისად, მასზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი უზოგადესი დებულებები, მოცემული დარგის სპეციფიკის

<sup>236</sup> იხ. იქვე. 32.

<sup>237</sup> იხ. იქვე.

<sup>238</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. მსჯელობა საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, 2017, 169. <[https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed\\_dialogue/---lab\\_admin/documents/projectdocumentation/wcms\\_627047.pdf](https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_dialogue/---lab_admin/documents/projectdocumentation/wcms_627047.pdf)> (07.07.2019).

გათვალისწინებით (შრომის კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილი). ამასთან, სსკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი ნორმა.

წინასახელშეკრულებო ურთიერთობათა მარეგულირებელი ზოგადი ნორმები შრომითსამართლებრივ ურთიერთობებსაც მოიცავს. როგორც ზემოთ აღინიშნა, წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა სახეზეა, როდესაც ხელშეკრულების მონაწილე პირები საქმიან კონტაქტს ამყარებენ ერთმანეთთან და ამა თუ იმ მხარის მოქმედება იწვევს მეორე მხარის გონივრული მოლოდინისა და ნდობის საფუძველს, რომ ხელშეკრულება დაიდება.

შრომის კოდექსის მე-5(8) მუხლის პირდაპირი წაკითხვის შემთხვევაში, იმგვარი ქმედების მიუხედავად, რომელიც პოტენციური დასაქმებულის ნდობას განაპირობებს, დამსაქმებლის მიერ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმა, არ იწვევს დამსაქმებლის წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობას. აღნიშნული აშკარა წინააღმდეგობაში მოდის წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის წარმოშობის ზოგად საფუძველთან.

ასეთ ვითარებაში, მოცემული ნორმის იდეა უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპის სტანდარტით, რომელიც თავის მხრივ, საფუძველად უდევს ჩამოყალიბებული ნდობის ბრალეული და უსაფუძვლო გაუმართლებლობისთვის პასუხისმგებლობის დადგენას. მაგალითად, თუ შრომითი ხელშეკრულების დადებამდე დამსაქმებლის ქმედება იძლევა გონივრული ვარაუდის საფუძველს, რომ ხელშეკრულება დაიდება და აღნიშნულის საფუძველზე პოტენციური დასაქმებული გასწევს კონკრეტულ ხარჯებს - შეუცვლის საცხოვრებელს, იქირავებს ბინას და ა.შ. ასეთ შემთხვევაში, ცალსახად, ნორმის უსამართლო განმარტება იქნებოდა, თუ ჩავთვლით, რომ დამსაქმებლის მიერ წინასახელშეკრულებო ეტაპზე ჩამოყალიბებული ნდობის მიუხედავად, ხელშეკრულებაზე უარის თქმისას, ამ უკანასკნელს არ უნდა დაეკისროს შესაბამისი პასუხისმგებლობა.

ამგვარად, მითითებული ნორმა უნდა განიმარტოს შემდეგნაირად - დამსაქმებელი არ არის ვალდებული დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მისმა მოქმედებამ შექმნა პოტენციური დასაქმებულის გონივრული ნდობისა და მოლოდინის საფუძველი და შესაბამისად, ხელშეკრულების დადებაზე უარის

თქმით დასაქმებულს მიადგა ზიანი. ასეთ ვითარებაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა სსკ-ის 317-ე მუხლი იქნება.<sup>239</sup>

### 6.3. წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ფარგლები

იერინგის თეორიის მიხედვით, ზიანი იყოფა პოზიტიურ და ნეგატიურ ზიანად, საიდანაც პოზიტიური ზიანი გულისხმობს მხარის იმ სრულ ინტერესს, რომელსაც იგი მიიღებდა ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, ხოლო რაც შეეხება ნეგატიურ ინტერესს, აღნიშნული, როგორც წესი, მოიცავს იმ ხარჯებსა და დანაკარგებს, რომელიც მხარემ გაიღო იმ რწმენით, რომ ხელშეკრულება დაიდებოდა.<sup>240</sup> იერინგი უპირატესობას მხარის ნეგატიურ ინტერესს ანიჭებდა და წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის ანაზღაურებად ზიანად მხოლოდ ის ხარჯი და დანაკარგი ითვლებდა, რომელიც მხარეს მიადგა მეორე მხარის ბრალეული ქმედების შედეგად ხელშეკრულების ვერ დადების გამო.<sup>241</sup>

317 (3) მუხლი მოლაპარაკების მონაწილეს მხოლოდ გაწვილებული ნდობით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას აძლევს (ნეგატიური, იგივე ნდობის ინტერესი), რაც ფაქტობრივი დანახარჯის და არა მოსალოდნელი მოგების ანაზღაურებას გულისხმობს.<sup>242</sup> ამგვარად, ანაზღაურებადი ზიანია ის დანახარჯი, რომელიც კეთილსინდისიერმა მხარემ გასწია ხელშეკრულების დადების მიზნით, ასევე ის ანაცდური სარგებელი, რომელსაც ის მიიღებდა რომ არა ნდობა მომავალი ხელშეკრულების დადების ფაქტში,<sup>243</sup> და არა დასადები ხელშეკრულებით მისაღები სარგებელი. მაგალითად, რომ არა პარტნიორისადმი ნდობა, პირი დადებდა სხვა მომგებიან გარიგებას და მიიღებდა შესაბამის სარგებელს. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ხელშეკრულების დაუდებლობის შემთხვევაში არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მიუღებელი შემოსავალი, როგორც პასუხისმგებლობა ვალდებულების ბრალეული დარღვევისათვის, ამასთან, შესაძლებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა,

<sup>239</sup> სტურუა ნ., ზიანის ანაზღაურება წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას შრომის სამართალში, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული), ვ. ზაალიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 267.

<sup>240</sup> *Mustafaraj B.*, Modern legal systems and the principle of “Culpa in Contrahendo”, *Academicus International Scientific Journal*, Musaraj A. ed., 2019, 83. <<http://www.academicus.edu.al/nr19/Academicus-MMXIX-19-080-094.pdf>> (02.07.2019).

<sup>241</sup> იხ. იქვე.

<sup>242</sup> *ვაშაკიძე გ.*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 82-83.

<sup>243</sup> *ვაშაკიძე გ.*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 92.



რადგან, ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მიცემამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ მხარეებმა ერთობლივად იმოქმედონ, ან ინფორმაცია მისცენ ერთმანეთს, რომლის გამჟღავნებამაც შესაძლოა ხელყოს რომელიმე მხარის ინტერესი.<sup>244</sup>

Unidroit Principles-ის 2.1.15 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პირი, რომელიც არაკეთილსინდისიერად ჩაშლის მოლაპარაკებებს, ვალდებულია აანაზღაუროს შესაბამისი ზარალი (losses). თუმცა იმავე მუხლში განმარტებული არ არის, თუ რას მოიცავს აღნიშნული ზარალი. ამ შემთხვევაში, უნდა გამოვივადოთ 7.4.1 მუხლიდან, რომელიც ანაზღაურებად ზიანს განმარტავს, როგორც განცდილ ზარალსა (loss) და განაცდურ სარგებელს“. ამდენად, Unidroit Principles არაკეთილსინდისიერად ჩაშლილი მოლაპარაკებისთვის ანაზღაურებად ზიანად გაწეულ ხარჯებს - ზარალს მიიჩნევს. <sup>245</sup> ამასთან, Unidroit Principles-ის 2.1.16. მუხლის დანაწესი, რომელიც უშვებს მოლაპარაკებისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში, ვალდებულების დარღვევისთვის მხარისათვის იმ სარგებლის დაკისრებას, რომელიც ამ უკანასკნელმა აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნებით მიიღო, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ასევე შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში შესაბამისი ხარვეზის შესავსებად.<sup>246</sup>

DCFR-ის 3:101(3) პარაგრაფის საფუძველზე, წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის ანაზღაურებას ექვემდებარება მეორე მხარის მიერ გაწეული ხარჯები, შესრულებული სამუშაო და მეტიც, ის დანაკარგი, რომელიც მხარემ მიიღო იმ ხელშეკრულებების საფუძველზე, რომელიც დადო ამ კონკრეტული ხელშეკრულების დადების მოლოდინის საფუძველზე.<sup>247</sup>

დღესდღეობით დამკვიდრებული მიდგომის თანახმად, ნეგატიური ინტერესის საფუძველზე, კომპენსაციის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს იმ

---

<sup>244</sup> ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014, 150. <[http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/disertaciebi\\_samartali/nino\\_xunashvili.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/nino_xunashvili.pdf)> (11.07.2019).

<sup>245</sup> *Farnsworth E.A.*, Duties of Good Faith and Fair Dealing under the UNIDROIT Principles, Relevant International Conventions, and National Laws, 3 TUL. J.INT'L & COMP. L. 47 (1995), 58.

<sup>246</sup> *Berger K.P.*, Harmonisation of European Contract Law - The Influence of Comparative Law, 50 INT'L & COMP. L.Q. 877 (2001), 882.

<sup>247</sup> *Steensgaard K., Twigg-Flesner Ch.*, Pre-Contractual Duties, The Common European Sales Law in Context – Interactions with English and German Law, Dannemann G., Vogenauer S.(eds), Oxford University Press, 2013, 222.

ზიანის ოდენობას, რომელსაც მხარე მიიღებდა პოზიტიური ინტერესის არსებობისას.<sup>248</sup>

რიგ შემთხვევაში დაიშვება შესრულების ინტერესის მოთხოვნა გამონაკლისის სახით, რა დროსაც მხარე შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებას ითხოვს, მაგალითად, თუ მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება გამყიდველის ბრალით, ფორმის დაუცველობის გამო ბათილია, მაშინ მყიდველს შეუძლია ის ხარჯები მოითხოვოს, რომლის გაწევაც მას მსგავსი მიწის ნაკვეთის შეძენისას დამატებით მოუწევს. მაგრამ იგი ვერ მოითხოვს ხელშეკრულების გაფორმებას და მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემას.<sup>249</sup>

დასაშვებია ასევე იმ ხარჯების ანაზღაურება, რაც, მართალია, უშუალოდ ხელშეკრულების მომზადების მიზანს არ ემსახურება, თუმცა, წინასახელშეკრულებო ეტაპზე ნდობისა და კეთილსინდისიერების სტანდარტს არღვევს.<sup>250</sup>

---

<sup>248</sup> *Mustafaraj B.*, Modern legal systems and the principle of “Culpa in Contrahendo”, *Academicus International Scientific Journal*, Musaraj A. ed., 2019, 83. <<http://www.academicus.edu.al/nr19/Academicus-MMXIX-19-080-094.pdf>> (02.07.2019).

<sup>249</sup> BGH NJW 1965, 812. მითითებულია ნაშრომში: მესხიშვილი ქ., წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, წინარე ხელშეკრულება, ბე (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, VI, 2017, 32.

<sup>250</sup> თბილისის სააკველაციო სასამართლოს 2014 წლის 19 ივნისის განჩინება საქმეზე №28/942-14.

## დასკვნა

წინამდებარე კვლევის შედეგად, გამოვლინდა კეთილსინდისიერების პრინციპისა და მისი ცალკეული გამოვლინებების, როგორც წინასახელშეკრულებო ურთიერთობათა ძირითადი არსის განმსაზღვრელი ფაქტორების, მნიშვნელობა წინასახელშეკრულებო ვალდებულებათა განსაზღვრის კონტექსტში. ამასთან, კვლევის შედეგად გამოკვეთილია ის ძირითადი ორიენტირები თუ რეკომენდაციები, რომელიც მიზნად ისახავს ქართულ სამართლებრივ სივრცეში culpa in contrahendo-ს ინსტიტუტის სისტემატიზაციასა და ოპტიმალურ საკანონმდებლო რეგლამენტაციას. კერძოდ:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დეფინირებული არ არის წინასახელშეკრულებო ურთიერთობათა შინაარსი. კერძოდ, სსკ-ის 317 (2) მუხლი მხოლოდ ხელშეკრულების მომზადებაზე უთითებს, თუმცა რას გულისხმობს ხელშეკრულების მომზადება აღნიშნულს ნორმა არ განმარტავს. ამდენად, წინასახელშეკრულებო ურთიერთობის არსი სასამართლო პრაქტიკისა და დოქტრინის მიხედვით უნდა განიმარტოს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ადგენს წინასახელშეკრულებო ურთიერთობათა წარმოშობის დეტალურ საფუძვლებს და მითითებას მხოლოდ ხელშეკრულების მომზადებაზე აკეთებს. ამდენად, ამ მხრივ საინტერესოა გერმანული სამართლის მიდგომები მოცემული საკითხის მიმართ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 311 (2)-ის მიხედვით, ვალდებულება §241 მე-2 ნაწილის ვალდებულებებით ასევე წარმოიშობა (1) ხელშეკრულების დადებაზე მოლაპარაკების დაწყებით, (2) ხელშეკრულების მომზადებით, რომლითაც შესაძლო სახელშეკრულებო ურთიერთობის დადგენის მხედველობაში მიღებით ერთი მხარე მეორე მხარეს აძლევს თავის უფლებებზე, ქონებრივ სიკეთესა და ინტერესებზე ზემოქმედების შესაძლებლობას ან ანდობს მათ ამ მხარეს ან (3) მსგავსი საქმიანი კონტაქტით.

აქედან გამომდინარე, მსგავსად გერმანიის სამოქალაქო კოდექსისა, აღნიშნული ინსტიტუტის სრულყოფილი საკანონმდებლო რეგლამენტაციის მიზნით, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი დანაწესი, უნდა მოიცავდეს იმ წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში მხარეები შედიან წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში და შესაბამისად, იბოჭებიან წინასახელშეკრულებო ვალდებულებებით.

2. სსკ-ის 317 (3) მუხლი წინასახელშეკრულებო ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად „მოლაპარაკების მონაწილე“ პირს ასახელებს. თუმცა მითითებული ნორმა არ განმარტავს ვინ შეიძლება მოიაზრებოდეს ტერმინში „მოლაპარაკების მონაწილე“.

მოლაპარაკების მონაწილე პირის ფართო განმარტებას იძლევა გსკ-ს 311-ე პარაგრაფი, რომლის მე-3 ნაწილის მიხედვითაც, ვალდებულება ამავე კოდექსის 241 (2)-ე პარაგრაფის შესაბამისად შეიძლება ასევე წარმოიშვას იმ პირების მიმართ, რომლებიც არ მოიაზრებიან სამომავლოდ დასადები ხელშეკრულების მხარეებად. აღნიშნული წესი გამოიყენება მაშინ, როდესაც მესამე პირი განსაკუთრებით მაღალი ხარისხის ნდობის მოპოვების გზით ზეგავლენას ახდენს სახელშეკრულებო ვალდებულებების ფორმირებაზე ან მის დადებაზე.

ამდენად, მეტი საკანონმდებლო სიციხდისთვის, მიზანშეწონილია სსკ-ში დაკონკრეტდეს მესამე პირთა მიმართ წინასახელშეკრულებო ვალდებულების წარმოშობის შესაძლებლობა სათანადო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში.

3. სსკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილში გაკეთებული საკანონმდებლო დათქმა უთითებს ზოგადად 316-ე მუხლზე, რაც ცალსახად საკანონმდებლო ხარვეზად უნდა ჩაითვალოს. სსკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, 316-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობებით ვალდებულება შეიძლება ხელშეკრულების მომზადების საფუძველზეც წარმოიშვას. 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას. მითითებული ნორმების სიტყვა-სიტყვითი განმარტების შემთხვევაში, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ წინასახელშეკრულებო ეტაპზე შესაძლოა პირს მოეთხოვოს არა მხოლოდ გულისხმიერების ვალდებულების დაცვა, არამედ კონკრეტული მოქმედების შესრულება, რაშიც წინასახელშეკრულებო მოლაპარაკების მიზნებიდან გამომდინარე, პირველ რიგში, ხელშეკრულების დადების მოთხოვნა უნდა მოიაზრებოდეს., რაც

არასწორია. მითითებული მუხლის მიზანი არა ზოგადად 316-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებათა წარმოშობას გულისხმობს წინასახელშეკრულებო ეტაპზე, არამედ 316-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გულისხმიერების ვალდებულების დაცვას.

შესაბამისად, აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზად უნდა ჩაითვალოს და მითითება მხოლოდ 316-ე მუხლის მე-2 ნაწილზე უნდა გაკეთდეს.

4. წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში მხარეთა ვალდებულებების ფარგლების განსაზღვრისთვის არსებითი მნიშვნელობა სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპსა და მის სპეციფიურ გამოვლინებებს უკავშირდება. როგორც, არაერთხელ აღვნიშნეთ, სამართალურთიერთობის ამ ეტაპზე მხარეთა ურთიერთნდობის ფორმირება ხდება, რომელთა მიმართაც სამართალურთიერთობის სუბიექტებს კეთილსინდისიერი დამოკიდებულების ვალდებულება ეკისრება, რისი უგულებელყოფის შემთხვევაშიც შესაბამისი პასუხისმგებლობა დგება.

გულისხმიერების ვალდებულება თავისი არსით, ითვალისწინებს მეორე მხარის ქონებისა და სხვა სამართლებრივი სიკეთეების დაცვის უზრუნველყოფას, რომელიც მხარეს სამართალურთიერთობის შინაარსის თავისებურებიდან გამომდინარე შეიძლება დაეკისროს. გულისხმიერების ვალდებულება, რაც თავის მხრივ კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლინებაა, თავის თავში მოიცავს ასევე დაცვისა და უსაფრთხოების ვალდებულებას. 317-ე მუხლის მე-3 ნაწილი აკონკრეტებს, რომ მოლაპარაკების მონაწილეს შეუძლია მეორე მონაწილეს მოსთხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც მან გასწია ხელშეკრულების დასადავად, მაგრამ ეს ხელშეკრულება მეორე მონაწილის ბრალეული მოქმედების შედეგად არ დადებულა. ამდენად, მითითებული ნდობა ხაზს უსვამს იმ ნდობის გაუმართლებლობის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე, რომელიც პირს მეორე მხარის შესაბამისი ქმედების საფუძველზე ჩამოუყალიბდა.

ამდენად, 317-ე მუხლის მე-3 ნაწილი, თავისი არსით, გულისხმიერების პრინციპის ლოალობის ვალდებულებას მოიაზრებს. ნებისმიერი სხვა ტიპის გამოვლინება, რომელიც წინასახელშეკრულებო ბრალს უკავშირდება, ვერ მოექცევა მითითებული ნორმების რეგულაციის ქვეშ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი ხელშეკრულების დადების ჩაშლის უშუალო მაპროვოცირებელი საფუძველი არ გახდა.

ამდენად, წინასახელშეკრულებო ეტაპზე გულისხმიერების ვალდებულების სრული მოცულობით ინკორპორირებისათვის, აუცილებელია ნორმის რედაქცია ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ აქცენტი არ გაკეთდეს მხოლოდ ლოიალურობის ვალდებულებაზე, რათა გამართული საკანონმდებლო რეგლამენტაციის პირობებში ნორმა მოიცავდეს გულისხმიერების, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის ერთგვარი გამოვლინების, ვალდებულებათა სრულ სპექტრს.

5. საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში ინფორმაციის მიწოდების, როგორც კეთილსინდისიერი მოქმედების ერთ-ერთი გამოვლინების კუთხით, ასევე პრობლემურია, აღნიშნული ვალდებულების კონკრეტულობა და დიფერენცირება. როგორც აღვნიშნეთ, მაგალითისთვის, საერთო ევროპული ნასყიდობის სამართლის მიხედვით (CESL), დიფერენცირებულია ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება გარკვეული სპეციფიური შემთხვევებისთვის - მაგალითად, დისტანციურად (distance contracts) ან მომხმარებელთან ბიზნეს-საქმიანობის ადგილის მიღმა (off-premises contracts) დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში და ა.შ.,

საქართველოს კანონმდებლობა კი მსგავსი ტიპის დამცავ მექანიზმებს არ მოიცავს, რომლის საკანონმდებლო დონეზე რეგლამენტაცია მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების კუთხით არსებულ სამართლებრივ რეალობას, განსაკუთრებით კი მომხმარებელთა დაცვის ჭრილში და ამასთან, გაზრდის კეთილსინდისიერი მოლაპარაკების თუ საქმიანობის პრინციპის, როგორც ქმედითი სამართლებრივი მექანიზმის როლს ქართულ სამართლებრივ რეალობაში.

6. საქართველოს საკანონმდებლო რეალობა შრომითი ურთიერთობების კუთხით ამ ეტაპისთვის არ იძლევა წინასახელშეკრულებო ეტაპზე პოტენციური დასაქმებულის დაცვის მექანიზმებს ინფორმაციის მიწოდების, კერძოდ, შესაბამისი კითხვების დასმის კუთხით. მაგალითად, აშშ-ს სამართალში გარკვეული ტიპის შეკითხვები შეზღუდულუნარიანობის გამოვლენის საფუძველად შესაძლოა ჩაითვალოს და შესაბამისი პასუხისმგებლობა დადგეს.

ამ კუთხით, დასაქმებულის შრომითი უფლებების დაცვის ჭრილში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება საკანონმდებლო დონეზე გარკვეული ტიპის ინფორმაციის მიწოდების კონკრეტულად გაწერა, რაც წინასახელშეკრულებო ეტაპზე მნიშვნელოვნად შეამცირებს დისკრიმინაციის მაჩვენებელს.

7. საინტერესოა შრომის კოდექსის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, დამსაქმებელი ვალდებული არ არის დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული ნორმის მიზანი, როგორც აღვნიშნეთ, ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის შემთხვევაში დამსაქმებლის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებაა ვინაიდან თუ არ არსებობს ვალდებულება, არ არსებობს პასუხისმგებლობაც, რაც იძლევა იმგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას, რომ ჩამოყალიბებული ნდობის მიუხედავად, რაც წინასახელშეკრულებო ბოჭვის წინაპირობაა, დამსაქმებლის მიერ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმა, არ იწვევს დამსაქმებლის წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობას. აღნიშნული ამკარა წინააღმდეგობაში მოდის წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის წარმოშობის ზოგად საფუძვლებთან.

როგორც ზემოთ აღვნიშნა, წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა სახეზეა, როდესაც ხელშეკრულების მონაწილე პირები საქმიან კონტაქტს ამყარებენ ერთმანეთთან და ამა თუ იმ მხარის მოქმედება იწვევს მეორე მხარის გონივრული მოლოდინისა და ნდობის საფუძველს, რომ ხელშეკრულება დაიდება. მოცემული ნორმის იდეა უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპის სტანდარტით, რომელიც თავის მხრივ, საფუძვლად უდევს ჩამოყალიბებული ნდობის ბრალეული და უსაფუძვლო გაუმართლებლობისთვის პასუხისმგებლობის დადგენას.

ამგვარად, მითითებული ნორმა უნდა განიმარტოს შემდეგნაირად - დამსაქმებელი არ არის ვალდებული დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მისმა მოქმედებამ შექმნა პოტენციური დასაქმებულის გონივრული ნდობისა და მოლოდინის საფუძველი და შესაბამისად, ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმით დასაქმებულს მიადგა ზიანი.

საკანონმდებლო დონეზე მითითებული ხარვეზების აღმოფხვრა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, culpa in contrahendo-ს ინსტიტუტის სისტემატიზაციასა და ოპტიმიზაციას და ასევე, წინასახელშეკრულებო ეტაპზე კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობისა და მისი, როგორც ქმედითი სამართლებრივი მექანიზმის დანიშნულების გაზრდას ქართულ სამართლებრივ სივრცეში.

## ბიბლიოგრაფია

### *ქართულენოვანი ლიტერატურა*

*ახვლედიანი ზურაბ*, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1998.

*ბალიშვილი ეკატერინე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2016, მუხლი 327. <[www.gccc.ge](http://www.gccc.ge)>

*ვაშაკიძე გიორგი*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010.

*ვაშაკიძე გიორგი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი <[www.gccc.ge](http://www.gccc.ge)> , 2017, მუხლი 316, ნაწილი მე-2.

*ზოიძე ბესარიონ*, *ბურდული ირაკლი*, თანამედროვე სახელმეკრულებო სამართლის აქტუალური საკითხები, თბილისი, 2018.

*ზოიძე ბესარიონ*, ქართული სანივთო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2003,

*თოდუა მზია*, *ვილემსი ჰუუბ*, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006

*კერესელიძე დავით*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009.

*კროპკოლერი იან*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თ. დარჯანია და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, ე. ჩაჩანიძე, თ. დარჯანია, ლ. თოთლაძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, § 311.

*ლაკერბაია თამარ*, *ზაალიშვილი ვახტანგ*, *ზოიძე თამარ*, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბილისი, 2018.

*მარიამიძე გიორგი*, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, I ნაწილი, I გამოცემა, თბილისი, 2011.

*მარიამიძე გიორგი*, ვალდებულებითი სამართალი (სახელმეკრულებო სამართალი), ზოგადი ნაწილი, II ნაწილი, I გამოცემა, თბილისი, 2013, 21.

*მესხიშვილი ქეთევან*, წინასახელმეკრულებო ურთიერთობა, წინარე ხელმეკრულება, ბე (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, VI, 2017.



საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, 2017. <[https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed\\_dialogue/---lab\\_admin/documents/projectdocumentation/wcms\\_627047.pdf](https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_dialogue/---lab_admin/documents/projectdocumentation/wcms_627047.pdf)>

*სტურუა ნატა*, ზიანის ანაზღაურება წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას შრომის სამართალში, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული), ვ. ზაალიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2011.

*სუხიტაშვილი დავით*, *სუხიტაშვილი თეა*, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბილისი, 2016.

*ქოჩაშვილი ქეთევან*, ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), სამართლის ჟურნალი, N1, 2009.

*ჩაჩავა სოფიო*, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011 - <[http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Disertaciebi/sofio\\_chachava.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/sofio_chachava.pdf)>

*ჩაჩავა სოფიო*, ქართული შრომის სამართლის ანალიზი, ხ. ყვირალაშვილის რედაქტორობით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2011.

*ჩიტაშვილი ნათია*, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, სამართლის ჟურნალი, N 1, 2009.

*ცვაიგერტი კონრად*, *კოტცი ჰაინ*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2001.

*ძლიერიშვილი ზურაბ*, *ცერცვაძე გიორგი*, *რობაქიძე ირაკლი*, *სვანაძე გიორგი*, *ცერცვაძე ლაშა*, *ჯანაშია ლევან*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014.

*ჭანტურია ლადო*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011

*ჭანტურია ლადო*, *ზოიძე ბესარიონ*, *ნინიძე თედო*, *შენგელია რომან*, *ხეცურიანი ჯონი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001

*ჭეჭელაშვილი ზურაბ*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2008.

*ხუნაშვილი ნინო*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური

ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014.

*ჯორბენაძე სერგი*, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017.

### *უცხოენოვანი ლიტერატურა*

*Berger Klaus Peter*, Harmonisation of European Contract Law - The Influence of Comparative Law, 50 Int'l & Comp. L.Q. 877 (2001).

*Bonell Michael Joachim*, An International restatement of contract law: the Unidroit principles of international commercial contracts, 2<sup>nd</sup> enl.ed. New York, 1997.

*DiMatteo Larry A., Dhooge Lucien, Greene Stephanie, Maurer Virginia, Pagnattaro Marisa*, International Sales Law: A Critical Analysis of CISG Jurisprudence, 2005.

*Farnsworth E. Allan*, Duties of Good Faith and Fair Dealing under the UNIDROIT Principles, Relevant International Conventions, and National Laws, 3 Tul. J.Int'l & Comp. L. 47 (1995).

*Franklin Eric H.*, Mandating Precontractual Disclosure, 67 U. Miami L. Rev. 553 (2013).

*Hesselink Martijn W.*, The Principles of European Contract Law: Some Choices Made by the Lando Commission, 1 Global Jurist [i] (2001).

*Hondius Ewoud H.(ed.)*, Precontractual liability: reports to the XIIIth Congress, International Academy of Comparative Law, Montreal, Canada, 1990, Deventer 1991.

*Huber Peter, Alastair Mullis*, The CISG, Mainz and Norwich, 2007.

*Kessler Friedrich, Edith Fine*, Culpa in contrahendo, bargaining in good faith, and freedom of contract: a comparative study, <<https://www.trans-lex.org/125100>>

*Kotz Hein, Flessner Alex*, European Contract Law, Vol. 1: Formation, Validity and Content of Contracts; Contract and Third Parties, Translation - Tony Weir, New York, 1997.

*Lando Ole, Beale Hugh* (eds.), The Principles of European Contract Law, Dordrecht, 1995.

*Lorenz Werner*, Reform of the German Law of Breach of Contract, 1 Edinburgh L. Rev. 317 (1997).

*Lowisch Manfred*, New Law of Obligations in Germany, R.L.R. <<http://www.ritsumei.ac.jp/acd/cg/law/lex/rlr20/Manfred141.pdf>>

*Marsden Gregory J.; George J. Siedel*, The Duty to Negotiate in Good Faith: Are BATNA Strategies Legal, 14 Berkeley Bus. L.J. 127 (2017).

*Mustafaraj Borana*, Modern legal systems and the principle of “Culpa in Contrahendo”, Academicus International Scientific Journal, Musaraj A. ed., 2019. <<http://www.academicus.edu.al/nr19/Academicus-MMXIX-19-080-094.pdf>>

*Musy Alberto M.*, The Good Faith Principle in Contract Law and the Precontractual Duty to Disclose: Comparative Analysis of New Differences in Legal Cultures, 1 Global Jurist [i] (2001).

*Reimann Mathias*, The Good, the Bad, and the Ugly: The Reform of the German Law of Obligations, 83 Tul. L. Rev. 877 (2009).

*Ruth Sefton-Green (ed.)*, Mistake, Fraud and Duties to inform in European Contract Law, New York, 2005.

*Spagnolo Lisa*, Opening Pandora's Box: Good Faith and Precontractual Liability in the CISG, 21 Temp. Int'l & Comp. L.J. 261 (2007).

*Steensgaard Kasper, Twigg-Flesner Christian*, Pre-Contractual Duties, The Common European Sales Law in Context – Interactions with English and German Law, Dannemann G., Vogenauer S.(eds), Oxford University Press, 2013.

*Tegethoff Michael*, Culpa in Contrahendo in German and Dutch Law - A Comparison of Precontractual Liability, 5 Maastricht J. Eur. & Comp. L. 341 (1998).

Unidroit Principles of International Commercial Contracts, 2016, <<https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2016>>

*Veillard Isabelle*, The General and Commercial Character of the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, 2007 Int'l Bus. L.J. 479 (2007).

*Zeller Bruno*, Good Faith--The Scarlet Pimpernel of the CISG, 6 Int'l. Trade & Bus. L. Ann. 227 (2001).

*Zimmermann Reinhard*, The Present State of European Private Law, 57 AM. J. Comp. L. 479 (2009).

*Zimmermann Reinhard, Whittaker Simon (eds.)*, Good Faith in European Contract Law, The Common Core of European Private Law Project, Bussani Mauro and Mattei Ugo (eds.), Cambridge, 2000.

*საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები/განჩინებები*

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 21 მარტის განჩინება საქმეზე №3კ-1156-02, მითითებულია ნაშრომში: *ჯორბენაძე ს.*, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 21 მაისის N ას-221-213-2012 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 11 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1039-974-2012, მითითებულია ნაშრომში: *ჯორბენაძე ს.*, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 09 მარტის განჩინება საქმეზე საქმე №ას-898-848-2015

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-1498-1418-2017,

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 13 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-809-809-2018

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 27მარტის განჩინება საქმეზე №ას-1281-2018

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 ივნისის განჩინება საქმეზე №2ბ/942-14.

*ნორმატიული მასალა*

საქართველოს ორგანული კანონი - საქართველოს შრომის კოდექსი, სსმ, 75, 27/12/2010

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი - საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997

*უცხო ქვეყნის ნორმატიული მასალა, საერთაშორისო აქტები,  
უნიფიცირებული და სარეკომენდაციო სამართლებრივი აქტები*

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. კონვენცია საქონლის საერთაშორისო. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ - United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG), April 11, 1980

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი – Bürgerliches Gesetzbuch

ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები – The Principles of European Contract Law (PECL), EU

კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ საერთაშორისო კომერციული კონტრაქტებისთვის შემუშავებული პრინციპები - Unidroit Principles of International Commercial Contracts.

საერთო ევროპული ნასყიდობის სამართალი - Regulation of the European Parliament and of the Council on a Common European Sales Law

საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები - Unidroit Principles of International Commercial Contracts

ჩარჩო რეკომენდაციის საერთო ფორმატი – Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR)